მყოფადი, ობიექტი მხოლოდითში (ან უობიექტოდ)

Sing. 1. საძანთ მე წავიკითხავ

2. უძანთ

3. არ ძანთ (!)

- Plur. 1. თაჯანშო
 2. ს,აჯანშო
 3. ანარ აჯანშოთუხ (!)

ობიექტი მრავლობითში

Sing. 1. საჯანშო || საჯანშოთუხ (წავიკითხავ ბევრ წიგნს; მეორე ფორმაა: წავიკითხავ ხოლმე ბევრ წიგნს).

2. ჟაჯანშო || ჟაჯანშოთუხ
 3. არ აჯანშოთუხ || აჯანშოთუხ

- Plur. 1. თაჯანშოთუხ || თაჯანშოთუხ
 2. ს,აჯანშოთუხ || ს,აჯანშოთუხ
 3. ანარ აჯანშოთუხ || აჯანშოთუხ

Imper. ვარიაციები:

1. აჯ! (წავიკითხე ბევრი, ცნობილი წიგნი)
 აჯან! (იკითხე „ „ „)
 აჯან! („ „ „ „)
 2. ს,აჯან! (წავიკითხეთ „ „ „)
 ს,აჯან! (იკითხეთ „ „ „)
 ს,აჯან! „ „ „ „

განვავრძობთ კითხვას.

სად—ბადი (სად)

სადგმ—ბადში (პირობითად, მიაქციე ყურადღება ქვევით).

დეს—ზის ღია, მაგრამ შემოღობილ სივრცეში.

აქედან უღვლილება:

Sing. 1. სუდეს, მე ვზივარ (ბადში)

2. ჟუდეს
 3. არ დეს

- Plur. 1. თუდეს
 2. ს,უდეს
 3. ანარ დესუხ

ჯდომა განუსაზღვრელი, ჩენუღებრივი ვაგებით:

- Sing. 1. სუშეს
 2. ჟუშეს
 3. არ შუს

- Plur. 1. თუშეს
 2. ს,უშეს
 3. ანარ შუსუხ

ჯღომა დახურულ შენობაში და სიღრმეში

Sing. 1. სნს

2. ტნს

3. არ ნს

Plur. 1. თნს

2. სრნს

3. აჩხარ რ'სუხ

Imp.: ჩვეულებრივი გაგებით, განუსაზღვრელ ადგილში.

1. შუს!

2. სოშუს!

Imp. 1. დსს! (ბალში...)

2. სოშდსს!

Imp. 1. რს! (ოთახში, ორმოში...)

2. სორს!

ნანი საღმე დსს—დედაც ბალში ზის
თნთნ ისა? „ა“ კითხვითი ფორმატივი!

ისა?—სიტყვა-სიტყვით: ზის იგი ოთახში, სახლში? **ეხლა იგი სახლშია?**

დსსს?—სახლშია ის **საერთოდ?** ხომ არ წავიდა საღმე?

ბუნ—ოჯახი

უნაღმე' — ოჯახი მთელი თავისი მეურნეობით; კარ-მიდამო („კომლი“)

ჰჰჰ' —სტუმარი

ჰჰჰ'შ —სასტუმრო სახლი (кунацкая).

შაშ —საჯინბო

ააშ —ბაკი

ააშ — საქონელი, ცხენების გარდა, აქედან, საფიქრებელია, წარმოდგება ააშ

ჩთშშ —საქათმე (ჩთშ—სგან—ქათამი)

მშლშშ — ფარეხი (მშლშ—სგან — ცხვარი). ამ შ-ს შეადარეთ ზმნური ფორმანტი შ, ადგილმყოფობის აღმნიშვნელი (შუს, იხ. ზემოთ).

გვარები თშ-ზე:

ჰახტარათშ (ჰახტუ—ხვადი ძალლი; რათშ—აძლევენ);

ჯანჩათ (ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის; ჩათშ'—მანხელი (мех), ჯან—პერანგი; ასუტჯან—ჯავშანი; ასუტშ' — ა + სუტშ; სუტშ

შენიშვნა:

მე-15 და მე-16 სტრიქონებთან > ნიშანი.

—ტყავი; ასუჭ—განსაკუთრებით სქელი და მაგარი ტყავი;

ცაყუ—წულა

ცუჟ—ჩოხა.

ცუ—ბალანი (шерсть).

ჯანჭუჭ'—არაგრძელი ზედა ტანსაცმელი; მოკლე.

ქანჭუჭ'—ნაბადი

ლაჟა'—ქალიშვილი, რომელიც ემსახურება ავადმყოფს (დაჭრილს, მოტეხილი ფეხით), მასსა და ავადმყოფს შორის მყარდება ნათესაური დამოკიდებულება: ქართ. დაია?

ლგზ (ლგ—ტირილი, ქვითინი; ბზ—ენა)—მწუხარების, სევდის სიმღერები.

გვარები თა-ზე (გაგრძელება, იხ. წინა გვ.)

სრხუთთ (შათსგლ.)—მედრესეს მოწაფეები

პართათ (შათს.)—პა—ძალი; რათგ—აძლევენი

ბასთა (შათს.)—ეტიმოლოგია უცნობია.

კრასნოდარი, 6. V. 1929

მთქმელი იგივე, გაგრძელება

ჭათა'ყ—მოკავშირე (←ორტალი?). შდრ. უთალო

ჭათა'ყ'ლჭ—მოკავშირეობა

ეკითხულობთ ანბანს. გვ. 15.

ნანჭუჭ—მამაკაცის სახელია; ასე მიმართავენ დიდები პატარას.

შდრ. აფხ. ნანჭუჭ (←ნანდუჭ?)

ნანაჟ—დედიკო! მიმართვა დედისადმი.

შდრ. ნენა!

იუნესი ნანჭუჭი აჯა'ხ — იუნესიცი და ნანივიცი კითხულობენ.

„და“ კავშირის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე ნაწილაკი იჯაჟ (ჭემგუჟურად) — და; ეს კავშირი უფრო იხმარება წინადადებათა დასაკავშირებლად. ორი ცალკე სიტყვა შეიძლება შეკავშირებულ იქნას ამ ნაწილაკით, მაგრამ იშვიათად. შდრ. გვ. 12.

და'ხა'ჭ—ლამაზად

და'ხა'ჭ—ლამაზი; დაბოლოება შეიძლება ზოგჯერ მოსცილდეს, როცა სახელარსს დაუკავშირდება; ზედშესრული სახელი ყოველთვის მოსდევს სახელარსს, მაგ.:

სტოლ'და'ხ—ლამაზი მაგიდა

ქალა'ყ—ყმაწვილი, ბიჭი; ქალა'ყ და'ხა'ჭ—ლამაზი ყმაწვილი (სახელარსის რადიკალების შეცვლა!)

უნა' და'ხა'ჭ—ლამაზი სახლი

შენიშვნა:

25-ე სტრიქონთან > ნიშანი.

დმ'ხნნგლ—სილამაზე

დმ'ხნლ—სილამაზე (красивость) იხმარება, დაახლოებით, ასეთ გამოთქმაში: როგორ არის ლამაზი? „როგორი აქვს მას დმ'ხალ?“ მათ'ხვ'—წერს

ულვლილება ამ ზმნისა

Inf. თ'ხნ—წერა (საერთოდ)

თ'ხნგლ—წერა (писание)

თ'ხენ—რაიმეს დაწერა (განცხადების, წერილის...)

თ'ხენღლ—რაიმეს წერა (написание)

(განცხადების, წერილის...)

Partic. pr. ზეთ'ხგ—მწერალი

pass. ზეთ'ხღვ'—ვინც წერდა (писавший)

fut. ზეთ'ხგშო—ვინც დაწერს (который будет писать).

Praesens

Sing. 1. სმთ'ხნ მე ვწერ (ობიექტის მიუთითებლად, „ვმწერ-ლობ“).

2. ჟმთ'ხნ

3. არ მმთ'ხვ'

Plur. 1. თმთ'ხვ'

2. სჟმთ'ხვ'

3. პ'ხნარ მმთ'ხვ'ხ

ობიექტის მითითებით (ვწერ განცხადებას, წერილს...)

Sing. 1. სმთ'ხგ; არ შეიძლება ითქვას: „სმ „ფისმო“ (წერილი) სმთ'ხნ; არამედ უნდა ითქვას... სმთ'ხგ.

2. ჟმთ'ხგ

3. აშ' ჟმთ'ხგ

Plur. 1. თმთ'ხგ

2. სმთ'ხგ

3. ჰ'ხნმ ჰმთ'ხგ

შენიშვნა:

ბოლოდან პირველ და მე-4 სტრიქონების გასწვრივ მიწერილია: N. B.

ბევრ ობიექტზე მიითითებით

Sing. 1. სპთ'ხ'ხ

2. ჟსთ'ხ'ხ

3. აშ, ძტთ'ხ'ხ

Plur. 1. თსთ'ხ'ხ

2. სრსთ'ხ'ხ

3. ა'ხსმ თსთ'ხ'ხ

მე შენ გწერ:

Sing 1. ყვჭპსპ'თ'ხ'ხ

2. [ზჭჭპჟბთხ'ხ'ხ შენ სწერ შენ თავს].

3. აშ, ყვჭჭაქთ'ხ'ხ ის გწერს შენ

4. ყვჭპთპ'თ'ხ'ხ ჩვენ გწერთ შენ

5. ა'ხსმ ყვჭჭათ'ხ'ხ ისინი გწერენ შენ

მას

Sing. 1. ჭპსპ'თ'ხ'ხ მე ვწერ მას

2. ჭპჟს'თ'ხ'ხ შენ სწერ მას

3. აშ, ჭაქთ'ხ'ხ ის სწერს მას [სრულად 3 პ.: აშ, აშ, ჭაქ-

თ'ხ'ხ ის სწერს მას] [ან კიდევ იგივე: აა აა ჭაქთ'ხ'ხ; ან კიდევ:

აა აშ, ჭაქთ'ხ'ხ; ან: აშ, აა ჭაქთ'ხ'ხ. მნიშვნელობა სრულეებით
ერთი და იგივეა: ის მას სწერს!]

Plur. 1. ჭპთპ'თ'ხ'ხ ჩვენ ვწერთ მას

2. ჭპსრ'თ'ხ'ხ თქვენ სწერთ მას

3. ა'ხსმ აშ (|| აა) ჭპ'თ'ხ'ხ ისინი სწერენ მას

მე

Sing. 1. ყვსჭპჟბ'თ'ხ'ხ შენ მე მწერ [თუ ვიტყვით: „სჭპ'-
ჟბთ'ხ'ხ“, ეს ნიშნავს: „შენ ჩემთვის სწერ“] [და რომ ვთქვათ: „სვ-
ჭპჟბთ'ხ'ხ“, ეს ნიშნავს: „შენ მე მწერ მას“].

2. აშ, ყვსჭაქთ'ხ'ხ ის მე მწერს [თუ ვიტყვით: „აშ, არ ყვს-
ჭაქთ'ხ'ხ“ — ის მას მე მწერს (он его мне пишет)]

სადაც (куда) მივდივარ (მიმართ.): სუზდაკუბრძ'

სადაც (где) მივდივარ (მიმართ.): სუზუგუბრძ' (აგრეთვე ნიშნავს: როცა მე მივდივარ).

წავიდა რა, მიდის რა („пошёл“, „идя“): კუბრძ' || კუბრძ' || კუბრძ'

მიმავალი (идуший): კუბრძ'

მიმავალი (шедший): კუბრძ', ცალკე არ იხმარება, განმსაზღვრელს ირთავს, რომელიც მოსდევს მიმღეობას: კუბრძ' წყქ მიმავალი კაცი (шедший человек).

ფერგე (ესენი სწერენ: ჯერი) ჯერგე—კიდევ! შდრ. ჯერ.

შეშ—შემადგენელი ნაწილი; ჯარგემ აშეშ.—ერთი ჯარიმოვთავანი; ჯერგეტუბა შეშ—ერთი იეჯარხველთავანი (Егерукаевец).

შაუ—ეზო (двор); იხმარება აგრეთვე გამოთქმაში: „გარეთ გასვლა“; ასეთივე მნიშვნელობით იხმარება შა'გუ—ეზო. -ური იწარმოება -ე (?) -ს მიმატებით, რომელიც ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის მდგომარეობის მიხედვით.

სტოლგ' სპა—მაგიდის თავი (←სტოლი)

უნა სპა—სახლის თავი (←უნა')

ყუყურანსპა—ბოსლის თავი (←ყუყურ)

შაესპა—ცხენის თავი (შაუ)

სიშაესპა—ჩემი ცხენის თავი

კრახნოდარი, 7. V. 1929

მთქმელი: ჩანსბტე ფეჯტუ შაბრალ' გუტტუ (კრებით: ჩანსბტე-ხარ); (ფეჯ—მტერი) „ფეჯტუ“ ასეთი სახელი იმიტომ დამარქვეს, რომ დავიბადე 1918 წ. სწორედ იმ დღეს, როცა მამაჩემი მოკლეს თეთრებმა ომში. 13 წლ. პედტეკნიკუმის უფროსი მოსამზადებელი ჯგუფის მოწაფე. აულ ჰათლიყვა-ს (Гатлукай) მცხოვრები. ტომით ბუნდულუ (უ ვიწროა). ამ აულში საზოგადოდ ბუედულები ცხოვრობენ, რამდენიმე კომლია აგრეთვე აბაქენი.

მთქმელს აფხაზი ჩერქეზად მიაჩნია.

მახლობელი აულეები

1) ფეჯპალ'გუტუბ (ჩერქეზი ჯიგიტის ფეჯპალ'გუტუ-ის გვარის მიხედვით), ბუედულებია. ფეჯპატლიყვა. (Пчегатлукай).

შენიშვნა:

მე-11 სტრიქ. გასწვრივ სწერია: შ (შდრ. ყუბუქის სიმღერაში).

ქვემოდან მე-13 სტრიქ. „ „ : „ფეშაშა'—ქალიშვილი“.

26-ე სტრიქონთან > ნიშანი.

2) ტჷნჷფშუგ (თავადის გვარის ტჷნჷფშუგყჷ-ის მიხედვით). ტა-
ჩაფში (Вочешский) ბუედულება

3. შოგჷანჩარჷპბლო შაჷანჩარჷპბლი (Шаганчирный Ханлы) (გვა-
რის (?) შოგჷანჩარჷ-ს მიხედვით). ბუედულება

4) ყაზანუყაყა ყაზანიყა (Казанукай) (თავადის გვარის ყაზან-
ნგყჷ-ის მიხედვით). ბუედულება

5) ლახშუყაყა ლახშიყა (Лакшукай). (ეტიმოლოგია უცნო-
ბია). ბუედულება

მთქმელის აულმა (ტუაჯ, უფრო ხშირად, — ზოგჯერ: ჩილჷ')
სახელწოდება მიიღო თავადის (?) გვარ ჰალჷ'ყჷ-ის მიხედვით.

ამ აულს ჩაუდის მდ. დგხ, (პატარა ლელეა), რომელიც ერ-
თვის მდ. ფსჷყუტფხს (ეტიმოლოგია არ იცის). დგხ, იმიტომ დაერ-
ქვაო, რომ იმ გორაკზე, საიდანაც ეს ხევი გამოდის, ერთმა ჩერ-
ქეზმა ქალმა ოქრო (დგს) იპოვნაო.

ამ სოფელთან არის გორაკი, რომელსაც ჰქვია: „ტაჷსჷანგყჷ
(„მთის ნახევარი“ ატჷსჷ (sic!)—მთა; ნყუტჷ—ნახევარი).

ძე—დი ლორი—დიე

მთქმელის განცხადებით, თითქოს განსხვავება მხოლოდ ხმოვ-
ნებშია; პროტესტს აცხადებს როცა ორსავე სიტყვაში ყ-ს ვამბობ;
ჯ მისთვის მისაღებია. მთქმელი განსხვავებას ვერ ჰხედავს ჩემს გა-
მომქმეში კჷტჷ და ყჷტჷ-ს შორის.

ამ აულში ცხოვრობენ გვარები

ხტჷდჷ—ეტიმოლოგია უცნობია

ლ"ჯ'ხას ლ"ჯ—კაცი; 'ხას—გახვრიტე (?) (продей)

ყჷანჷლ" ყჷან—პირი

სჷჷანჷტჷ სჷჷანჷ'—დახრილი თავი(?)

მჷანჷ'ს'დგჷ (აბაძეხებია)—მნიშვნელობა არ ვიციო.

გჷტჷტჷ' (აბაძეხებია)

ხტჷზ' (ბუედულება)

შჷარტან

ლ'ჷჷანჷრჷშჷანჷ'

თჷალ" თჷან—ღმერთი; ლ"ჯ—კაცი;

დჷშუგყჷ

შჷატჷმან

შენიშენა:

მე-15, მე-17 და 25-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

ქუბან. (წარმოშობით აბაძეებია, მაგრამ თავს ბჟედულეებად სთვლიან).

შაჰუჯა'ნ (ბჟედულეებია)

საეთ " "

ჩანზ,

ხტაკუ

მამაკაცის სახელები

ხიზრარ (ნამდვილი აბაძეური სახელია); სალიპ (აბაძე.); ლ'ვტსაჰ; სიმოდ (ეს ნიშნავს ჩემო ძვირფასო და უდრის მაჰმუდ-სო?); ჰაჯილ'აუჯსთა'ნ.

შალ'—ვედრო

შა'—რძე

არყალ'—არყის ჭურჭელი

ფსგლ'—წყლის ჭურჭელი

ფსგ—წყალი

ფსა—სული

თჰამათა'ნ—თავჯდომარე. შდრ. თამადა

წჰწჰკუ—პატარა კაცი, ქონდრის კაცი (ზლაპრებში)..

იზგზ—გოლიათი (ესეც ზლაპრებში)

ლ'გ—სისხლი

ლ'გ—კაცი (мужчина)

წჰწჰ—ადამიანი

ფსგხტ—მდინარე

ფსწგკუ—პატარა მდინარე

ბლტჰჰალ (ჰემგუები ამბობენ —

ლტჰჰალ-ო)—გამოქვაბული

ქუმასუ—ორმო

ტაუჰჰ—ველი (долина) . შდრ. ტაუჰჰი.

ხტათ—ხევი

გტესჰჰ—მთა (гора)

გტესჰჰსჰჰჰ—მთის მწვერვალი

სჰჰჰ—მწვერვალი (მთის, ხის)

გტესჰჰჰ—ძვალი

ლ'გთჰჰ—სისხლძარღვი

აა—ხელი

შენიშვნა:

მე-13, -19, 23-ე და 25-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

თ'ღპ'—მზე
 მაჭპ'—ღლე; ბედნიერი
 ჩაწ'—ღამე
 ფჩკპ'—საღამო
 ფჩ—ხიშტი
 ააშაპ'—თოფი (იარალი)
 შა—ტყვია; რძე
 სპალჭ—წისქვილი
 შა'ლ'—პატრონტაში
 ყაშა'—ხანჯალი
 სანშაქა'—ხმალი (шамака)
 სანშა'—დანა
 ჩამჭ—ძროხა
 ცაჭ—ხარი
 შაქა'—ხბო
 შაჭ—ცხენი
 ფსტა—კამეჩი (სხვა ტერმინი არ გაუგონია).
 ტჭ—ცხვარი (баран)
 ფჩანჭ—ცხვარი (ამ მნიშვნელობას სხვები უარყოფენ);

თხა (ორივე დედალი, როგორც ჩანს).

მალჭ—ცხვარი (?), ბატკანი
 ჩეტჭუ—კატა
 მაზჩეტჭუ—გარეული კატა
 ბაჭა'—მელა
 თ'ღ ჟუზუჭ—მგელი
 მესა'—ღათვი. შდრ. ამეშა
 მაზფჩან'—გარეული თხა (დედალი)
 სკჭჭ—ირემი
 ჯაზ—ბატი. შდრ. აყუზ
 ფსკჩანთ—იხვი
 თჰაჩანთ—ინდაური
 ბუჭუჭ—ფრინველი
 პწაშახტა'—მერცხალი
 თჰარჭჭუჭ—მტრელი (თჰარ + ჭჭუჭ—ღვთის შვილი?). შდრ. ყვარ-

ყვარა

ბლა'—გველი

შენიშვნა:

მე-9, -11 და 21-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

ცლტუ'—თაგვი
სოაჲ'—ვირთხა
ფსესოაჲ—წავი („წყლის ვირთხა“)

კრასნოდარი, 7. V 1929

მთქმელი: ჯანხატ (იხ. გვ. 10). ენობრივად ბჟელულია.

„ძე“ და „ლორი“: qი ორივე ასე უნდა დაიწეროს, მაგრამ სხვადასხვანაირად გამოითქმისო. განსხვავება, მისი აზრით, აქ თანხმოვანშია, და არა ხმოვნებში. ძე — ყუბ და ღორი კტუბ. მთქმელი ამოწმებს, რომ მე სწორედ გამოვთქვამ. ყუბმყუბ'ში—შვილიშვილი (განსაზღვრული გარკვეული მნიშვნელობით).

ანბანი, გვ. 17.

ჩვენებითი ნაცვალსახელები

Sing. ეს—მერტ || მურ

ის (მე-2 პირთან)—ტერტ

ის (მე-3 პირთან)—ტუდ' (განუსაზღვრელი მნიშვნელობით), არტ (განსაზღვრული მნიშვნელობით).

Plur. ესენი—მე'ხარ

ისინი (მე-2 პ.) — ტუხარ

ისინი (მე-3 პ.) — ა'ხარ (განსაზღვრული მნიშვნელობით)

კითხვითი ნაცვალსახელები

Sing. 'ხათა? 'ხათ?

Plur. 'ხათ'ხა? 'ხათ'ხ? იხ. გვ. 59

ზადჲჲ'ხ—ერთად სწავლობენ

ზადთ'ხ'ხ — ერთად წერენ

ანბ. გვ. 18. ტუნა'—სახლი

მაჯღ—მეჯითი, მამაკ. სახელია

მურ მაჯღ' იტუნ—ეს მეჯითის სახლია.

მურ მაჯღ იტუნ—ასე არ შეიძლება ითქვასო

მურ მაჯღ' იტუნ " "

მაჯღ' იტუნ— " "

მაჯღ' ტუნა— " "

შენიშვნა:

მე-15 სტრ. გასწვრივ მიწერილია: უღ

26-ე სტრიქონთან > ნიშანია. '

ქონება, არსებობა ჩემთან

- Sing. 1. სრე სჷ მაქეს მე
 2. ჭრე ჭჷ გაქეს შენ
 3. რე აშე აქეს მას

(რე არ: ასე შეიძლება თქმა, მაგრამ არ ამ შემთხვევაში აღნიშნავს „ეს“ და არა „მას“).

- Plur 1. თრე თჷ გვაქეს ჩვენ
 2. სრე სრე გაქვთ თქვენ
 3. ძაე აშე აქვთ მათ

ძაე ახმჷმ აქვთ მათ, ასეც შეიძლება თქმა.

მწგლმ იტუნჷმ ტუნჷმ ინ—მეჯითის სახლი დიდი სახლია დიდი—ინტ (შესიტყვებაში ბოლო ხმოვანი სცილდება).

ტუნჷმარ ზირჷმ 'ხნთა? ა კითხვითია

ზირჷმარ—ვინც უსვამს (мажущий)

სჷ სნი—მე ვუსვამ

ტჷ ტნი—შენ უსვამ

აშე ძნი—ის უსვამს

თჷ თნი—ჩვენ ვუსვამთ

სრე სრნი—თქვენ უსვამთ

აშე(|| ა'ხმჷმ) აი—ისინი უსვამენ

ტუნჷმარ—განსაზღვრული სახლი

ტუნჷმარ ზირჷმ ზეტ—ზივი უსვამს (макет) სახლს

ანბ. გვ 19.

ბაჯჷმ—მელია. შდრ. აფხ. ბგა

ბაჯჷმარ მჷზემ 'ხნს—მელია ცხოვრობს ტყეში

მჷზეტ—ტყე

'ხნს—ზის

სა'ხნს, ტჷ'ხას, 'ხას, თა'ხნს, სოუ'ხნს, 'ხნსუ'ხ

მჷზემ—ტყეში

მჷზემ იდჷ'ხნ'ლ—ტყის სილამაზე

სილჷ'ხნ'ლ—ჩემი სილამაზე

მჷზემ ყაჷკჷალ'ჷ—ტყეს უახლოვდება

ბაჯჷმარ ბემ რს—

ბემ—მნიშვნელობა არ იცის

შენიშვნა:

მე-11 სტრიქონის გასწვრივ მიწერილია: -ჷ

მე-12 სტრიქონთან > ნიშანია.

უკანასკნელი სტრიქ. > ნიშანია

ნებლჳ—სორო, ბუდე
 ოს—ზის (შეკრულ სივრცეში)
 ბაჯარ თუღბ ხანსა? (ბუდეულები კი იტყობენ: თანა)
 თუღბ || თანა—სად?

კრასნოდარი, 8. V. 1929

კუტუბ' შიბან ინდრუგუტუ „კუბოვ“.

მასწავლებელი ადღ. პედტექნიკუმისა. ადასტურებს, რომ $q = \xi - s$. ამ ბგერის გარდა „ყ“ აქვთ ყაბარლოელებს, და გვხვდება აგრეთვე ბუდეულებშიც. ყაბარლოელები ამბობენ „ყუბ“— q და „ჭუბ“— l ორო. ჰემელურში და აბაძეხურში კი ორივე იქნება—„ჭუბ“.

მთქმელი თითონ აბაძეხია ტომით, მაგრამ იცნობს ყველა კილოს და ყაბარლოელიც იცის. ყაბარლოულს ასწავლის ყუბანის მუშფაკ-ში.

გაუგონია სატომო სახელი აძღვ, მაგრამ არ იცის, რომელ ტომს ეკუთვნის ის.

აბაძეხურში არის ისეთი ბგერები, რომელიც არ არის კიახურის სხვა კილოებში, მაგ: „ე“-ს ვარიაციები (თითქოს რუს. ე);

„ჰ“ = ქვეშ (წინდებული) (აბაძეხური) = ჰან (ბუდეულ.)

ჰალა (ჰემგ.) = ჯალა (აბაძეხ.).

აბაძეხური თქმის თავისებურებაა:

ცუ—ძმა (= შიგ, ჰემგ.) მაშასადამე, ეს არის „ჩემი ძმა“; „ც“ (ბგერა, რომელიც სხვა კილოებში არ გვხვდება) ← $s + s$; „შ“ აბაძეხურში სრულებით არ გვხვდება (თუმცა ეხლა მას გამოსთქვამენ, მაგრამ ეს შენათვისებია).

ფსუ—შენი ძმა (Id., ჰემგ.).

ღს—

აბაძეხურში არის კიდევ ერთი ბგერა, რომელიც სხვა კილოებში არ არის; ეს არის sl -ს ვარიაცია.

მაგ: აბაძეხ $\overline{შანარაშან} = \overline{ჰემგ. ჰარაჰ}$

ყაბარლოელის თავისებურება

ჟანაყმ — (ეს) სახლი არ არის; უღრის ჰემელურში: უნა'ფ. ძმა—ჭუბში (ჰემგ.)

„—ჭუბში“ (ყაბარდ., შიფსულ.)

შენიშენა:

მე-4 სტრიქონის გასწვრივ მიწერილია: „თანა = სად? მანდა; სად — სანა. უღრ. ქართ. ვინ — ვინა

ძმა—ჯუბს, (აბაძეხ.)

მოგვარებები—უნჯუბს (ყველა კილოში).

კრასნოდარი, 8. V. 1929

მთქმელი: ბეკ; ჩერქეზ. ბაქ.

ანაპას და ყიზილტაშს შორის წინათ ცხოვრობდა ჩერქეზული ტომი ჰატრამ. იმ ადგილს ჰქვია ჰატრამტუკ. ისინი შემდეგ აქედან წავიდნენ მუღმივი გვალვის გამო. ეხლანდელი მოსახლეობა აქ მოვიდა 1862 წ. და გააშენა აული სუფოროვო-ჩერქესკი, ჩერქეზულად „ჰატრამტუკ“. ესენი ეკუთვნიან „ნათხტუყუბს“-ის ტომს. ამ აულიდან არის მთქმელი. 80-მდე კომლი თუ იქნებაო.

„ალუჭრფს“ ასე ეძახიან თავის თავს. შათსულები და ნათხტუყუბს-ები. მთქმელი ფიქრობს, რომ ნატუხაჯები წინათ ალბათ ნართუყუბს-ად იწოდებოდნენ. ამის კვალია ალბათ ის, რომ ჩვენს აულში არის მდინარე ნართუხსტუხუ.

ამ აულის ენა იგივეა, რაც შათსულებისა. ჩვენებურად—კეტტუ; ჰემგ.—ჩეტტუ.

წუშა; კაცი, რომელიც ეძებს კუდიანებს უღტ.

ჯუნა' ეშმაკი, არსებობს თეთრი და შავი; თეთრი—ჯუნა'ბ; შავი—ჯუნა'ფ.

ჯუბლბსთვ'—ცხოვრობს წყალში. აქვს ერთი ნესტო და იხვის ფეხები (თათრული სიტყვააო, ჯუბლ — ხელი; ბასთვ'—მიაკყლიტა); ხვეული თმები ტანს უფარავს; ორივე სქესისაა. არიან ქერები და შავგვრემანები. ჩერქეზები ხშირად ხედავენ მათ მდინარეებისა და ჭაობების ნაპირებზე თმის ვარცხნისას. ადამიანის დანახვაზე წყალში ხტებიან და ხარხარებენ. ადამიანს არ ვნებენ.

მათ დასამორჩილებლად უნდა ხელში ჩაიგდო მათი სავარცხელი და შეინახო საკვამლესთან. მონა გახდება და სავარცხელს ვერ იპოვნის.

უღტ, ჯადოქრები, კულები აქეთ.

„აეითვალი“ არის, მაგრამ ტერმინი არ ახსოვს.

წუბბზა; ცული კაცი; ბზაჯ—მაენე; ეს გრძნეულის მაგვარია.

მწულ"ზნტუყუბს „ტყის ნახევრადკაცი“, გულზე აქვს ნაჯახისნაირი რქიანი გამონაზარდი.

შენიშვნა:

მე-9 და მე-14 სტრიქონებთან > ნიშანი.

მწვწტ—ტყის კაცი, ველური (არამითოლოგიური მნიშვნელობით).

შებლ'აშ შებ—ცხენი; ბლ'ა—გველი

შებლ'ა'—ქუხილი

შ'ა—ისარი

ფჩკპ'—ელვა

თპაკუმპ'პ

თპაკუმე—ყური; ჳ'აპ—გრძელი. (ეს ცნობები მომწოდია იბრაჰიმ ცემი).

კრასნოდარი, 9. V. 1929

მთქმელი: ოდჟედანჟ ჰაჯამთ (იხ. გვ. 14,28) ვოდოჟდოკოვი. (Водожадоков).

ანბანი გვ. 21.

ტე—ყოჩი

მ'ლ'ტ—ცხვარი

ტ'უ (ტ-ს შემდეგ მცირე პაუზა; „უ“ ვიწრო; „ა“ არ არის; ასე რომ ჩემი წინანდელი ჩანაწერი სწორი არ უნდა იყოს).

ტ'ტუ—ორი ყოჩი, ვერძი

ზეტტ—ერთი ვერძი (ერთად ვწერთო; სხვა რიცხვებთან სახელ-არსი წინ უსწრებს რიცხვით სახელს).

ტ'შ—3 ვერძი

ტ'პლ"—4 „

ტ'თტ—5 „

ტ'ბ—6 „

ტ'ბლ—7 „

ტ'ე—8 „ აი—8

ტ'ბლუ—9 „

ტ'პსა—10 „

ტ'პსა'ეტუტ'უ || ტ'პსა'ეტუტ'უ — 11,,

ტ'პსა'ეტუტ'უ'ტუ || ტ'პ... (ქვევით ყველგან ასეთი პარალელური ფორმები იხმარება)—12,,

ტ'პსა'ეტუტ'უ'შ— 13 ვერძი

ტ'პსა'ეტუტ'უ'პლ"— 14 „

შენიშვნა:

გვ-16 სტრ. გასწვრივ სწერია „ორი, მიაქციე ყურიღლება, ჩანს სხედასხვა გამოთქმებია“.

ტქსს^აკუტოტ — 15 ვერძი

ტქსს^აკუტ^ახ — 16 „

ტქსს^აკუტებლ^ა — 17 „

ტქსს^აკუტგ — 18 „

ტქსს^აკუტებლ^აშ — 19 „

ტტტ^აშ^აჭ — 20 „

ტტშ^აჭ — 30 „

ტტტ^აშ^აჭ^ა — 40 „

ტტს,პნტტ — 50 „

ტტს^ა — 100 „

ყოველგვარი სახელარსი („ადამიანი“, „ცხოველი“, „ქვა“ და სხვ.) ამ წესით ირთავს რიცხვით სახელს.

ტტტ^აშ^აჭ — ორი ვერძი ჩხუბობს.

ტტტ^აშ^აჭ — ორი ცნობილი ვერძი; აქ შეიძლება აგრეთვე ზწწაჟაჟ^ახ (Pl.).

სარი ჟარი თუზწაჟაჟ — ჩვენ ვკვიდობთ (უფრო სწორედ: მე და შენ).

უფრო იხმარება: სარრწაჟარრწაჟა — ჩვენ ვკვიდობთ (მე და შენ).

თუწწაჟაჟ^ახ შეიძლება ვიხმაროთ, თუ ქვემდებარედ ორზე მეტი იგულისხმება.

‘ხწთგ იტტ^ა‘ხა ზწწაჟაჟ^ახარწა?

‘ხწთ — ვინ. ხეთ. იხ. გვ. 54.

‘ხწთა — ეს ვინაა?

‘ხწთა არ || ‘ხწთ არ — ეს ვინაა?

იტტ^ა‘ხ არ — მისი ვერძები

იტტ^ა‘ხა — მისი ვერძებია?

ზწწაჟაჟ^ახარწა || ზწწაჟაჟ^ახარ || ზწწაჟაჟ^ახარარ || ზწწაჟაჟ^ახარწა — მოჩხუბარნი (განუსაზღვრ. და განსაზღვრული).

ზწწაჟაჟ^ახარ || ზწწაჟაჟ^ახარარ — მოჩხუბარი

ზწწაჟაჟ^ახარ || ზწწაჟაჟ^ახარარ — არამოჩხუბარი

ზწწაჟაჟ^ახარწა || ზწწაჟაჟ^ახარარ || ზწწაჟაჟ^ახარწა — არამოკვიდავენი

ზწწაჟაჟ^ახარწა მშდინწა იტ^ა‘ხარ არგ — მოკვიდავე ვერძები მედინს ეკუთვნის.

შენიშვნა:

22-ე და ბოლო სტრიქონებთან > ნიშანი.

მზდინ—მედინი (მამაკ. სახელია)

არტ—ჰო!

ჰატ—არა!

შუაფ—არ არის!

ლიტერატურა: მოჭიდავეები მადინ-ი მისი ვერძნი (ცნობილნი) ჰო!

მთქმელის დაწვრილებითი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ჩერქეზულში „კოპულა“ არ არსებობს. სხვა ენათა სათანადო წარმოებას ამ შემთხვევაში ჩერქეზული უფარდებს თავისი განმსაზღვრელი ნაწილაკის „რ“-ს არსებობით შექმნილ შესაძლებლობას.

ეს წიგნია—მერ თ'ხულ'

ეს წიგნი—მე თ'ხულ'ა'რ

ჟა, მზდინ, ჟიტაჟ ზაჟაჟარამა' აჟა!—

ჰოი, მედინო, ცემე (გასაშვებლად) შენს ვერძებს.

ჟიტაჟ, ჟი მეორე პირის მიჩემებითი ნაწილაკია. ა'ჟ, როგორც ჩანს, ირიბი ბრუნვის ფორმანტია, შეთანხმებული ზაჟაჟარამასთან.

ცემე ვერძს—ტემ აჟა!

ცემე შენს ვერძს—ჟიტაჟ აჟა!

ჟიტემ აჟა (ყოყმანობს, ასეთი ფორმა შგონი ძალიან იშვიათად შეიძლება ხმარებულ იქნას. ყაბარდოელები კი ხნარობენო).

ცემე ვერძებს—ტემ აჟა || ტე'ხამა აჟა!

ცემე შენს ვერძებს—ჟიტემ || ჟიტე'ხამა აჟა!

ცემე მოჭიდავე ვერძს — ტაჟ ზაჟარამა აჟა! ან: ზაჟარამა აჟა!

ცემე მოჭიდავე ვერძებს: ტაჟ ზაჟარამა'ხარამა აჟა! ზაჟარამა'ხარამა ტემ || ტე'ხამა აჟა!

ცემე შენს მოჭიდავე ვერძს: ჟიტაჟ ზაჟარამა აჟა! ან: ზაჟარამა'ჟაჟ აჟა! ჟამა—შენს.

ცემე შენს მოჭიდავე ვერძებს: ჟიტაჟ || ჟიტე'ხაჟ ზაჟარამა || ზაჟარამა'ხარამა აჟა! ან კიდევ: ზაჟარამა'ხარამა || ზაჟარამა'ხარამა ტე'ხაჟ ჟამა აჟა! ჟამა—შენებს.

ანბ. გვ. 22. ჯამა' (აშკარად: ჯამა') — ხანჯალი, ყამა. შდრ. მეგრ. ხამი.

მერ ჯამა'—ეს ხანჯალია!

მე ჯამარ (მიაქციე ყურადღება მახვილის ცვლას) ჯარამათურე იჯამ—ეს ხანჯალი ყარაბათირისაა

ჯარამათურ—ყარაბათირი

ჯარამათურე ჯ ფორმანტია

გარაბბთურე იტამშ ვამშდა'ხ — ყარაბათირის ხანჯალი ლამაზია!

ვარშბათურ იტამშ—მნიშვნელობა არ იცვლება.

ვარშბათურეგამშ—ყარაბათირის (Караватыровский) ხანჯალი.

ვამშდა'ხ—ლამაზი ხანჯალი

ვარშბათურე იტამშ ვამშინ—ყარაბათირის ხანჯალი დიდია.

ინჯ—დიდი

მადტურ (შეცდომაა ← მწყურ)

მწყურ ინჯ—ეს დიდი თივაა!

მწყურ—თივა. შდრ. მეყუ (თივა)

მწყურ ინემ ჟამტანურ ვინა?—ძნელია დიდი თივის თიბვა?

ვინ—ძნელი, შრომა

ჟამტან — ცემა (როცა შენ სცემ)

სამტან — ცემა („ მე ვცემ)

ამტან — „ („ ის „)

თამტან — „ („ ჩვენ ერთს)

თამტან — „ („ „ ბევრს)

თამტანგ'ხ — „ [„ „ (ნიუანსით)].

სამტან — „ („ თქვენ ერთს „)

სამტან — „ („ თქვენ ბევრს „)

სამტანგ'ხ — „ [„ „ „ (ნიუანსით)]

ამტანგ'ხ — „ („ ისინი ერთს „)

ამტანგ'ხ — „ („ ისინი ბევრს „)

აქ რალაც არეულია. ეს მყოფადი უნდა იყოს, როგორც სხვე-
ბის დაკითხვიდან გამოირკვა.

[სკატან—მე წაველ (?), შდრ. აფხ. სახელი სკატენ]

მხოლოდობითშიაც, თუ ობიექტს გავამრავლებთ: სამტან, ჟამტან,
ამტან.

კრასნოდარი, 13. V. 1929

მთქმელი: იგივე

ანბანი, გვ. 22.

მწყურ ინემ ჟამტანურ ვინ—ძნელია დიდი თივის თიბვა (ჟამტან-
ანურ—გაფორმებული მეორე პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით,
მაგრამ ჩვეულებრივად განყენებული მნიშვნელობა აქვს). ეს ზმნა ამ
შემთხვევაში სხვა ფორმით არ იხმარება.

ვინმი ჟამტან—თუმც ძნელია, მაგრამ მოთიბავ.

ვინმი—თუმც ძნელია.

კითხვითი ფორმები: ვინბა—ძნელია, არა?

არბა—მართლა, არა? დიას, არა?

არგ—დიახ! ესევე სიტყვა თითქოს კოპულას (?) როლს კისრულობს წინადადებაში: სნ ადღ'ლაბზტრ ზსსნლას'დჷ' — მე ვსწავლობ ჩერქეზულ ენას; სნ ადღ'ლაბზტრ ზსსნლას'დჷს' არტ (ასე არ იხმარება; არტ გვხვდება დამატებითს წინადადებაში).

მწყუაჷ'ზნრ მწყუ აჷ'ჷ'ზ—მთიბავები თიბვენ

მჷტუაჷ—მთიბავი

აჷ'ჷ'ზ—თიბვენ (ცემენ)

აჷ'ჷ'ჷ აჷ'ჷ—ცემე ძალს

არ აჷ'ჷ აჷ'ჷ'—ის სცემს ძალს

ანბ. გვ. 23. ცჷჷ—ჩოხა; საერთოდ მამაკაცის ტანსაცმელი

ადღ'ლჷ ცჷჷ—უკვე ჩოხაა

ცაც—ქალის სახელი

ცჷ—მატყლი.

დამატებითი ბგერები: მთქმელი ამტკიცებს, რომ არსებობს ორგვარი ც: რბილი და მაგარი. მაგ. ფცჷ — სატები (ЛОТО); აქ „ც“ უფრო მაგრად გამოითქმის, ვიდრე ზემოთ მოყვანილ სიტყვაში. აგრეთვე ორი „ქ“ არსებობს: ქჷ (ქ მაგარია, უ ვიწრო), kw (kw ასე ვწერთ ჩვენათ)—ურემი (ეხლა უკვე ოთხთვლიანი); ქჷ, (ქჷ, აქ უკვე ქ რბილია)—გული (მაგ. მცენარისა, ე. ი. ლერძისებური შუაგული).

გჷჷმბ—გულის სუნი

მბ—სუნი

ბორტტჷ—გვარია, ბოროკოვი (Бороков). შდრ. ბორ

აჷ'ჯჷ—რთავს

ცაცჷ ცჷ აჷ'ჯჷ — ცაც მატყლს ართავს (აქ არ შეიძლება ოცაც).

აჷ'დჷ—ჰკერავს

ცაცჷ ცჷჷჷ აჷ'დჷ — ცაც ჩოხას ჰკერავს (ამ ა-თა ამოგდება აქ არ შეიძლება).

ჷჯცაჷც—ქალის სახელია

ჷჯძაჷ — „ „

გჷ'შ'შ'აჷ'ლჷ — „კნენას ამტირებელი“, ქალის სახელია.

ჷჯცაჷცჷ ცაცჷ ცჷ დჷაჷჯჷ—უცაც ართავს მატყლს ცაცთან.

შენიშვნა:

პირველ სტრიქონთან > ნიშანი.

მე-მ სტრიქონის გასწვრივ მიწერილია: „პჷ (გაითვალისწინე ჩემი ჩანაწერი-სათვის)“.

ბოლო სტრიქონის „ „ : „აქ შეცდომაა: გ!“

დამდე—თან ჰკერავს.

საზოგადოდ, თანდებულები ჩერქეზულში არ არისო.

ცაყაყ — წულა (გენეტურად დაკავშირებული ხომ არ არის?)

чубяк.

ბიბ — ქალის სახელია

‘ხა’თუ იცაყაყ’ ბიბა გდრა?—ვის წულას ჰკერავს ბიბ?

გდრა—რომელიც ჰკერავს, მკერავი

დღლა—შეკერილი

ბათარჯ იცაყაყ—ბათირის წულები

შაფსულების საზოგადოება

10. 5. 1929. დღეს ჩამოვედით გემით (ორი საათის გზა) ქვევით კრასნოდარიდან აულ აძგფსჯჭ (აფიფსიფ)-ში, 18 ვერსია კრასნოდარიდან. მოვედით ორ საათზე. გავჩერდით იბრაჰიმის ერთს ნაცნობთან მე და იბრაჰიმ (ნავრუზ). შეგვიყვანეს სასტუმრო სახლში. გზაშივე, ვიდრე სახლში მოვიდოდით, მოგვეგება ორი ქალი-შვილი ამ ოჯახისა; ჯერ-ერთი, სულ პატარა, შემდეგ უფრო მოზრდილი, უკვე დაქალებული. მაშინვე ჩვენს ბარგს მიმართეს ჩამოსართმევად. სასტუმრო სახლი ერთოთახიანია, მიწური. შუაში დიდი დახურული ღუმელია. კედლები დაბალია, თეთრად შეღესილი, ოღონდ იატაკთან მოსდევს მიწისფერი ზოლი ერთი მტკაველის სიფართო. იატაკი დატკეპნილი მიწაა, ნათელი ზოლებით დაყოფილი უჯრედებად. სასტუმრო სახლის კარი ფართოდ ღია იყო, როცა მივედით. ოთახში იდგა ერთი ხის სარეცელი ზედ დაფენილი ჭილობითა და ბალიშით, ერთი მაგიდა გადაფარებული თეთრი სუფრით და რამდენიმე სკამი. კედელზე გამართულია ძალიან გრძელი ხის საკიდი ტანისამოსისათვის. სახლში იშვიათი სისუფთავეა. იატაკი დაგვილია ისე, რომ ნემსი არ დაიკარგება. კედლებიც ასევე. დაუსვენებლივ გავემართეთ სოფლის ყრილობაზე. აქ ნანახი ტიპები პირწავარდნილი აფხაზებია. მე მეგონა, რომ ზოგიერთს ჩემს სოფელს ვხედავ-მეთქი. უმრავლესობას წვერი მოპარსული აქვს, მოხუცები კი ატარებენო, მითხრეს. პრონონსი მთლად აფხაზური. თავს ახურავთ ან ბოხოხი (დაბალი) ან ჰაჯის თავსაბურავი რამდენსამე. [რომ არ დამავიწყდეს, ეხლა მიაბმეს: როცა ცხენოსანი სტუმარი ეზოში შემოდის, ის ცხენს აჯირითებს, წასვლისას კი ეს შეუძლებელია. თუ წასვლისას სტუმარმა ცხენს მათრახი გადაჰკრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მასპინძლისგან ნაწყენია].

შენიშვნა:

მე-12 სტრიქონთან > ნიშანი.

სოფელიც ძალიან მაგონებს აფხაზურს. არეულ-დარეული, მიხვეულ-მოხვეული ორლობები, ლობე მხოლოდ წნელის, ჭიშკარი მთლად ჩვენებური. საბძელი, სასიმიინდე აგრეთვე დაწნული, ჩვენებურის მსგავსი, მხოლოდ სასიმიინდე დაბალ ფენებზე დგას. ეზო ყველას ფართო აქვს. ჭები ჩვენებური (მეგრული) წყლის ამოსაღები ბერკეტით.

როცა სასტუმრო სახლში შეგვიყვანეს, შემდეგ მოვიდა, როგორც ჩანს, ყველაზე უფროსი ქალიშვილი. ყველანი ხელის ჩამორთმევით გვესალმებიან. თავი სრულიად თავისუფლად უჭირავთ.

სიმპატიური სახეები აქვთ თითქმის ყველას. ვიყავით ქობ-სამკითხველოში. იქ ახალგაზრდა კომკავშირელები დაგვხვდნენ. გონებაგახსნილი ყმაწვილების შთაბეჭდილებას ახდენენ.

როცა სახლში დავბრუნდით, მოიტანეს ტაშტი, წყალი ჭებ-მლან-ით (თუნგია თავისებური), საპონი და სუფთა პირსახოცი, ხელპირი დაგვაბანინეს.

ჩვენი მასპინძლის გვარია შაჰტუგაშ (ყაბარდოში მოხუცები ეხლაც ამ სიტყვას „წერაკითხვის მცოდნის“ მნიშვნელობით ხმარობენ; ისე კი ამ ტერმინს ეხლაც, ამ აულშიც, „ქრისტიანი მღვდლის“ მნიშვნელობით ხმარობენ; და საზოგადოდ, შოუგენების ყველა ოჯახში არიან ეფენდიები, წერაკითხვის მცოდნენი, და საზოგადოდ მორწმუნენი არიან).

ოჯახის უფროსის სახელია: კიშმაა

მაჰ ხომ არ უკავშირდება სვან. მარე-ს (კაცი) და სკვითურს? (ბეედულები ამ შემთხვევაში იტყოდნენ: ჩიშმაა; ჭემგუები კი—კიშმაა-ო). ასეთ სახელს შემდეგ შემთხვევაში აძლევენ: როცა დიდხანს შვილი არ შერჩებათ, ახალ დაბადებულ ბავშვს მეშვიდე დღეზე წაიყვანებენ სამკვდლოში, იქ რალაცას აკეთებენ და ბავშვს (ვაჟს) არქმევენ ასეთ სახელს, რაიცა ნიშნავს: კიშ—სამკვდლო; მაჰ [შეადრ. არკუმაა—კარგი მოსაყალი. არკუ—ხის დიდი თასი, მომრგვალებული ძირით, რომელიც ვერ დგება] ცალკე არ იხმარება, მაგრამ „კარგი“-ს მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო. შდრ. მაზმაა (გეოგრ. სახ.) [მაზუ—ტყე]. ამ კაცს და ჰყავდა, რომელსაც „კიშხან“ ერქვა. არის ასეთივე სახელი „ლუჰკრფს“: ლუჰჰ—რკინა; ლუჰა—მჭედელი (ეს ჭემგუურად); ხოლო შათსულურად მჭედელი იქნება ლუჰა; რკინა კი ისევე; ფსა—სული. სახელი ერთად ნიშნავს: რკინის სული. ჩვენს საუბარში მოვიდა ერთი შუახნის კაცი, მოგვესალმა და დიდხანს არ დაჯდა, იბრაჰიმმა ძალით დასვა. გვაჭამეს სადილი: ხორცი წვრილ ნაჭრებად მოხრაკული ერბოზე, პომიდორით. შემ-

შენიშვნა:

მე-16 22-ე და 23-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

დღე ჩაი. მე დამსვენეს სუფრის საპატიო ადგილას (სუფრის საპატიო ადგილად ითვლება ადგილი ყრუ კედლისაკენ). კერძი პირველად მე მომართვეს, ჩაიც. მასპინძელი ჩვენთან არ დაჯდა. მან, როგორც ჩანს, ისაღილა ცალკე (სამზარეულო სახლში). საზოგადოდ მასპინძელი თურმე არასოდეს სუფრას არ მიუჯდება სტუმართან ერთად. იწყებს პურის ჭამას სტუმარი. მთელი სადილის განმავლობაში მასპინძლის უფროსი ქალიშვილი კედელთან იდგა.

ჩვენი მასპინძლის უფროსი ვაჟი, სულეიმანი, მასწავლებელია, ცოლიანი. არც მისი ცოლი და არც დედა, ჩვენთან არ გამოსულან და არც გამოვლენო, იბრაჰიმი მეუბნება. ვინც მოვიდა, ზევით რომ ეწერდი, მისი სახელი ყოფილა:

სჰალაახტუჯ სჰალახვი (Схаляхо) [სჰალუჯ — წისკვილი; ხტუჯ — მწარმოებელი, მოსაქმე; სჰალაახტუჯ — წისკვილის მაწარმოებელი] აღრ, ჩერქეზული სიმღერებისა და საზოგადოდ ეთნოგრაფიული მასალების შემკრებია, ავტოდიდაქტი, რუსული წერააკითხვა არ იცის.

გეოგრაფია

ამ აულის მდინარეებია აჭტუს [აჭტუ — მიერეკება], ეს აღმოსავლეთით; ფშუბ — ყუბანი (ეტიმოლოგია უცნობია); აჭტუს-ის შემდინარე ჭებუნ უბინი (Убин). შემდეგ პატარა ლელე, რომელიც აულთან ერთვის აჭტუს-ს — 'შუგაფსუგუ' (მთქმელმა, სელმანმა, ამ სიტყვაში ჯერ „ჭ“ გამოთქვა, ნასწავლია და ბეედულურ-ჭემგუური კილოს გავლენას განიცდის) [შუგაფ — ერთგვარი განუკურნებელი ავადმყოფობააო, მთქმელის აღწერილობით კეთრი გამოდის; ფსუგუ' — მდინარის შესართავი; ფუ — ცხვირი]. [მდინარე — ფსუგუ]. აულმაც თავისი სახელი მდინარისაგან მიიღო აჭტუსტუ — აფიპსის შესართავი.

ამ საზოგადოებაში მხოლოდ შატსულეებია. შაფსულ ასე ამბობს ახალგაზრდა, უფრო ხნეერი კი ამბობს შაფსულ, უკანასკნელი უნდა იყოს მართალი (ე. ი. თვით შატსულური გამოთქმის თვალსაზრისით). ამ საზოგადოებაში არის ოთხი აული (ჩრლ'ა, ჭუაჯ-ს ჩვენ არ ვამბობთ):

1) აჭტუსტუ, 2) ფანა'ხან 3) პაშოტქუ და 4) ფსუგუტუ.

ფანა'ხან'ს — პანახესი (Панახес) — ფანა' — ეკლები; შდრ. ბანშ (ყბ.; აქვე). 'ხანს — სხედან, არიან (находятся); პაშოტქუ-იდან არიან

შენიშნა:

მე-19 და 21-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

გადმოსახლებულნი. ჰაშთუკუ — ჰაშთიკუტი (Хаштук) — ჰა — ძალი; თუკუ — კუთხე; ჰაშ — ძალის ფარდული; ეს აული გაშენებულია ყუბანის სამკუთხოვან მოსახვევში. აქ პირველ მოსახლეებს საქმე გაუჭირეს ძალებმა, რომლებიც სიმინდს ჰამდნენ. ჯერ ცალკე ამწყვედვდნენ, შემდეგ ერთი საზოგადო ფარდული ააშენეს და იქ დაამწყვედიეს. აქედან წარმოსდგა ეს სახელი.

ფსეჰთუკუ პსეიტუკი (Псейтук) ფსეჰ' — არყი

სტანიცა სევერსკაია-ს ჩვენ ვეძახით ჰაფჰუჭხტ'ხ; ხტო'ხ — საფლავეზე დაყრილი მიწა, ძეგლი; ჰაფჰუჭ — ასეთი გმირი იყო; იქ მისი საფლავი არის.

მდინარეები: დასავლეთით: აუშუა'ძ აუშეცი (Аушец); ბულტერ ბუგუნდირი (Бугундир); ატაკუმ („უ“ ვიწრო) ადაგუმი (Адагум) [ეტიმოლოგია უცნობია]; აზუტს აზიტსი (Азипс); ილ' ილი (Иль) [ეს ორი უკანასკნელი სამხრეთით ამ საზოგადოებისგან]; შაბუ, შებეი (Шебш).

[ჭუბან — ორმო; ამას უკავშირებენ თვით აქაურები ყუბანის ეტიმოლოგიას].

მთები: საბერ-აჟესჰ სობერ-ოაში (Собер-оаш) [აჟესჰ — მთა, გორა; კურღანი; სნბერ — შეჩერდი].

ტომების სახელები

ბუბდღლუ, კამგუბუ, აბძა'ხ, ჰაკუცა, ნათხუტაჰ, ბსლანა'ხ, გარბათაჰ, მეხუტა'შ, უნტ, აგვარტუტა'ხ, უბტ'ხ, აბაძტ, ურტს, ვანა'ტ, მანტტ (უცხო წარმოშობის სიტყვა; „არაფერი ღირს“, გლეხი (му-жик) ?), აზღა' (გაუგონიათ ასეთი ტომის არსებობა; ორმა არ იცოდა მისი ვინაობა. მასპინძელი, რომელიც ამ ლაპარაკის დროს მოვიდა, ამბობს: ეს არის ის ხალხი, რომელიც ქართველების გვერდით ცხოვრობდა. აფხაზები? ვეკითხები, დიას, აფხაზებიო. ეს არის ყველაზე ახლობელი მეგობარი ჩერქეზებისაო; ჩერქეზის საზღვარს სწორედ ეს ხალხი შეადგენდა).

ლ'უტუ — ტომი; ლ'უტუ-ზანჰსჰანჰ — სხვადასხვა ტომები (შაფსული, ჰემგუი და სხვ.). შაფსულები და აბძახები ერთს ოჯახს შეადგენდნენ, აბძახებში იყო 7 გვარი, შაფსულებში 8 გვარი. ბეელულები სულ სხვა არიანო. ნათხუტაჰებიც ცალკე იყვნენ. ამათი წინაპრები ძმები იყვნენ, რომელნიც მდ. შჰავუაშეს (Белая)-ს იქით

შენიშნა:

მე-7 სტრიქონთან > ნიშანი.

მე-16 და 21-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

სახლობდნენ; შემდეგ გაიყვნენ: ერთი ძმა, კარგი მონადირე დასახლდა ზღ. შიფსტუტ-ის (სადაც ანაპისკენ) რაიონში, საიდანაც მიიღო თავისი სახელი. მეორე ძმა თავის ადგილზე დარჩა, აბბახი ადამიანის საკუთარი სახელიაო.

ლექსიკიდან

|საინტერესოა, როცა მე ვამბობ „ყუა-ს“, ყოველთვის ესმით „კუა“, ეს შევამჩნიე როგორც აქ, ისე კრასნოდარშიაც].

ძე—ჭუპ

ლორი—ხუპ

ლუა—სორო

ლუპქელ—გამოქეაბული

ამ დროს მოდიან სტუმრები (აქაურები), გვესალმებიან, მაშინვე გვეუბნებიან „შიტეს“, თვითონ კი ფეხზე დგანან და მხოლოდ დიდი თხოვნის შემდეგ სხდებიან.

ნჭუე—ამბობენ; ლეწვენ.

აქ ამბობენ თურმე მწუჯ (ბუედულები კი ამბობენო: მარჯ); მაგალითად, როცა რამდენიმე კაცი ერთად მიდის, შეიძლება ერთმანეთს უთხრან: მწუ, ეს ნიშნავს, მოუჩქარე ნაბიჯსაო, ან მუშაობის დროს: უჩქარეო.

დღეს მიამბობდნენ აქაური ყმაწვილები, რომ შაფსულური კილო განსხვავდება ჰემგულურისაგან იმით, რომ როცა შაფსულები ამბობენ კ-ს, ჰემგულები იქ ამბობენ ჰ-ს; შაფსულების გ-ს უდრის ჰემგულების ჰ, და ეს ისე სისტემატიურად, რომ ჰემგუებს (და მათთან ერთად ბუედულებსაც,—რამდენად?) სრულებით აღარ შეუძლიათ ეხლა მაგ. კ-ს გამოთქმა. ამასვე მიდასტურებდნენ კრასნოდარშიაც, სადაც მიამბობდნენ რომ „კაპიკი“-ს ნაცვლად იმ კილოს წარმომადგენლები „ჩაპიჩ“-ს ამბობდნენ და დღესაც ამბობენო. ახალგაზრდობა აქაური კი ეხლა უკვე სავსებით ჰემგულურად უქცევს, რაც სკოლის ბრალიაო (ლიტერატურა ამ კილოზეაო), ამბობდნენ ეს ყმაწვილები. მართლაც, სრულიად ადვილი შესამჩნევია, რომ ახალგაზრდები შაფსულურ კ-ს მაგიერ ყველგან ჰ-ს ამბობენ, იმდენად, რომ ჩვენი მასპინძლის შვილი თვით ამ სოფელში ჩამდინარე დღეს სახელშიაც კი კ-ს ჰ-თი ცვლიდა. კიდევ უფრო სასაცილო კურიოზს ჰქონდა ადგილი: ერთმა აქაურმა ყმაწვილმა, რაკი მე მას ვსთხოვდი, წმინდა შაფსულურად ილაპარაკე-მეთქი, კ სთქვა იქ, სადაც შუმი შაფსულებიც ჰ-ს ამბობენ.

შენიშვნა:

მე-11 სტრიქონთან > ნიშანი.

მე-15 სტრიქონზე ნჭუე ავტორს პირველად ნჭუე-დ დაუწერია.

ებლა რაკი მასპინძელი აქ ზის, მისი უფროსი ცოლიანი ვაჟი, მასწავლებელი, სულ ფეხზე დგას. ფეხზე დგას აგრეთვე ჩვენი სადილის მენიხე, რომელიც ეხლახან მოვიდა ისევ.

შედარებითი ფონეტიკა ამ კილოგზისა

შაფსულ. ზემგ. (თუ ჰემგ.-ბჟედ.)

კჷკჷ (კჷაჷ) კჷკჷ

ჟაჟჷ (ჟაჟე)

ვაშში: როგორც კი საკმელი მოიტანეს, მასპინძელი მაშინვე გავიდა. უფროსი ქალი და ვაჟი ფეხზე იდგნენ, ქალი გვემსახურებოდა. ვახშმის შემდეგ დაბრუნდა მხოლოდ მასპინძელი. ვახშმის დროს უკვე ხუთმა კაცმა მეზობელთაგან მოიყარა თავი. მათგან ერთი გამოარჩიეს, როგორც ჩანს, უფრო საპატიო, და ის მოუჭდა ჩვენს სუფრას. ვახშიში შედგებოდა სორცის წენისა და სორცისაგან; როგორც სადილი, ისე ვახშიში, უხვად იყო შენაგებული პილპილით. ჩვენ სამნი ვახშმობდით, სხვები ისე ისხდნენ. როცა ჩვენ პურის ჰაზა გაცათავეთ, შემდეგ ის ოთხი კაცი მოუსხდა მოშორებით პატარა ადგილობრივს „ტაბაკს“ და საჩქაროდ ივახშმა. შემდეგ ისევ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილას. ჩვენი სადილის მენიხე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მეორე ჯგირის ვახშმში, მთელი საღამოს განმავლობაში ფეხზე იდგა. საზოგადოდ, აქაურ მოქცევას სავსებით მტკიცე წესები ეტყობა.

აქაც დამიდასტურეს, რომ მტკიცედ არის დაცული თანხლებების წესები: უფროსს უმცროსი მარცხენა მხრიდან მიჰყვება; თუ სამნი არიან, უფროსი შუაშია; მომდევნო მარცხნით, უმცროსი მარჯვნივ; თუ ოთხნი—ყველაზე უმცროსი ისევ უფროსის ხელმარჯვნივ; ხოლო დანარჩენები წლოვანების მიმდევრობით უფროსის მარცხნით; ეს იმიტომაა, რომ როცა სამნი არიან, და საჭირო დარჩა ვისიმე საქმეზე გაგზავნა, უფროსი უმცროსს გაგზავნის და ძველი წესრიგი აღდგება; თუ ოთხნი იყვნენ, მაშინ გაგზავნილი უმცროსის ადგილას შუათანას მომდევნო გადადგება.

ჩემს მასპინძელს საშინლად უხარია, რომ აფხაზ. ჟაკა ამართლებს მათს (შაფსულების) გამოთქმას და ნიშნს უგებს ბჟედულ-ჰემგუებს. ჟაკჷ, ეს ნიშნავს ნამდვილ, სამართლიან სიტყვას, ამბობს ის.

მთელი ამ გრძელი საღამოს განმავლობაში მასპინძლის ოთხივე შვილი განუწყვეტლივ ფეხზე იდგა, არც ერთი წამით არ დამსხდარან.

ეხლა მოიტანეს კიანური. ერთი უკრავს, მეორე მღერის, სხვანი დანარჩენები ჰბანავენ. ჯერ იმღერეს „ყუზბუქ“-ის სიმღერა, შემდეგ „პათ'ხუ ჭუაჭან“-ის სიმღერა; შემდეგ „თქიშალ“-ის მხედრების ანუ „პაჭირეთების“ სიმღერა; „ტაშინა'ტუ-ზაჟ“ (ტაშინა'ტუ — ადგილის სახელია; „ტაშინა'ტის ბრძოლა“ — ბრძოლა აბაძეხებისა ყაბარდოელებთან); „აჯდამურყან“ და სხვ.

იბრაჰიმ ეუბნება, რომ საჭიროა დროგამოშვებით კრასნოდარში კონცერტები გამართოთ, იქ ბევრია ჩერქეზიო. „იქ ბევრია ჩერქეზი, ამბობს ერთი, მაგრამ ძნელია გამოცნობა, ვინ არის ჩერქეზი და ვინ არა, ეხლა ფორმას (ჩერქეზ. ტანისამოსს) ალარ ატარებენო.“ სადილზე აგრეთვე აქაური კაცი მეკითხებოდა, ქართულები რა ფორმას ატარებენო.

ზევით მოყვანილი ცნობები მომაწოდეს: ბნსთა' მაჰმუთ ჰაჯრატ (ჰა — ძალი, ჟა'ტა — ქეჭავს) — გტტ-მა [ბნსთა'-ს ეტიმოლოგიას არ იცნობს]; მასწავლებელია აქაური, მცირე განათლებით.

ბჟაშაჯ მჰჯით ყარაბაშურტტუ, ახალგაზრდა, სწავლობდა პედტეჟნიკუმში, კრასნოდარში, მაგრამ არ დაუმთავრებია. ბოლოს შემოგვესწრო ჩვენი მასპინძელი.

ჰტტსტ, 11. V. 1929.

დილის რვა საათიდან შევეუდექით მუშაობას; ჩემი მთქმელია: ბჟაშაჯ ლ'აჟსთენ ჰატიტტტტუ; ბჟაშაჯ — ბური (бурянин); ბჟა — ფუტკარი; სჟაჯ — დვილი; კეთილი [მღრ. ქართ. ჯიგარი]. ლ'აჟსთენ — ეტიმოლოგია არ იცის. ჰატიტტტუ — ტიტტტუ — გაუგებარიაო. ტტუ — კარავი; მსუბუქი შენობა სტეპში. დიდი, დაწეული, შეღესილი კალათი, სადაც პურს ინახვენ.

ეს მოხუცი საინტერესო კაცია. „ისეთი ზნე-ჩვეულება, ამბობს ის: როგორიც კავკასიის მთიელებს, არავის არ ჰქონდა, არც ერთ ხალხს, ისეთი ლამაზი. რას ნიშნავს ეს? მაშასადამე; ოდესმე ამ ხალხს სადაც სახელმწიფო ჰქონია, ადათები თავისთავად ხომ არ დაიბადებოდა?“

დილის საუზმე შედგებოდა ერბოკვერცხისა და ჩაისაგან.

ლექსიკა

საინტერესოა, რომ ეს მთქმელი, რომელიც ამტკიცებს, რომ არასოდეს ბეედულებში არ ყოფილა, სრულებით ვერ ამბობს კ-ს.

შენიშვნა:

21-ე სტრიქონთან > ნიშანი.

24-ე სტრიქ. გასწვრივ მიწერილია: „ტტტ. უფრო სწორი უნდა იყოს თტტ“

ამასთანავე მარწმუნებს, რომ ეს იმიტომ რომ ენა მაქვს მახვილიო. ვერც კი ამჩნევს განსხვავებას კ-სა და ჭ-ს შორის. მაგალითად ის ამბობს:

ქექქ — მოკლე. შდრ. კაჰ
 ჟაჰჰ' — წვერი. შდრ. ჟაჰაჰ
 ჟეჰჰ — სწავლობს

ასე რომ მისი გამოთქმა საექვოა და შემოწმებას საჭიროებს. იძულებული ვარ სხვა თემაზე გადავიდე.

ჩვენი მასპინძლის სახელსაც ჭიშმაჰ-ს გამოსთქვამს; კიშ' ასეთი სიტყვა ჩერქეზულში არ არის, ჭიშ' კი სამჭედლოს ნიშნავსო. მაჰ ჯერ თქვა თათრული სიტყვაა, ბევრსა ნიშნავსო, შემდეგ კი მოიგონა, არის ასეთი სიტყვა და ნიშნავს, თითქოს, მისი განმარტებიდან ასე გამოდის, „უხვს“. მაგ.: წვიმაზე იტყვიან „მაჰ“-ს, მოსავალზე, საკმელზე (ცოტა მოითანეს სუფრაზე და მაინც ყველას იყო), „რომელსაც ბევრი სარგებლობა მოაქვს“. არკჰმაჰ (იხ. ზემოთ)-ს უარჰყოფს, ასეთი სიტყვა არ არსებობსო.

ლაბაჟუ — მოსავალი

ჟაშხ — წვიმა

ჟაჟბანჟ — „

ჟაჟბანჟჰაჰ — ბევრი წვიმა. შდრ. ზევი

ჟაჟბანჟღაჰ — ცული წვიმა, რომელიც მოსავალს ვნებს.

ხჟაჰ — ბევრი

მე შენ თავს მას ვაძლევ — ჟაჰსტთჰ

(აქ ხმოვნების ტრანსკრიპცია ალბათ პირობითია).

ლინგვისტური მუშაობისთვის ეს კაცი, როგორც ჩანს, არ ვარგა. გადავიდვარ ეთნოგრაფიაზე.

ჯვარი — ჯაშ; სხვა სიტყვა არ გამიგონიაო. როცა ჯჰრჰ მოვაგონე, ეს კერპს ნიშნავსო, სადაც მიდიოდნენ და ლოცულობდნენ. სადმე დადგმული იყო, კერპთაყვანისმცემლობის დროსო.

ქრისტიან მღვდელს შაჰჰ (sic!)-ს ვეძახითო. შოჟგენ ასეთი მნიშვნელობით არ გაუგონია. ასეთი გვარი (მთქმელის გამოთქმით: შაჟჟაჰ) წარმოიშვა შაჟჟაჰ (sic!)-იდან, ასე ვეძახით ჩვენ ბოშებსო.

მღვდლები ჩვეულებრივად ბჟასოს გვარიდან იყვნენ, ეს ყველაზე პირველი გვარი იყო.

ეთნოგრაფიული ტერმინების შემოწმება (დუბროვინი).

შენიშვნა:

მე-10 და მე-18 სტრიქონებთან > ნიშანი.

დნენო, ეხლაც, როცა გვალვია, ლოცვის შემდეგ წყალში ჩაცვივლებიან ტანისამოსით. თუ არა, ვედროთი წყალს გადაასხამენ (ზარშან და შარშანწინაც გააკეთეს ასეთი რამ ჩვენს აულშიო).

‘ხათგაჟ’შ ‘ხათ’—ბოსტანი და ბალი ერთად.

მაზტჳ ბოლოში ა არ უნდაო.

შებლ’ ქუხილი; მთაში ეხლაც (ტუათსის რაიონში) ლმერთ-მანი-ს მაგივრად შებლ’-ს ამბობენო.

ა’ხენ ასეთი კაცი ცხოვრობდა ვარდან’-ს (უბიხები) ქვეყანაში. ყოველ წელს ის ნიშნავდა მსხვერპლს (უმეტესად ძროხას), რომელიც დანიშნულ ღროს და ადგილას თავისით მოდიოდა. სამსხვერპლო პირუტყვი იქ დახვდებოდა ხალხს, და დაჰკლავდნენ მას. ეხლაც ამბობენ **ა’ხენჯიჳ’შ** ისეთ ძროხაზე, რომელიც თავისით სადმე მივა. [სხვათა შორის ამბობს, რომ სოჩის ჩერქეზები თევზს არაჰამენ; როცა იქ ვმსახურობდიო, სოფლის მწერლად. იქაური ჩერქეზის ქალები ჰურჰელსაც არ გვათხოვებდნენ თევზის მოსახარშავადო].

ანბ. გვ. 37. **ლ’არ’ჳტ** — თავისით მოსიარულე (ჩვენც ასეთი ვართ, ძროხაც და სხვ.)

ანბ. გვ. 39. **მაზ’**—მთვარე

მეზაწ—თვე. წე—დაძახება

ქიმძაჳ’მაზ—ჩვენ ასე ვეძახით ყველა ზამთრის თვეს.

მაზტალ’ა’—ტალ’ა’—გაჯავრებული, იანვარი.

ფათლ’გე—წამბაძველი, თებერვალი.

ფხაბზემა’ზ—არ ვიცი რომელი თვის სახელია. ფხა—ხე; ბზე—ძუ; ფხაბზე—ასეთი სიტყვა ცალკე იხმარება, მაგრამ განმარტება არ შეუძლია; ზოგიერთ ხეს აქვს მამრ. და მდედრ. სქესი.

ლათ’ხაფ’მაზ—ალბათ მარტი. **ლათ’ხა’** — გაზაფხული; **ლათ’ხა-ფა’**—გაზაფხულის პირველი.

მალჯაჳ’მაზ—არ გამიგონია, მაგრამ ალბათ ნოემბერი იქნებოდა, იმიტომ რომ ამ თვეში მიუშვებენ ვერძებს ცხვარში გასანაყოფიერებლად, იმისთვის რომ აპრილში მოიგოს ცხვარმა.

კერა (меделя)—თჰამძაჳ; თჰა — ლმერთი; მძაჳ — ბედნიერი. შდრ. თამადა

შენიშვნა:

მე-5 სტრიქონთან > ნიშანი.

24-ე სტრ. გასწვრივ სწერია: ზე

ანბ. გვ. 40. ნართ (კრებით: ნართ)ჯ'ხწ'რ). მათი თჰამჰტჰ იყო ტარჯანჰს. მისი ამხანაგი იყო ჩილანხანსთჰ'ნ და შემდეგ: შანჰთჰნ, სანჰსარჯჰტუ კი ნართი კი არა, როგორც ჩერქეზები ამბობენ, არამედ ბერძენი რაინდია (ხომ არ არის ამ ნართის სახელი დაკავშირებული ზემოთმოხსენებულ ღმერთის სახელთან, საუზარ-თან, იხ.), ამას იმიტომ ვამბობ რომ წიგნში წამიკითხავსო.

ჯუტჯ'ზ' როცა ჩერქეზები კერპის მსახურნი იყვნენ, ასე ეწოდებოდა მათ მთავარ წლიურ დღესასწაულსო. ზატყიკი?

ლ'ჯმანჰსან' — ნუ ჭამ ხორცს; როგორც ტერმინი, არ გაუგონია.

ჯუჰაჰშ'თჰ' — ყველის აღება, როგორც ტერმინი, არ გაუგონია-ჯუჰაჰჰ' — ყველი. შდრ. აფხ. შოჯხ.

ჯანჰჰ' — ქელეხი, როცა საფლაგზე მიდიოდნენ. საკმელები მიჰქონდათ.

ღვთის ქალიშვილი — თჰაფხჰტ ანუ, რაც იგივეა თჰანჰტჰტუ („ეს უფრო ზუსტია“). თჰარჯჰტჰ — ასეთი სიტყვა არ გამიგონიაო.

ლ'ანჰშ' — ეს იყო პირველი მჭედელი, განთქმული, მაგრამ ის ღმერთად არ ითვლებოდა. ხელით ჰკვერავდა, მუშტით. შემდეგ რძალმა უჩვენა ჟესტით (რძლები ჩვეულებრივად ხელებით ელაპარაკებიან მამამთილს), რომ საჭიროა ჩაქუჩისა და მარჯუნის გაკეთება [ეხლა მეც რძალი მყავს, უკვე მეხუთე წელიწადია, და ჯერ არ დამლაპარაკებია. ძველად კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა. ეს მამამთილზეა დამოკიდებული, ის ეტყვის ან საჩუქარს მისცემს, მაგ. ძროხას, და რძალი დაელაპარაკება. რძალი მიმართავს ან ეძახის მამამთილს ფშ'ჯ, დედამთილს გჰანჰ'ჯ. ფშ'ჯ ნიშნავსო: სახლის პატრონი]. ამის შემდეგ ცხელ რკინას ლ'ანჰშ' უკვე ვერ იღებდა, ეწოდა ხელი.

ანბ. გვ. 44. თჰაშან'ჯტჰტუ — ანგელოზი, ეტიმოლოგია არ ესმის. შერჯჰტჰტუ — სამი ანგელოზი; შუ — სამი.

წუშოჰან' — კაცი, რომელიც ცნობს ჯადოქრებს.

უსარჯ'ზ' — ექიმბაში; კაცი, რომელიც მომავალს გამოიცნობს.

ანბ. გვ. 57. შანჰაფტან' — ქალიშვილის კორსეტი; შან' — ტყავი

ანბ. გვ. 76. ჰალანჰტუ — თათლთან ერთად ერბოზე შემწვარი ფქვილი; „ხალვა“, შეადრ. „აპალვა“.

შენიშვნა:

პირველი სტრიქონის გასწვრივ მიწერილია: „უნდა გასწორდეს: ნათ; იხ. შემდეგ გვ. 76“.

მე-17 სტრ. გასწვრივ წერია: ალბათ საეპეოა, „ს“?

მე-15 და მე-19 სტრიქონებთან > ნიშანი.

ანბ. გვ. 77. ჳმელ, —სტვირი (дудка)
ფშუნა' —ორსიმიანი ვიოლინო, უკრავენ ქამანით; ასევე ეძა-
ხიან გარძონს.

ფბჳკიჩ —სატკაცუნებელი (трещотка)

უჯ'ა' —ცეკვა წრეში

ლაფარჯ'ში —სოლო ცეკვა ან ქალიშვილთან ერთად

უარჯდ —სიმღერა. შდრ. ვარადა

სანდრაჳუგ —ცეკვა წყვილად, ხელი-ხელჩაკიდებული

ტრუტუჳნ'ს —ასევე ცეკვა წყვილად

სანდრაჳუგ — ოთხი წყვილი ცეკვავს, რომლებიც ერთმანეთის
პირდაპირ დგანან. ხოლო ტრუტუჳნ'ს —აქ ბევრი წყვილია (20,30)
შესაძლებელი, აგრეთვე ერთი წყვილიც.

ანბ. გვ. 78. ჳპრადჳჳს —სიმღერების მთხზველი

ჯ'აგჳაჳჳ —მუსიკოსი

ერთი თავადი იყო, დაიფიცა, ჩემს ეზოში. რომ ჳპგჳჳჳჳ გა-
ჩნდეს, მოვკლავო. მისი შინ არ ყოფნის დროს, ერთხელ ცოლმა
დაიბარა სამი მგოსანი. ამ დროს უცბად დაბრუნდა თავადი. მგოს-
ნები დაიმაღლნენ იქვე სახლში. როცა ხანი გავიდა, მგოსნებმა იმპ-
როლინაცია დაიწყეს. თავადმა გამოიყვანა ისინი და უთხრა: დაამ-
თავრეთ თქვენი სიმღერა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სადაც არ
უნდა იყოთ ამიერიდან, პირველად ეს სიმღერა თქვითო. და მართ-
ლაც, მგოსნები ყოველთვის პირველად ამ სიმღერას ამბობდნენო.

ანბ. გვ. 82. თ'ხელჯ'უგ —ზღაპარი

ზაჳჳჳჳჳრ'დ —საომარი სიმღერა

ლ"გბჳფშუნალ" —სიმღერა ბევრ მეომარზე.

ჳაკუციები (სოჩის ოლქში) ჳ-ს ვერ ლაპარაკობენ, ყველგან ხ-ს
ამბობენ, მაგ. ჳა (ძალი) — ისინი ამბობენ „ხა“-ს.

მთქმელი მიმოწმებს, რომ შაფსულები და აბაძეხები ადგლეები
არ არიან, ადღე ეხლა უწოდეს მხოლოდ ამათ. ადღე არიან მხო-
ლოდ ბედეულები. ეს წინათ ჳატარა ტომი იყო, რომელიც ცხოვ-
რობდა ვარდან (სოჩასთან)-ს რაიონში და იქიდან გაძევებულ იქნა
აბაძეხების მიერ. იმ რაიონში არის მდინარე ჳჳჳჳჳ, აქედან მი-
იღეს ბედეულებმა თავიანთი სახელი. ამათ მოიტანეს საქართველოდან
კერპთთაჳჳანისმცემლობა. ლორებს აშენებდნენ. ეს მე გამიგონია სო-
ჩელი მოხუცებისაგანო. როცა შაფსულებმა თავიანთი პირვანდელი
სამშობლოდან გამორეკეს ბედეულები, ისინი დღევანდელ ტერიტო-
რიაზე მდ. ტუაფსეს გზით მოვიდნენო.

შენიშვნა:

მე-13 სტრიქონთან > ნიშანი.

26-ე სტრიქონის გასწვრივ სწერია:

„უბიბური გავლენა? (შდრ. უსლარის თუ ლეულაჳეს ცნობა)“.

წულჯ (sic!) ასეთი ხალხის არსებობა გაუგონია, მაგრამ არცის, სად ცხოვრობენ, სადაც ყაბარღოსა თუ ინგუშეთისაკენ.

უბჭ'ბ ასე გამოთქვამს.

სადილი მაკამეს 1 საათზე: სუპი, მოხარშული ხორცი და მაწონი; მაწონი მე და ლ'აჭსთანს ერთი მათლაფით მოგვიტანეს; ყველაფერი პილპილით არის ისევ შეზავებული.

მასპინძლის შვილი მირჩევს ვიმუშაო ერთს თავის ნათესავ მოხუცთან: შაჭუაშ'ნ მაჭუაჭუ, ჰატუნტატუ

მანჭუა—თივა

მანჭუა'ჭ—მთიბაეი

ჰატუნ—ჰა—ძალი; ტუნ (სატუნ—ვთხრი; სატუნ'—ვრგავ (ხეს...))

ის მოხუცი აქ არ არის და სხვები მიდასტურებენ, რომ მისი გამოთქმა შატსულური (აქაური) არ არის, რატომ, ვერ მიხსნიან; ლ'აჭსთანის გამოთქმას იმით ხსნიან, რომ ის კრასნოდარში მსახურობდა წინათ ტრახოვთან, მდიდარ ჩერქეზთან. იმიტომ რომ 'ლრუენ-ელია (გრივენსკაია სტანიცა, ყუბანის მარჯვენა ნაპირზე, სადაც გადასახლებულნი იყვნენ ჩერქეზები — შატსულეები, ძალიან ცოტა, ხოლო უმრავლესობა ნათხუაჯები და გამოიქცნენ იქიდან). ეხლა აქ რამდენიმე კაცია:

აცუმჭ'ზ, თ'გუჭ...

იმათთან ვაწარმოებ მუშაობას, ამბობენ ასე:

კიშმაჲ, სახელია კაცისა.

ქაკ'პ—წვერი. შდრ. ბეაკე

აგაშ'—სწავლობს

შაჭუა'—მატერია

შაღააწალ—მაწონი

სელმან (მასპინძლის ვაჟი) ამბობს, რომ ჩერქეზები ჰყოფდნენ წელიწადს ოთხ ნაწილად: პირველად ასახელებენ შემოდგომას.

სეზონები და თენიები

შემოდგომის:

1) ბუშპაუშ'

2) ბუშპაუჭ'

3) ბუშპაკ'პ'

ზამთრის:

1) თულაღაშ'

2) კიმაჭაგუჭ'

შენიშნა:

მე-10 სტოიქონთან > ნიშანი.

22-ე სტოიქონთან > ნიშანი.

3) კიმატაქ'

გაზაფხულის:

- 1) ლათ'ხაფა'
- 2) მალჯულ'ქა'
- 3) ტა'ლუ

ზაფხულის:

- 1) ლამაქა'ფა
- 2) ბაძა'ტა'ლუ
- 3) შიჯს'პაძა

წლის ნაწილები:

ბჰაპა—შემოდგომა (ეტიმოლოგია უცნობია),
 კიმატა (კიჯაა'—სიცივე; მაქა'—დღე) — ზამთარი;
 ლათ'ხა'—გაზაფხული (ეტიმოლოგია უცნობია).
 ლამაქა—ზაფხული

ეს სახელები მთქმელს სკოდნია ჩერქეზული წიგნიდან: (მეორე გამოცემა) *عاشق و عارفة* 'ელქებუ) *الفه* შედგენილი ჩერქეზების ჯგუფის მიერ.

۱۳۳۱ *اصبل*, წიგნს დევიზად აქვს:

عاشق و عارفة

ზღაწნ 'ხასამ კაბ — ჯერ ისწავლე, შემდეგ წადი 'ხას-ზე (საკანონმდებლო ყრილობაზე).

ჩვენი სასტუმრო სახლი დახურულია ლერწმით. მასპინძლის სახლი კი დახურულია ჩვეულებრივად, მგონი თუნუქით.

აქ ამბობენ ნათ-ს ნართის (ნათ←ნართ) მაგიერ (ცნობილი ეპიურ-რი გმირები), მე რამდენიმეს ვკითხე და ყველა ასე ლაპარაკობს. ასე რომ ლ'აჟსთანის ნათქვამი შესამოწმებელია, უკეთ რომ ვთქვათ, შემცდარია.

მიაბებს, რომ წინათ ყმაწვილ კაცისთვის უზრდელობად ითვლებოდა ხელების უკან დაწყობა, აგრეთვე ჯოხის დაჭერა ხელში, განსაკუთრებით ლამაზი ჯოხის, არ შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა მოხუცს გამოერთმია ჯოხი და დაერთყა პატრონისათვის.

ჩვენი მასპინძელი ამბობს, რომ წინათ ყმაწვილკაცს რომ უსართყლოდ გაევილო, ან საკინძჩამოხსნილად, მამას შეეძლო მისთვის მათრახით ეცემნა.

როცა სტუმარი ოჯახში მიდის ქალიშვილთან, უკანასკნელი პირველი ესალმება მას. გამოსალმებისას კი პირველად სტუმარი.

სალამოს 8¹/₂ საათი. რამდენიმე მოხუცი კაცი მოვიდა. მასპინძელი და სხვანი უფრო ახალგაზრდები ფეხზე დგანან.

აქ ძველი ხალხი თურმე ლაპარაკობდა (უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ერთი ამბობდა ამას) ვსაქენ — იმიტომ ПОТОМУ (?) ასე თარგმნიან თვითონ, — შემდეგ! შეწყვეტილი სიტყვის შემდეგ იტყობდნენ.

შაფსულების დანაწილება

კლანები: 1) ნთხტჷ' 2) ნტახტ, 3) ქტაბლჷ' 4) სჷპაპ'თჷ 5) სჷტჷთჷ'ხტ 6) ლჷშჷჷ'... (კარგად არ ახსოვთ, როგორც ჩანს).

7 კაცია აქ და ყველანი ერთხმად ამბობენ: ბუედულები სულ სხვა ხალხია; ისინი არიან ადღლები, ნამდვილი ადღლები. შაფსულები, აბაძეხები, უბზეხები ერთი ხალხია. ეხლა ბუედულები მეტნი არიან რიცხობრივად და იმიტომ დაარქვეს ჩვენს ოლქს ადღლეა, თორემ ჩვენ რომ მეტნი ვყოფილიყავით, მაშინ შაფსულეთს დაარქმევდნენო. იბრაჰიმი ეკითხება, შაფსულებისა და აბაძეხებისათვის ვინ არის უფრო ახლობელი: ბუედულები თუ აფხაზებიო? აფხაზებიო, უპასუხებენ. მე ვეკითხები, შაფსულები თავიანთ თავს ეძახდნენ თუ არა ადღლეს მეთქი? შაფსულები ადღლები არ არიან, მიპასუხებს ერთი და სხვები ეთანხმებიან, ადღლე არიან მხოლოდ ბუედულები. შაფსულებს ჰქვიან შაფსულები და ჩერქეზებიო.

ამ სალამოს ოცდაათამდე კაცი იქნება ჰაქეშში, მათ შორის გაუთხოვარი ქალებიც. ახალგაზრდები ყველანი ფეხზე დგანან. უკრავენ ჭიანურს და მღერაინ. შევამჩნიე, ვინც ჭიანურს უკრავს, ის არ არის მთქმელი, მხოლოდ ბანს ამბობს სხვებთან ერთად. სიმღერის ტექსტში ძალიან ხშირად მესმის სიტყვა „გუშჷ“, „გუშჷარგ“, ზოგჯერ სწყვეტენ ჭიანურს და მღერაინ უაკომპანიმენტოდ. ზოგიერთი სიმღერის ტექსტი ძალიან გრძელია. მოიტანეს აგრეთვე ჯამილი. ეს არის ლითონის მილი, ერთი დიამეტრისა ყველა ნაწილში, სრულიად თავისუფალი ბოლო ორივე მხრით, აქვს სამი ნახერეტი.

ცეკვავენ გარმონისა და კასტანიეტების აკომპანიმენტით. ფხჷჷჷჷჷ—ასე ეძახიან კასტანიეტებს: ერთ ძირითად ჯონზე მიბმულია 5 ენა, საშინელ ხმას გამოსცემს, თოფის სროლის ხმა აქვს. ორი უჭირავთ. იცეკვენ სხვადასხვაგვარი სათამაშო, სხვათა შორის, წყვილ-წყვილადაც, ხელიხელ ჩაკიდებულნი. ორ-ორი წყვილი ცეკვავდა. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით ვაჟები, კარგად ცეკვავენ. ტაში არ ყოფილა.

ეს მოხუცებიც ადასტურებენ, რომ წინათ მღვდელს ეძახდნენ „პაპას“-ს. „ჭკრჭკ“ და „ჯაშ“- ერთი და იგივე სიტყვაა; მხოლოდ „ჯაშ“- ჩერქეზული სიტყვაა და „ჭკრჭკ“ არაბული, ერთმა შენიშნა. დაუკრეს წამელი, სალამურის ხმა აქვს, ამასაც სდევს კასტანიეტი, ამის აკომპანიმენტით იცეკვებს აგრეთვე. დაიშალნენ ორის ნახევარზე.

მაისის 12. კრასნოდარი.

დღეს დაგბრუნდი ქალაქში. თუმცა სიამოვნებით ვიმუშავებდი კიდევ შაფსულებში, მაგრამ ვეღარ გავუძელი ჩვენი მასპინძლის ამდენ შეწუხებას. გემზე გამოგვაცილეს სელმანმა და ალიმ. ვცდილობ მოვაწესრიგო ჩემი შთაბეჭდილებანი. ყველაზე უფრო მე გამაოცა წესების სიმტკიცემ: მოქცევა სტუმრისადმი, ფეხზე დგომა უფროსებთან და სხვ. თუმცა იბრაპიმი ჩემზე ბევრად უფროსია და დიდი პატივისცემითაც სარგებლობს, როგორც ჩანს, აულეებში, მაინც ის შინაურად ითვლება და პირველ რიგში ყოველთვის მე ვიდექი, როგორც უცხო სტუმარი. ვიჯექი საპატიო ადგილას სუფრაზე: საპატიო ადგილად ითვლება სუფრის ის კიდე (მაგიდა ჩვეულებრივად კედელთან არის მიდგმული), რომელიც ყრუ კედლისკენ არის, ისე რომ სტუმარს პირი კარისკენ უნდა ჰქონდეს. პურსა ვკამდით ჩვეულებრივად სამნი: მე, იბრაპიმი და ერთ-ერთი ყველაზე საპატიო დამსწრე მეზობელთაგანი. წუხელ ვახშამზე ორი საპატიო მოხუცი დასხეს ჩვენთან. ამ დილით კი, რაკი სხვა არავინ იყო, თვით მასპინძელი დაჯდა ჩვენთან, თუმცა ბოდიშით. ერთი სიტყვით, მაინც საჭიროა, რომ ვინმე მასპინძლობდეს სუფრაზე სტუმარს. როცა ასეთი პირის როლში ვინმე მეზობელთაგანი იყო, მასპინძელი კერძის მოტანისთანავე გადიოდა ჰაჭეშიდან და უკან ბრუნდებოდა მხოლოდ პურის ჭამის გათავების შემდეგ. როცა ჩვენ სუფრას აალაგებდნენ, შემოიტანდნენ რგვალს დაბალს ჩერქეზულ ტაბაკს და პურს აქმევდნენ დანარჩენ მეზობლებს, რომლებიც ჭორკოებზე ისხდნენ. არც ერთ შინაურს არც ერთხელ ჰაჭეშიში პური არ უჭამია. ისინი მუდამ ფეხზე იდგნენ. ეს ფეხზე დგომა განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენდა საღამოობით, როცა ისინი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ შეუსვენებლივ. — სუფრაზე პირველად მე მთხოვდნენ პურისათვის ხელის ხლებას. პურის ჭამას იწყებს უფროსი და ისვე ათავებს. უკანასკნელი გარემოების გამო ის განზრახ აჭიანურებს ჭამას, რომ უმცროსებს საშუალება მისცეს ჭამონ, რამდენიც ჰსურთ; როგორც კი უფროსი ჭამას შეწყვეტს, დანარჩენებიც მაშინვე ათავენ. რაკი უარს ვამბობდი ასეთ საპატიო როლზე, ჩვენთან სუფ-

რაზე მჯდომი ერთი პირი ამბობდა ლოცვას, ვიდრე ლუკმას აიღებდა. პურის ჭამის დროს ჩვეულებრივად გვემსახურებოდა მასპინძლის უფროსი ქალი, რომელსაც ეხმარებოდა მისი უმცროსი და, და წუხელ საღამოს კიდევ მეზობლის ქალი. ზოგიერთი კერძი ერთი თევზით მოჭქონდათ ორი კაცი სათვის. სუფრა გაწყობილი იყო ჩანგლებით და ხის კოვზებით. ხის კოვზით ვჭამდით სუპსა და მაწონს. პურის ჭამის წინ გვაბანინებდნენ ხელს, წყლით სავსე კუმლანი და ტაშტი მუდმივ ჩვენს ოთახში იდგა. ყველაფერი დიდი სისუფთავის იერით არის აღბეჭდილი. დაწოლის დროისთვის ჩვენ გავდიოდით ეზოში და მასპინძლის ქალები ლოგინს გვიგებდნენ: ძალიან სუფთა ზეწარი, ბალიში, აბრეშუმის საბანი. ამავე დროს ჰკვიდნენ სახლს. ფეხისადგილი მოთავსებულია იქვე სასტუმრო სახლს უკან, დაწნული და თიხით შეღესილი, — ისეთ ადგილას, რომ საცხოვრებელი სახლიდან არ ჩანდეს. როგორც უკვე კრასნოდარში მიაშობოდა ასლანბეკი (ექიმი ბეასო), ასეთი დაწესებულება აქ უპირველეს საქროებას წარმოადგენს და ორ ცალად, სხვადასხვა ადგილას კეთდება: ერთი — ჰაქეშთან, მეორე — საცხოვრებელ სახლთან. დადიან შიგ წყლით სავსე კუმლანით ხელში, თვით ფეხისადგილშიაც სრული სისუფთავეა დაცული.

ფეხზე დგომა სავალდებულოა ყოველთვის იქ, სადაც უფროსები იმყოფებიან. წუხელ, მაგალითად, ჩვენი მასპინძელი არ დაჯდა, ვიდრე ათალიყმა არ უთხრა: ეს პირი მისი უფროსი ვაჟის გამზრდილი ყოფილა. ალი, 40 წლის კაცი იქნება, არ ჯდებოდა ჩვენ მასპინძელთან ერთად: ის ჩვენი მასპინძლის რალაც ნათესავი უნდა იყოს, თუ არ ვცდები, ძმისწული.

რადგანაც მე მაინტერესებდა, რამდენად არის აქ შენახული ქალის ტიპი, წამიყვანეს მეზობლებში აქაური ლამაზი ქალების საჩვენებლად. ეს მოხდა ყოველგვარი უხერხულობის გარეშე. საქმე ის არის, რომ აქ გასათხოვარი ქალი, როგორც მე თვით ვნახე ჩემი თვალთ და როგორც მიაშბეს, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს: მას თავისუფლად შეუძლია ყოველთვის მიიღოს სტუმარი; აგრეთვე ყოველ ყმაწვილკაცს შეუძლია კერძოდ ქალიშვილს ესტუმროს. სოფელში ასეთი მისვლა-მოსვლა და აშოკობა თურმე სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, როგორც მიაშბო სელმანმა (მასპინძლის უფროსი ვაჟი). თუ საქმე არაფერი აქვთ ვაყებს, მაშინვე სასტუმროდ მიდიან, საითაც გული მიუწყევთო. ოთახში მარტო არიან ქალ-ვაჟი. მხოლოდ მათი სკამები წინასწარ დანიშნულ ადგილას დგას. არც ერთი ოჯახის უფროსი წევრი ამ დროს ჰაქეშში, თუ ქალიშვილის ოთახში, არ შევა. (სელმანმა მიაშ-

ბო, ასლანბეკიც ადასტურებს ამას, რომ ქალიშვილებს თავიანთი ოთახი აქვთ, სადაც ისინი სტუმარს იღებენო), შეიძლება იქვე იყვეს მხოლოდ ქალის უმცროსი და. თუ სტუმარი ღამით აპირებს დარჩენას, მხოლოდ მაშინ გამოვა ქალის მამა ან ძმა, ქალი კი ამ დროს დარბაზს ტოვებს. ჩერქეზის ქალებს (გასათხოვრებს) საზოგადოდ ის ახასიათებს, რომ თავი თავისუფლად უჭირავთ, იცინიან, ხუმრობენ. ასე რომ უცხომ რომ ნახოს, ცუდს შთაბეჭდილებას მიიღებს. თქვენი ქალებიც ასეთები არიან? მიაშობდა და თან მეკითხებოდა სელმანი. მე დავრწმუნდი, რომ ეს ასეა. პირველი ქალი, კადირხანი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ამ აულში თურმე საუკეთესო ქალიშვილად ითვლება, და ბევრი მოტრფიალაც ჰყავს, იბრაჰიმის რწმუნებით. ის (ისე როგორც სხვები) არ გაუფრთხილებიათ ჩვენი განზრახვის შესახებ და არ გველოდა. ჰაქეშში იყო და როცა ეზოში შევედით, წინ გამოგვეგება. წესი ყოფილა, რომ სტუმარი მისელისას, ასლანბეკის სიტყვით, ეზოში არავითარ სალამს არ ამბობს. მხოლოდ ჰაქეშში ესალმებიან მას: კეთილი იყოს შენი მოსვლა. ჰაქეშში შესვლის შემდეგ ქალი მიდის მასთან, ართმევს ხელს და ეცნობა. გამოსალმებისას სტუმარი თვითონ ართმევს ხელს ქალს. [სხვათა შორის, შევამჩნიე, რამდენიმე კაცმა, მათ შორის ქალიშვილებმაც, ხელის ჩამორთმევის დროს ჯერ ცერი (ცერს წაავლეს) დაიჭირეს ჩემი, შემდეგ უკვე მთელი ხელი. ზოგიერთი ორივე ხელით მართმევდა ხელსა]. მე ეს წესი არ ვიცოდი და უკვე ეზოშივე ჩამოვართვი ხელი ჩვენს დიასახლისს. როცა ჰაქეშში შევედით, კადირხანს უკითხავს ჩემი მხლებლებისათვის (ალი და სელმანი), შეიძლება თუ არა სტუმარს ხელი ჩამოვართვაო. იმათ დაუშლიათ: ხამია, ჩვენს ადათებს არ იცნობს და შერცხვებაო. კადირხანი თუმცა ძალიან სუფთად ჩაცმული დაგვხვდა, მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, მოურთველი იყო, ფეხთ წინდები არ ეცვა. მიუხედავად ამისა, აგრეთვე, თუმცა მე სრულიად უცხო ვიყავი მისთვის, ის სრულებით არ შემკრთალა, იცინოდა, ეხუმრებოდა ჩემს თანამგზავრებს. კადირხანს თუმცა სასიამოვნო სახე აქვს, მაგრამ არ ეგუება ჩემს წარმოდგენას ქალის ჩერქეზული ტიპის შესახებ: ქერაა, მსუქანი. თუ ის მართლაც აქ ღამაზად ითვლება, მაშინ ჩერქეზები აფხაზური წარმოდგენისა ყოფილან ქალის სილამაზის შესახებ: აფხაზები ღამაზს თეთრსა და მაღალს, ხორციან ქალებს ეძახიან. შავგვრემან ქალებს აფხაზეთში დიდი წუნი სძევს. კადირხანისაგან მეორე ქალიშვილთან წამიყვანეს, რომელსაც სახელად ჰაჯჰათუმ ჰქვია. ესეც კადარხანის ტიპისა არის, იგი უფრო მორიდებით იყო. აქაც ცოტა ხანს ვიყავით და მესამე მეზობლისას გადავედით. იქ ჯერ ერთი ახოვანი ყმაწვილი შეგვხვდა

და ცოტა ხანს იჯდა ჩვენთან პაქეშში. როცა ის გავიდა, შემოვიდა მისი და, პატარა ქალის თანხლებით; ეს მართლაც კარგია: წერილი სახის ნაკვებები, კარგი ტანადობა, საუცხოოდ იცინის. ეს უკვე შატენია. მოგვესალმა და დაჯდა [საზოგადოდ, დაჯდომისას, ისე როგორც აფხაზეთში, ერთმანეთს იწვევენ ასეთი მიმართებით: „ტეს“ (დაჯექი) ან „შეტეს“ (დაჯექით, როცა ბევრს მიმართავენ)]. პატარა ქალი ფეხზეა. ეს ქალიშვილიც ძალიან თავისუფლადაა, იცინიან, ხუმრობენ. ვგრძნობ, რომ საუბრის საგანი მე ვარ. სელმანი ჩემს შეკითხვაზე, მიაბობს, რომ ქალისთვის მიუმართავს: ქალო, თუ გათხოვებას აპირებ, ამ ჩვენს სტუმარს უნდა მიგათხოვოთ. ალი აქ სიტყვას ურთავს: მე კი უნდა გაგაფრთხილო, სტუმარი გვარად შოუგენია (ჩემი მასპინძლის გვარი), იქნებ შენ ასეთი გვარის კაცს არ გაჰყვები. შეიძლება, მაგ გვარის კაცს არ გავჰყოლოდი, ამბობს ქალი, მაგრამ თუ ეგ შოუგენია, მაგას გავყვები, — იცინის თავისი მიმზიდველი სიცილით და თეთრ კბილებს აჩენს. მიუხედავად ჩვენი მშვენიერი დიასახლისის პატივისა, აქედანაც ჩქარა წავედით, სახლში მიგვეშურებოდა. თუ ქალიშვილობისას (გათხოვებამდის) ქალი აქ ასეთს ყოფაშია, შემდეგ მისი მდგომარეობა ძირიანად იცვლება. თუმცა ჩადრს არ ატარებს, მაგრამ უცხო მამაკაცს არ ეჩვენება ხოლმე. ჩვენი იქ ყოფნისას, ამ ოჯახის დედაქალები ახლოსაც არ გაგვეკარებინან. სოფლის ქუჩაში რამდენიმე ქალი შეგვგზავდა, მაშინვე განზე გადადგნენ და პირი ღობისაკენ მიიბრუნეს. მამაკაცი აქ გათხოვილ ქალს, გზაში შეხვედრისას, თურმე არ ესალმება. ოჯახში ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჰამენ პურს. რძალი ისეთ წესებს იცავს, როგორც ეს აფხაზეთშია მიღებული. ქალის გათხოვება წინათ ყოველთვის ყალიბთან (ურვადთან) იყო დაკავშირებული, ეხლა ხელისუფლება ამ წესს ებრძვის, მაგრამ ის თურმე მთლად გადავარდნილი არ არის. იბრაჰიმმა მიაბო, რომ ამას წინათ ფანახესში (შაფსულების აული) გაუთხოვებიათ ერთი ძალიან ლამაზი ქალი ხნიერსა და ულამაზო კაცზე, რომელიც მას არ უყვარდა. ქალი თურმე ძალიან დამწუხრებული იყო, ამბობდა, რომ ის სულერთია იმ კაცთან მიინც არ იცხოვრებს და რომ ნახევარი მისი ცხოვრება დაღუპულია. მაგრამ მიინც თავის ძმებს უარი ვერ შეჰბედა, ძმებს კი ყალიმი აულიათ: 240 მან. ფულად და დანარჩენი საქონლად. ის ქალი ეხლა სასამართლოშიც რომ წაიყვანონ, მიინც ძმებს არ გასცემსო.

- ი ლ'გუგ თგუბნტფსგ.
 75. თი ნამღს ქაბტუბჟუქტუგ.
 თქამმეკტუბუ თაზლწშოგნწ.
 ფშე'ხუბ იკე ი დატეშ ნალწსგ.
 მე სგრეფეშემ ი სწლამ გეატუბუ.
 ქელგე გეზბუქ სოაუტატ.
 80. დეჭტრემ ი თ'ხელ'გმი თგრანთ'ხწ.
 ტთ'ხეპაღტუბუ სო: ტატმე თ'ხედწ'გ.
 სოაზ'ეტუბუ სოტეგმე ფშეგნაპწ.
 კსტუგ ს.

Песня о Шеретлуко Кызбеч

Дед Эльмешук, отец Тугуж, Тугужа сын Кызбеч,
 Дед Эльмешук, (его сын) Тугуж, сын Тугужа Кызбеч,
 В темную ночь он незаменимый путеводитель (он освани-
 вает темноту),

Верх его шлема, как лунная ночь,
 Тетива его лука не обрывается, к встрече с храбрецами
 он готов.

С коня слезает он лишь по желанию,
 Младший брат его Бат-Мирза, Зачерий их племянник
 И мужчиной рожденный Хаджаль, сдвинувший с места
 крепость пушек.

На лошадях привозили они много добычи, невестки [?]

радовались им.
 Дочь Супако величают, Орлом налетает, отбивает трид-
 цать лошадей

И выкупает своих пленных.

Белыми деньгами он дарит весь аул;

Красивая дочь Гуаше с шелковым подилом, с тяжелым
 сердцем рассталась с ним.

Два молодых сына его, у которых Сейтовская тамга,
 как орлы на седлах грызутся. Хорошая их жизнь кончилась.

Мечи они волочат по земле, их кольчуги впереди дру-
 гих всадников;

Нет ни одного всадника, который бы с ними сравня-
 лся.

Достает длинный лук и вынимает из колчана стрелу—
 пускает к неприятелю.

Кызбеч любит мечом сражаться. Он коленом солдат повергает

Гяуры из пушек проворно стреляют; как под тенью деревьев стоите вы под пороховым дымом.

С конца его меча капает кровь. Штыками осаждали их, но с коней их снять не могли.

Армия не может их испугать: этих мужей трудно испугать.

Они высокие, ст[р]ойные богатыри воины.

С кольчуг их при ударах искры сыпятся; родственники о них читают молитвы.

Кызбеч таков, как про него говорили. Кызбеч появился, меч свой на врага направил, действовал как шагид... смерть одна!

С обрубленным у коня хвостом, с поломанной пикой и с отрубленным плечом, повергнув его (неприятеля) в гриву коня, вогнал обратно в стан гяуров.

Малое, но огневое войско; оно на каждой переправе.

Копьями Вы снимаете врагов (на копья врагов вы смело идёте).

Уж уехали. Молодые Баджегировы у них на крупах коней.

კვითხულობ ამ ტექსტს მაჰმუდ ბჟასოსთან ერთად.

1. ჭირად—სიმღერა.

2. ჳზგაჟეჟღარ — მთქმელი; ჳაჟაჟეჟუ — ანდერძს სტოვებს ან სიტყვას იბარებს; ჳაჟაჟეტჟუ — რალაც გაუგონია და იმას ამბობს; ჳგაჟეტჟღარ — თქმული. აჟგფსფჳ 'გუგ' — აჟიფსიფელი.

3. ჳგთ ხგღარ — დანწერი; სთ'ხა' — ვწერ; არ მთ'ხა — ის წერს; აშ' ათ'ხა' — ის წერს რასმე.

5. ათ'ხაჟ (ბჟედ. || ათ'შა'ხაჟ) — დიდი მამა, ბაბუა. ტუაფსელები უფრო ხშირად ამბობენ: ათჳჳს (აჳჳს — რქოსანი საქონელი); ესევე სიტყვა ნიშნავს წინარს; ამბობენ 'აგრეთვე ლ'გჳს ს, — დიდი კაცი (ზლაპარშიაც); ეღღგგჳჳჳჳ (მაჰმუდის გამოთქმით;

შენიშვნა:

27-ე და 31-ე სტრიქონებთან > ნიშანია.

ამტკიცებს აქ შეცდომაა; შაფსულები შა (მაგარ შ-ს) -ს სრულე-
ბით არ ამბობენ, ყოველ შემთხვევაში ტუაფსელები. მაგ. შგ—ცხე-
ნი; აქ ბუედულებში: შაგ; ჰაკუცები (კრასნაია-ალექსანდროვსკაია,
ლუღუტათხ) კი ამბობენ ჩგ (უფრო რბილია, ვიდრე აფხაზური
„ჩოგ“); ბუედულ.: კვლავ' || აგუელები: კვლავ' || ჰაკუც.: სყალავ' (აქ
ისეთი „ყ“-ა, რომელიც ჩვენ არ გვაქვსო, უფრო გუთურალი, ვი-
დრე ქართ. „ყ“), სყვლავ'—მამაკ. სახელია.

6. აშ—იქ (ასე განმარტავს!), „იმას“ ნიშნავს თუ არა მეტქი,
დიახო, მხოლოდ როცა ის პირი არ ჩანსო!; გუტუტ (ეს სწორი არ
არისო, აქ უნდა იყოს გუტურ-იო, თორემ ვამოდის, რომ გუზბექი
ელმიშუხვის შვილიაო, კარგად ვერ გავიგე. სხვათა შორის, მაჰმუ-
დი ყოველთვის ამბობს „გუზბეჩ“, იმიტომ რომ ჭემგუებში არის
გაზრდილიო.

8. მზა'ხვ'(რ) ბუედ. || სუტუნუ—ბნელი; გუტლუტუზგ: ლუვზვ'—
წინამძღოლი; ხელმძღვანელი; თოვის წვერზე სანიშნო; აქ არ არის
ნათქვამი, რომ ის სხვისი ბელადიაო; კარგად ვერ გავიგე.

9. მზვლუტ'რ—მთვარიანი ღამე; მე გამიგონიაო თნჯ' (აქ ასე
ამბობენო) — მუზარადი. შდრ. თაჯი.

10 და 11. ვერ განმიმარტა.

12. სუაჭილუტ'გვ'. — როცა მას უნდა; გუფსგ'ხგუგ — ჩამოდის
ცხენიდან.

13—14. ნვპკ — უმცროსი; ფხტარგლ'ტ — დისწული, ფხტა—
ქალიშვილი; შდრ. თჰარგტუ. ჰარგლ'ტ — ძალისშვილი (გინება).
ლ'ტ—დაბადება [inf.: ლ'ტან];

15. ლ"გ — კაცი; ვაუკაცი; ლ"გ წარმომდგარია ერთი ზმნის
ბრძანებითი კილოდან, ლ"გ — მოკალ ხანჯლით, ან ხიშტით (ხმლით
კი არა, სხვა ზმნაა საჭირო) ე. ი. წვეტიანი იარაღით; ჭალ'ტგლვრ
— მისთვის (ყაზბექისთვის) დაბადებული; ე. ი. ყაზბექისათვის მამა-
კაცად დაბადებული.

16. თუფ ვაბარ — ხარბაზნის ქალაქი.

გვლნქუტუშგ (ასე უნდაო!); ქუტუშგ — იმოდრავე!

გვლნქუტუშგ — ახლო სწევს (привдвигает).

17.

18. ნესპვ (ეს არ არის შაფსულ. ფორმა); რძლებით (?). შდრ.

ნოსა; გუტსუტუტ' — სიცილი (გუტ — გული; სუტუტ — სიკეთე).

შენიშვნა:

მე-2 სტრიქონთან > ნიშანი.

მე-11 სტრიქ. გასწვრივ მიწერილია: „ელიშული“.

19. ქილპ'—ყაბარდოულად ნიშნავს წელს (ამ სიტყვას ხმარობენ, როცა იკითხავენ, რამდენი წლისა ხარო). ბასლინეური ხომ არ არის?

20. ჩაშუმ.

მაისის 14, 1929.

დღეს ჩამოვედით აულ ლ'აჭსთაშნაპბლ-ში თლიუსთენჰაბლი (Тлюстенханль). 11 ვერსია კრასნოდარიდან. ასლანბეკი, იბრაჰიმი და მე ვართ ასლანბეკის სახლში. ეს არის ბეედულეების აული, თუმცა არიან აბაძენები და შაფსულეებიც. ენობრივად ყველანი ბეედულეები არიან. საინტერესო კაცია ასლანბეკის მამა. აცვია ბეშმეტი, თავზე ახურავს ბოხონი. სანამ ის ოთახში იყო, ასლანბეკი ფეხზე იდგა. ლაპარაკობს, რომ თავისი ენა, დედა-ენა, პირველი საქმეა და არავენ არ უნდა დაივიწყოს. „ეს ფევია“. სადილის დროისათვის გავიდა ოთახიდან, ალბათ, რომ შვილისთვის საშუალება მიეცა სადილი ეჭამა. შემდეგ აღარ გვინახავს. ჩვენ წავედით გასაველად. ასლანბეკი გვიამბობს, რომ მათ ერთი მოხუცი აბაძენი მეზობელი ჰყავდათ, რომელსაც სხვათა შორის ის თავისებურება ახასიათებდა ამ სოფლებთან შედარებით, რომ საზამთროდ წინასწარ მოიმარაგებდა შეშას და ამ შეშას თავისებურად ალაგებდა, სიგრძით მიაყუდებდა გროვად ხეზე, რაც ჩვენებმა არ იციანო, და საზოგადოდ, წინასწარ შეშას არ იმზადებნო. მე ამან ჩვენებური წესი მომაგონა შეშის დაწყობისა. ესეც საერთო ტრადიციებს უჩვენებს? ვნახეთ ტყე, გაველურებული ხეხილისა—მსხალი და ვაშლი—ძველი ჩერქეზული ბალია. ძალიან სუფთად დაცული, აქეთ სოფელთან. სოფელი აქედან ფიჩხის გატანის ნებასაც არავის აძლევს, უფროხილდება როგორც წინაპართა სახსოვარს. ეხლა სოფელს ორი ათას მანეთად მავთული შეუძენია, რომ შემოლობოს იგი. 35 — 40 დესეტინა იქნებაო.

საზოგადოდ, აქაც იგივე ჩვეულებებია, როგორც შაფსულეებში. ასლანბეკი ამბობს, რომ ქალები და კაცები ოჯახში ეხლაც ცალკე ჰამენ პურს. დედაჩემმა მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში დაიწყო პურის ჰამა მამაჩემთან (79 წლისა, ტუაფსის რაიონიდან გადმოსახლდა აქ 1864 წ., მაშინ 14 წლისა ყოფილა. მას შემდეგ სამშობლოში არ ყოფილა; ამტკიცებს, რომ შეუძლია თავის სოფელში იპოვოს ის ადგილი, სადაც მათ თავისი ქონება დამარხეს) და მაინც თავს უხერხულად გრძნობსო. მაგრამ ზოგიერთი რამ უკვე

შენიშნა:

პირველი სტრიქ. გასწვრივ მიწერილია „წელი“.

იცვლება, მაგალითად, „ჰაჰეში“ ჩვენს სოფელში ეხლა ცოტა არის. ნამდვილი ძველებური ჩერქეზული ჰაჰეში (საკომლო მილიანი კერით და მიწის ტახტით) ერთადერთი იყო და ამ ერთი თვის წინათ დაანგრესო.

აქაც ორი კაცის შემწეობით ვამოწმებ გ-ს გამოთქმას და მაინც „ტ“ გამოდის და არა „ყ“. „ძე“-სა და „ღორ“-ში თანხმოვანი (პირველი რადიკალი) ერთი და იგივეა, მხოლოდ უკანასკნელი ხმოვანი განსხვავდება ოდნავ, როგორც თვითონაც მიდასტურებენ: ძე — „ტუტ“ და ღორი — „ტუტ“, პირობითი ტრანსკრიპციით, რა თქმა უნდა. ასლანბეკის განმარტება: როცა „ძე“-ს ვამბობთ, ბოლოში „ო“ მოკლე ისმისო.

შაჟუ (უ ვიწრო) — მხედარი (← შაჟ — ცხენი)

მაზუტ (|| მაზუტუტ) — „მარეკი“ („гайщик“) ადამიანი, რომელიც ნადირობის დროს ყვირილით რეკავს ნადირს, (← მაზუტ) — ტყე

შაკუანჩუტ — მონადირე (← შაკუტუჩი — თოფი).

ტუაუტ — ვინც ნათესს იცავს ღორებისაგან (ტუტ — ღორი; უტ — დაარტყი (ობიექტის მიუთითებლად); ჯუტ — მას დაარტყი!

შაუტ — მეეტლე, „ცხენების მჭენებელი“ (შდრ. შაჟუ, აქ ბოლოში „უ“ არისო, ამბობს ასლანბეკი).

შუტ („უ“ ვიწრო) — მაწონი (кислое молоко); შუ — რძე, ასევე გამოითქმის „ისარი“ და „ტყვია“; შუ — სამი.

საუტ — ყმაწვილკაცი (დასაწყ. თანხმოვანი ასეა!)

შიშ — ამისაგან („из этого“); ლ‘ჯუტუსთჰნჰაბლ. შიშ — თლიუს-თენჰაბლიდან.

ტუფ შიშ — შენიდან (из твоего)

შიშუ შიშ — თქვენიდან

თაჩიშ — ჩვენიდან

საჩიშ — ჩემიდან

აშიშ — მათიდან

აშ შიშ — მისიდან

} - ეული, მთელის
ნაწილი

შეადრ. ჩაჟ || საჩაჟ — ჩემი ძმა

ფშაჟ — შენი ძმა

აშ გშა — მისი ძმა (sic!)

იშა — მისი ცხენი

თაჩაჟ — ჩვენი ძმა (ჩა ერთხმეი!)

შენიშვნა:

მე-13 სტრიქონთან > ნიშანი.

მე-18 სტრიქონის გასწვრივ მიწერილია:

„ალბათ, მრავლ. ობიექტ. ინფიქსი“.

შპფშაჭ — თქვენი ძმა

აშ აშა || აშგმა აშა — იმათი ძმა (მიაქციე ყურადღება აშ-ს!)

თ-ს გამოთქვამენ უფრო მტკიცედ, ვიდრე ქართ. „თ“.

ისასჷ — „მისი ძე“ — ს მნიშვნელობით იხმარება.

ეზო (ДВОР) — ავ'გჷ, შაჷ. შა'გჷ არ გაუგონიათ (შეადრ.

გვ. 94).

ნაჷპ' — დედაბერი

15. V. 1929

ნანა'ზ, — ბებია

ჷნსჯ — თოვლი. შდრ. მუს

სგხ — თრთვილი

ხგ — ობობას ქსელი

ხგლავ' მაქმანი

ხან — მაქმანის კეთება, ქსოვა

ჷნლავ' — ზეავი, გროვა, სირმა (шнурок)

ჷან — უნაგირი

მოკლე - ჰაქჷპ' (კულ-მოჭრილი, ცხოველებზე, კაბაზე და სხვ.)

მოკლე — ჰაქჷპ' (ყოველგვარ საგანზე). შდრ. კაჷპ

წვერი — ჷაქჷპ' (ჷპ — პირი, ჰაქჷ — კული). შდრ. ჷაჷჷ.

ულვაშები — ფაქჷპ' (ფა — ცხვირი). შდრ. ფაწა

მატერია — შაქჷპ' (შა — ქონი)

სამკედლო — ჰიშ

სწავლობს (კითხულობს) — ავ'ჯავ

ასლანბანჩ

ჩაფავ'ჩ — კაპეიკი.

აბანს — 20 კაპ. (მხოლოდ ასე ამბობენ)

სომ — ერთი მანეთი

სომ — ფული

ანშ — ფული (უფრო ხშირად)

ჩემალ-ფაშა — ქემალ-ფაშა

სულთანების სახელები:

მაჰამედ-ჩერგა

დოლათ-ჩერგა

ჰაფლან-ჩერგა

ალჯარგა (ადილგირგა).

შენიშვნა:

მე-5, -7, -9 და მე-15 სტრიქონებთან > ნიშანი.

პირის სახელები (თავად-აზნაურობაში)

ყვრემ-ჩერგე

ჯან-ჩერგე

ჰაჯ-ჩერგე

აზმან-ჩერგე

სალათ-ჩერგე

ბარჩხ'თ — ბარაქათი

(აღღლეურ წიგნის მაღაზიას კრასნოდარში სხვათა შორის აბ-რაზე აწერია...თუჩან (მეგვანინ)...

მე გავემგზავრე ცხენით (верхом) — შეგუპ'უ სკუტალ. შეგმგვ' სკუტალ — ცხენით გავემგზავრე

ვთხრი ნიჩბით — ყვზღერგმგვ' სტუპ (ყვზღერ — ნიჩაბი)

ვცემ ჯოხით — ბშშგმგვ' სიჯაუპ' (ბშშ — ჯოხი)

ვჩენ ხმლით — სშშკუპმგვ' ისა'უპუპ (სშშკუპ — ხმალი)

დანით ვჭრი — საჟაჟმგვ' სანბზ' (ვსერავ, ვკვეთავ; ს'აჟაჟ — დანა)

ხუშთა'ფ — არ შეიძლება (ხუ'შთ — შესრულდება). აფ — არ არის!

შეჯა'ფ — არ არის (შეჯ — არის)

შდრ. ყაბარდ. ჯამ არ არის

მე მაქვს — სნა

შენ გაქვს — უნა და ა. შ.

მას აქვს — აშ ნა

ჰაჯანაფ — სირცხვილი! თავის მოჭრა.

(ნაფა' — სახე). შდრ. თავსლაფი

ჰაჯა' — განავალი (ადამიანისაც და ცხოველისაც)

ცაბ' — ცხოველის განავალი

მანგ — მამაკაც. სასქესო ასო

გშდღ — ქალის სასქესო ასო. შდრ. კუტუ

ამ აულის გვარები

- 1) ძაღიჯა' ედიჯა (აბაძეხი, გლეხი, არის აზნ. სხვაგან)
- 2) ჰთიგუპაჟმგუპუ ხატიკიმუკოვი (ბუედ. გლ.)
- 3) ფჩაპალ'გუპუ პჩეგატლუკოვი (ბუედ., უბრჯ)
- 4) ჰაჯანმგუპუ ხაჯიმუკოვი (ბუ. ფშუგ)
- 5) ჰამჩარჩგუპუ კამჩარიკოვი (ბუ. ფშუგ)
- 6) ტახტამრგუპუ ტახტამრუკოვი (ბუ. უბრჯ)
- 7) ლუჰამგუპუ გუჩემუკოვი (ბუ. გლ.)
- 8) ლაჟმგუპუ ლაჟმოკოვი (ბუ. გლ., არის აზნ. სხვაგან).

9) უნან' უანე (ბუ. გლ., არის აზნ. სხვაგან.)

10) ბანმგტუ ბანმუკოვი (აბად.) [მისი ნამდვ. გვარი: ლ"გუშ],
ჭყუტულ"

11) შარმგტუ შერემუკოვი (ბუ., გლ.)

12) ბუას'უგ ბუასო (შაფს.)

13) ტუტქანსტუ კოჩესოკი (ბუ. გლ.)

14) მანმგტუ ენამუკოვი (ამავე აულში)

15) ლანტუნალ"გტუ ლალუნატლუკოვი (ბუ., ციტიტუ უბრტ).

16) ტამასტუ ტამასუკოვი (ბუ. გლ.)

17) მანმგტუ მანმუკოვი (აბად. ჭყუტულ")

18) ხუნანტუ ხუნანოვი, ნ. გვ. 92 (აბად. ჭყუტულ" შემდეგ გა-
 ყიღულ იქნა და გლენად იქცა).

19) ნაგტუ ნაგუკოვი (აბად. ჭყუტულ" „—").

20) სანტუტუტუ სანატოხოვი (შაფს.)

21) უანანჩე უანანი (აბად., ჭყუტულ")

22) ანგუგუტუტუ ანგუგოვი (ფუზ, ბუედ.)

23) ბატტუ ბატოკოვი (ბუ. გლ.)

24) ჰაბრანტუ ხაბრანი (აბად., ჭყუტულ")

25) დანტუ დუნუ (ბუ. ?)

26) ჩანანტუ ჩანანოვი (ბუ. უბრტ, ძველად ძლიერი აზნ.
 გვარი).

27) ჰანტუტუ ხატოვი (აბად. ჭყუტულ")

28) გუანტუტუ გუანოკოვი (აბად. ჭყუტულ") ეს ორი ძმები იყვნენ
 ამ აულში და სხადასხვა გვარი მიიღეს.

29) შანანტუტუ შერეტლუკოვი (შაფს. უბრტ)

ტომები: ბანანტუ, აბან'ხ, შანანტუ, კანანტუ, მანტუშა, ჰან-
 ანტუ, მან'ხტ, უნან', ნათხანტუ, უბანანტუ, აბანტუ [pl. აბანტუ'ხარ, აბან-
 ტუ'ხ, შდრ. აბან'ხ].

წოდებანი: ხან; ფუზ; უბრტ; ცანტუტუ უბრტ (შინაყმა, რომელ-
 მაც აზნაურობის მიღების ნიშნად მიიღო თავადისაგან ორი ხარი
 ცანტუტუ ან: ცანტუტუ); ჭყუტულ" (თავისუფალნი; ეტიმოლოგია უცნო-
 ბია); ფუანტუტუ (თავადის კაცი, ყმა):

ა) უნანტუ.— თავისი მეურნეობის არმქონე, თავადის ეზოში
 მუშაობდა.

ლარ—ტყვე.

ჰამგუკულ"ჭტუ—ძალის შობილი; საკიცხავად ასე ეძახდნენ ფუ-
 რულ"გ-ს. გლენების უმრავლესობამ გვარის სახელები მიიღო გლენთა

შენიშვნა:

ბოლო ორ სტრიქონთან > ნიშანი.

განთავისუფლების შემდეგ, ზოგმა მფლობელი სახლისა, ზოგმა მამის სახელის მიხედვითო.

ეტიმოლოგიები

1) ?

2) პწთიგტბა—ტომისა და პირის სახ.

3) ფჩპპ—სალამო;

4) ჰაჯის ძე.

5) ჯამჩარბა—პირის სახ. (ჯამ-გირეა)

6) ?

7) ლუქა—მკედელი; მკედლის შვილი.

8) ლ'აგშა— დაბალი; ალბათ ეს სიტყვაა გაფუჭებულიო.

შდრ. აფხ. ნაყუა

9) ?

10) ბაჩ—პირის სახელია..

11) შორა—უცნაური, არასრულფასოვანი (აღამიანზე)

12) ?

13) ჯტაქბას — „საყვარელი შვილი“; ქბას — საყვარელი; პირის სახელია.

14) ?

15) ლაღტუნ — ახლადდაქორწინებულთა ოთახი; სანთიობო; აფხ. ამჰარა; ლაღტუნალ"გ—ამ ოთახის კაცი, მსახური.

16) ტამაშ'ს—პირის სახელი.

17) მაშუგ—ფეტვის ნათესი; ჰგსაჲ—კარგად არის განწყობილი.

18) ხუნ — ჩრჩილი; მწყემსვა; აბაძეხების გვარი მგონი გუ-ზე თავდება.

19) ნაჯგ—თავისუფალი, არამორცხვი ქალი.

20) სპტა—ყმაწვილი, თახტუ—მომრავლება

21) ?

22) აჯჯაგუ—მამაკაცის პირის სახ.

23) ბატ—მამაკაცის პირის სახ.

24) ჰა—ძალი

25) დბ—კაკალი; „დათანხმდი“; ხტუ—ხვადი

26) ?

27) ?

შენიშვნა:

მე-16-, 24-ე, 29-ე და 32-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

მე-20 სტრიქ. გასწვრივ მიწერილია: „სახლი“.

23-ე „ „ „ „ მახე“

28) გუშაშა' — თავადის ცოლი, თავადის ქალი.

გუშაშაშაშა' — ვინც ატირებს თავადის ცოლს;

29) შარაშა' გუშა, უფრო ხშირად და შარაშა' — პირის სახელება. (შერეთლუხი).

აქ სამძიმარი ასე სცოდნიათ: რამდენიმე კაცი (ორი ან სამი, ყოველ შემთხვევაში ერთი არა) ჩადის ეზოში. წინასწარ გაფრთხილებული ჰქირისუფლები (მხოლოდ მამაკაცები) გამოდიან სახლიდან. როგორც მიმსვლელნი, ისე დამხდურნი მწყრივდებიან ერთუროს პირდაპირ. მომსვლელნი მარცხენა ხელს ზევით სწვევენ სანახევროდ. ამასთან ერთად მათ შეიძლება ნახევარი ხმით რაიმე მისასამძიმრებელი სთქვან. ჰქირისუფალნიც აგრეთვე ხელისაწევით უპასუხებენ. შემდეგ სამძიმრის მთქმელნი შეიძლება უკან დაბრუნდნენ, ან სახლში შევიდნენ, სადაც რამდენიმე ხნის განმავლობაში ჩუმად სხედან. შემდეგ იწყება საუბარი მიცვალებულის გარშემო.

გავიარეთ აულში, სულ პატარა აულია, 60 — 70 კომლამდის. გზაში შეგვხვდა ჰაჯიმჯევა (თავ.) და მისი ბიძა ჩესებია (აზნ.), ორივე ახოვანი ვაჟაკია, მაგრამ ლამაზებად ვერ ჩაითვლებიან. თვალები ორსავე ღია ფერისა აქვთ.

ვნახეთ ჩერქეზული სამზარეულო სახლი. დიასახლისი არ გვექცევია. როგორც ამიხსნეს ეს იმიტომ, რომ ჩვენ ახალგაზრდებად გვთვლის, ყოველ შემთხვევაში მისს ქმარზე უფროსები არა ვართო. მოხუცებული რომ ვინმე ყოფილიყო ჩვენ შორის, დაიმალებოდაო. კერა წარმოადგენს დატკეპნილ ადგილს, აგურია დაგებული და ზედ მიწაა გადაგლესილი. ამას ზემოდან დახურული აქვს დიდი მილი, საკმაოდ დაბლა ჩამოწეული, ქვევით ოთხკუთხედი, ზემოთ მრგვალი და უფრო ვიწრო, მაგრამ მაინც საკმაოდ ფართო გასავალი აქვს ბოლსა. მილი სწორია, და არა მრუდი. გაკეთებულია დაწნულად, და გალესილია თიხით. კედლის მხრით პატარა ბარიერი აქვს ბუხრის თავივით, გალესილი აგური, ორნამენტით შემკული. ეს იმიტომ რომ კედელი დაცული იქნას ცეცხლისაგანაო, რადგან კედელი გალესილია თიხით, გაცხელებულ თიხას კი შეუძლია ცეცხლი გაუჩინოს ხის ან წნელის კედელს.

ქიგ — მიწა (საზოგადოდ), შდრ. მი-წა?

აბტა — მიწა (ნაწილი, ხელში ალებული), თიხა. შდრ. ლეტა.

კედელთან, იქვე კერასთან, გამართული იყო თიხისავე ტახტი, ძალიან დაბალი (3—4 ვერს.), ზედ ეფინა ჰილობი; ეს ცეცხლის პირას საჯდომადაო. იქვე იდგა დაბალი რგვალი სამფეხიანი მაგიდა ანაშა', ძალიან პატარა. ამაზე თურმე ღომს აგებენ შუაში ყველასთვის ერთ გუნდად, ღომში აკეთებენ სიღრმეს, რომელშიაც ასხამენ

წვენს (ქათმისას), თუ ასეთი სადილად აქვთ. იქვე კერასთან გაკეთებულია პურის საცხობი ფურნე.

ჯვარი—ჯაშუ

ჯორჯ—ერთის განმარტებით ეს არის ჩირაღდანი, რომელსაც თაყვანს სცემენ.

ჯორგმ ჭპაშილ"რპ' ცეცხლის თაყვანისმცემელი.

მღვდელს ეძახიან „პოპ“-ს, ან „პაპას“-ს.

ქალის აღსანიშნავად რუსთან საუბარში ჩერკეზები ხმარობენ თურმე სიტყვა „მარტუშკა“-ს (გაფუჭებული „მარუსკა“).

აქაც ყოფილა ჩვეულება სხვადასხვა შემთხვევითი მოვლენის მიხედვით სახელის დარქმევისა. მაგალ. ყოფილა სახელები:

მაპონ, კადეტ (კადეტების მთავრობის დროს ყუბანის ოლქში დაერქვა ასე), კიტაჟ, ბალშევიკ.

ღმთაჳტ — ჩაყარე (ნახვრეტში, ხვრელში, დოლაბში და სხვ.) სახელი ასეთი არ გაუგონია. შდრ. დოთალო

ღთაჳტუტ—დაფშენი (ორცხობილა, ბელტები...)

მაჳგრაჳტუტ—ის ჩქარა ბრუნავს (დოლაბი, ფრთები, მორევი).

შდრ. კოროხი

საჳგრაჳტუტ—მე ვბრუნავ

უჳგრაჳტუტ—შენ ბრუნავ

ჳგრაჳტუტ—რევოლვერი (ტრიალისაგან?)

ბალოტ—დამბაჩა.

მორევი—არხუჳ'ნ

შქჳნჩ—თოფი

ჳგრაჳტუჳ'ნ—ჩქარა ტრიალი, ან საზოგადოდ ტრიალი.

ბაჳჳნტ'ში—ყოჩი, რომელსაც სტუმრისთვის კლავენ; ეხლა ამ სიტყვას მხოლოდ მოხუცები ხმარობენ.

თავაზიანი—საჳჳაჳტ

'ხაზაჳ'—აღათი, წესი. შდრ. აფხ. ჳაბაზ

ადგ'ლჳ'ხაზაჳ' || ადგ'ლჳ'ხაზაჳ'—ჩერკეზული აღათი, წესი

უჳრკ'ხაზაჳ—თავაზიანობა, ზედმიწევნითი ცოდნა და შესრულება აღათ-წესებისა.

ჳალოჳ'უჳ'რკ—ზრდილობიანი ახალგაზრდა კაცი

ვედრო—შალ'

ცული—უბაზაღტუჳ

შენიშვნა:

მე-3, -4, -6 და მე-7 სტრიქონებთან > ნიშანი.

მისალმებები

ჟე ფინდიჟ-სიჯე—დილისა (ფინდრე—დილა) (|| სიი...)

ჟე მჰჰა' სიჯე—დილისა (|| სიი...)

ჟე ფრეჰა სიჯე—სალამოსი (|| სიი...)

ჟე ჩეჟ სიჯე—ლამისა (|| სიი...)

ჩჰჰე—ლამე.

პასუხი

თჰამ გნჰ'სიჯე ყეფჰე'ჰე—ღეთის კეთილი თვალი.

ნაკლებ: თჰა ჟეალაფს'ჟე—ღმერთმა მოგცეს ჯანმრთელობა. ეს უკანასკნელი არის აგრეთვე სამადლობელო სიტყვა.

ხალრჰ'ჟე—ვინც უვლის (ухаживающий); თუ სამი ცხენოსანი მიდის საღმე, ყველაზე უმცროსი იქნება ხალრჰე.

ქალის სახელი: ტჰე (ეტიმოლოგია უცნობია).

პირის სახელები

ქალები:

სას, ცაც, ცვრჰჟ, ცაცჟ', აქსტრახან (დიდი ომის მოგონება), ბჰჟ („ჩიტი“), ქჰჰჰჰა, გჰაშჰუნჰ'ჟე (აუნჰა — მისი საკუთრება; ეს წოდება „თავადის ქალი“ მთლიანად მას ეკუთვნის), ნახტრჰ'ჟე (ნჰ — თვალი; ხურჰ'ჟე—მრგვალი), გჰაშჰჰჰჰ, ჰაჰაჰჰ, ჰაჰინან, ცჰჰა, სრჰა (=ვირთხა), ბრჰა, ასლანხან, გჰაშჰსა ხჰ.

კაცები:

რგხჰჟ; წგჰჰდღღ (=სულ პატარა; შეადრ. ინდღღ—სულ დიდი; დღღღ—სადგისი); ჰმერჰან; სჰჰჰრჰჰ; ჰატჰჰ; მჰჰამოდ; დღჰ (= მჰა-რე); სჰჰჰჰჰ (სიჰჰ — ყმაწვილი კაცი; ჰჰჰჰ'—თეთრი); ჰტტტტ; ჟჰ-ღჰღ; ჰარჰჰ'ჩ; ჰნღღრჰჰ; სჰჰჰჰჰჰ (ბედნიერი ყმაწვილკაცი); სჰჰ-ჟსიჯე (კეთილი ყმაწვილკაცი); თგღჰ'ჰ (= მგელი; იმავე დროს: ძველი ქურდი, აქაური ეტიმოლოგიით); თათლჰსთჰ'ნ; ყასჰოლჰ'თ; ყამბოლჰ'თ, ყალჰჰჰრჰ; სითჰჰ; ჰათჰჰ;

როგორც აქ, ისე შადსუღებში, მე შევამჩნიე, რომ ქალები (ქალიშვილები) ჩვენი ოთახიდან გასვლისას, ზურგით იხევენ უკან კარებამდის.

ქვრივები ისეთივე თავისუფლებით სარგებლობენ, როგორც ქალიშვილები. ქალიშვილის ქუჩაში მარტო სიარული სირცხვილად ითვლება.

შენიშვნა:

მე-17, -19 და 23-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

ქემგუების რაიონი

18. V. 1929. ჩამოვედით აულ ჯამბაჩგე-ში. სადგურ უსტ-ლაბინსკაიადან (ლაბა'ფ—ლაბის ბოლო) 19 ვერსია. 280-მდე კომ-ლია. უმრავლესობა ამ აულის მცხოვრებთა ქემგუტგე-ებია. არიან აბძა'ხ, შაფსღლ, ბზ'აღღლუ ცოტ-ცოტა. ნამდვილი ადგლე არიან ქემგუები, ბუელულები და შაფსულეები ცოტა განსხვავდებიანო. მთქმელი გვიამბობს ერთი ბოლეთუყვას შესახებ, რომელსაც ძვე-ლად თურმე აზრად ჰქონდა ყველა ჩერქეზი ტომის გაერთიანება. მან ამ მხრით ბევრი რამე გააკეთა, მაგრამ შემდეგ გამეფების წა-დილი დასწამეს და მოჰკლეს. სახელად ერქვა „ბაზრგუტ“ გვარი გა-მოითქმის „ბალეთგუტ“.

როგორც ძე, ისე ღორი გამოითქმის „ნუბ“.

ჩემს კითხვაზე მთქმელი მიბასუხებს, რომ მთებში ცხოვრობდა ხალხი „აძღლ“, „უბ'ხ“, „მარაბთინ“ (იმერელი). (სადაც მერეთი-ნებთან ცხოვრობენ ტაჭლინები. მე თვითონ ასე მითხრა ერთმა, რომელსაც ვინაობა ვკითხეო. მეგრელები სხვა არიანო); „ჰაკუცუ“-ს ჩვენ ვეძახით ყველა შაფსულს, რომელიც ტუაფსის მხარეში ცხოვ-რობს.

„აბაძგ“; „ყაბართაგ“; „ყარაშაგ“ (sic!); „ნალტგე“; „ასეთინ“; „ინგუშ“; „შაზა'ნ“ (sic!); „ყუმბ'ნტ“; „ლაზგინ“; ქართველებს რო-გორ ეძახით?—„გრუზინ!“ გურჯი არ გაგიგონიათ? „ქურჯა'“-ს ჩვენ ვეძახით ტფილისსაო.

ამ აულში აბძახები არიან: „ცგა“, „სნ'ხუ“, „ნაურზ“, „ჯან-ჩატ“, „ბაშგუტ“, „ხუნაგუტ“, „ლ'გუა“ (=ადამიანის ძმა).

ქემგუები: ჩა'უზ (ჩა'უ — წნული ღობე); ჩანტუ (ჩან — დანა); თჰალაფსა'უ (=ღმერთი სიცოცხლეს აძლევს; ფსა'უ — ცოცხალი, ჯანმრთელი, ფსა'უ — სიცოცხლე). მთქმელი ჩემზე ამბობს ჩანტუ მის, შუახნის კაცი.

ამ ორი წლის წინათ მოუწვევიათ ჰანცაგუტაშ (ლაზარე; ჰანც — ხის ნიჩაბი); ქალსავით რთავენ ამ ნიჩაბს, მიდიან მდინარეზე (ქალები და ბავშვები), ტანისამოსიანად ცვივდებიან წყალში. წი-ნათ ამის შემდეგ ეზო-ეზო დადიოდნენ და მღეროდნენ; გუშინაც მოაწყვეს ასეთი რამ, მაგრამ უნიჩბოდ. ერთს ჩააგდებენ ასეთ შემ-თხვევაში წყალშიო. ამ სიმღერის სიტყვები აღარ ახსოვთ.

შენიშვნა:

23-ე და 24-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

მე-20 სტრიქონის გასწვრივ ველზე სწერია: „აქ ამბობენ თუჩ'ნ — დუქანი“. 24-ე სტრიქონ. > ნიშანი.

ჯვარი—ჯაშ; ჯორჯ—ც არისო; ბევრნი ამბობენ, ეს ერთი და იგივეა, მოხუცი კი ამბობს, რომ ჯორჯ ნიშნავს ჯვარის მორწყუნეს.

მღვდელი—„პოპ“; ადასტურებს „პაპას“-ს, ასე ძველები ამბობდნენო. ჩემს შეკითხვაზე ამბობს, რომ „ნაჭყან“ იყო ყაბარდოელი გლეხი, რომელიც პირველი აქურთხეს ბერძნებმა მღვდლად.

ფული—ახშ

სომ—მანეთი

20 კაპ.—აბას

25 კაპ.—უფლჯზ

75 კაპ.—უფლჯზჯშ

5 კაპ.—ბეთაქ

კაპიკი—ჩაფაჩ

50 კაპ.—სომანჯჯუ

მპკრანჯუტ—ტრიალებს (ვერტიკალურად), შდრ. კოროხი

მანჯრანჯუტ—ტრიალებს (წისქვილის დოლაბზე)

ფსკპარზ—მორევი.

კაჭკაჭ—მოკლე, შდრ. კააჭ

ქანჯაჭ—წვერი (კა—ქვევით; კული); შდრ. ქაკე

ფანჯაჭ—ულვაშები, შდრ. აფხ. ფაწა

შანჯაჭ—მატერია

აჭკაჭ—სწავლობს

ასლან-ჩერჯა—ასლან-გირეი.

ჩგლჯი—ეკლესია.

აქ ამბობენ: ნართ; ამათ ჰყავდათ ერთი კნენა, გვარად „ალ-გჯი“ (ელადა?), სხელად სათანანა.

თუნჩ—მოსვენებით, წყნარად იყავი, არის.

ეზო—აჭგუ (შდრ. აგუარა, ახკარა, აგარაკი) — ხელის გული.

ეზო—შა'გუ

შა'უ—თემი

ქემგული გვარები ამ აულში (გაგრძელება): დღღჭკი (დღღჭ — სადგისი; კუ—სახელური);

სახელები

კაცები: ფანჯუ || ფანჯუტ (—თევზის სახელია, კობრი, შეადრ. ფარგა), ნარანლ'გუტუ, ბნთგუტუ, სალანაჭკი, მესაჭტუსთ, ახმეტჯჩ (=გმი-შენიშვნა:

მე-2 სტრიქონთან > ნიშანი.

მე-4 და 24-ე სტრიქონებთან > ნიშანი.

27-ე " " " N. B.

რი), ასლანბეჩი, თელტეზი, ბერზაჭი (ასეთი გვარიც არისო), ანძაჭირა, ფშუხტეზი (ხეზი—მოუსვენარი კაცი), ჰაქმანძი, ჯასპოლოშთ.

ქალები: გუაშუმანძი, გუაშუმანძევი (ძეჯე—თეთრი), გუაშუფანჯი (ფანჯი—მოკლე ცხვირი), დად. ძუძა (ამას აგრეთვე ლაზბას ეძახიან, ერთ-ქალს). სიაბლასი (ბლასი—ხუჭუჭი), ქუცა (ბორბლის ჩხირი); ამ ბავშვს ნამდვილად ჰქვია გუაშუზანი; ცაცი; ცაცა; დოლითხანი.

აბდახის ეტიმოლოგიისათვის

არის ორგვარი ტერმინი: ა'ფშ—ზევით, ზემოთ; და ა'ხ—ქვევით; ნ. გვ. 110; მაგალითად. თანამაჟალთა შორის უფროსი იქნება ა'ფშ, (მარჯვნივ), უმცროსი კი იქნება ა'ხ. მდინარის შესახებ ამბობენ: ლაბასი—ლაბას სათავე და ლაბანფ—ლაბას შესართავი. ზემოთ მოხსენებული ტერმინები კი ამ შემთხვევაში არ იხმარება. სამაგიეროდ ამბობენ:

უნაფშ—სახლის მხარე მდინარის სათავესაკენ.

უნა'ხ—შესართავესაკენ, შდრ. გვ. 14.

ამ ტერმინების ხმარება უდრის ქართ. „ზემოთ“ და „ქვემოთ“-ისას. ყოველ შემთხვევაში, ამას არა აქვს მნიშვნელობა „მაღლა“ და „დაბლა“, ან „მაღალი“ და „დაბალი“. თვითონ კი განმარტავენ: ა'ფშ—აღმოსავლეთით და ა'ხ—დასავლეთით.

თამგრაჯაწაჭი — ვარსკვლავი ჩრდილოეთით, რომელიც არასოდეს არ იცვლის თავის ადგილს (პოლარული?). ბრძოლის დროს ჩერქეზები ძისი საშუალებით იკვლევდნენ გზას ლამით. მგზავრს ვარსკვლავი უნდა მოსვლოდა ან მარცხენა მხარზე, ან მარჯვენა მხარზე, ან შუბლზე, ან ზურგზე. ეტიმოლოგია არ ესმით. „ჯაწა'ხ“ — კაზაკთაო.

ახლო-მახლო სოფლები

ულაფი (ულაფი, ულსკი); ფშუკაბლ (ფშიზოესკი); ჰათუ-ეჟუაწა (?) (ხათუეჟუაი); კაბაჰაბლ.

საღამოთი ოთხი მეზობელი კაცი მოვიდა. ერთმა ჩერქეზული ნამცხვრები მოიტანა. ამას (ამბობს ჩემზე) უნდა ვუჩვენოო. მოვიდა კიდევ ერთი კაცი. მასპინძელი სულ ფეხზე დგას.

ეხლა დავიწყებული სიტყვებია:

‘ხას—საბჭოს სხდომა; უსგრა'ხი — ამ საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც მომავალზე ლაპარაკობდა.

შენიშვნა:

მე-11 და მე-20 სტრიქონთან > ნიშანი.

ლექსიკა

კამეჩი—ფსკუ; მიმართვის დროს ეტყვიან „პარტ“; ასეთივე ცნობა მე მივიღე ლ'სთანაჲაბლ-ში.

ახალი ტომების სახელები

‘ხაჟსა’—ასეთი ჩერქეზული ტომი იყო ყუბანზე; ბყედლები იყოფოდნენ ხაჟსა და ჩეჩენა’ს. ეს ორი ძმის სახელიაო; იყვნენ აგრეთვე ბაჟა, ცხოვრობდნენ არმავირს ქვემოთ, ჩერქეზები.

ძაღვების სახელები

ჰამაჰ; მეშღ.

ნასადილევს წაგვიყვანეს ჩაუზ-ებმა. ამ ოჯახის უფროსი შვილი, ჯაჰარ-ი, რომელიც ამ ორი წლის წინათ ათი დღე იყო ჩემთან ტფილისში (უნივერსიტეტში უნდოდა შესვლა, მაგრამ სტიპენდია ვერ მოუხერხებ. ასლანბეის მიერ იყო ჩემთან გამოგზავნილი), ეხლა სამწუხაროდ აქ არ არის. მისი ძმა შემხვდა დილით აულის საბჭოში, გამოგემცნაურე, ძალიან გაეხარდა. მაშინვე იქ გაჩნდა, სადაც ჩვენ ვიყავით გაჩერებული (ნაურზ ბათ-თან) და გამოგვიცხადა, რომ უთუოდ მასთან უნდა წავიდეთ, რომ მისს მშობლებს უნდათ ჩემი გაცნობა. შემდეგ ეტლი მოიყვანა და წაგვიყვანა. ჯაჰარის მამა და ერთი საპატიო ნოჟი გზაში შემოგვეგებნენ. საუცხოო მეურნეობა აქვს. აუარებელი შენობა ეზოში. ბათის სიტყვით, სალუჰ ჩაუზი (ჩვენი მასპინძელი) უმდიდრესი კაცი იყო მთელს ადღეაში. აქვს კარგი აგურის სახლი. სასტუმრო ოთახში ყურადღებას იქცევს დიდი სარეცელი, რომელზედაც თოვლივით თეთრი საბან-გობანი და ბალიშები დიდი რაოდენობით ძევს. შემდეგ სადილზე მიგვიპატიუეს (ეს მეოთხე სადილია): ჩეთლიბჟი, პასთა, პური, მაწონი რძის ფაფით (ბრინჯიანი), შემდეგ ჩაი, ჩაისთან წვრილ-წვრილი ხაქაპურები და პურის თხელი ნაჭრები, კვერცხში მოხალული. მე და იბრაჰიმი დაგვსვეს მხოლოდ სუფრაზე, შემდეგ განმეორებული თხოვნის გამო შემოგვიერთდა მასპინძელიც. ბათი (ჩვენი პირველი მასპინძელი, ვისთანაც ჩვენ ჩამომხტარი ვართ) და მასპინძლის შვილები ფეხზე დგანან. როცა ჩვენ ჩაიზე გადავედით, ბათი მეზობელ ოთახში გაიყვანეს და იქ ასადილეს. — მასპინძელმა რამდენჯერმე გადამიხადა მადლობა იმ მიღებისათვის, რომელიც მე აღმოვეჩინე მისს შვილს.

19. V. 1929

დღეს ჩამოვედით ულაფ-ში, ჩამოგვიყვანეს ჩაუჟის ეტლით, თვითონ ჯაჰარის ძმა იჯდა კოფოზე. გზაში დავათვალიერეთ ერთი

წყარო, რომელიც თურმე გაჩნდა მეხის დაცემის გამო. ჩვენი ახალგაზრდა მეეტლე ამბობს, მე თვითონ მახსოვს, როცა აქ არავითარი წყარო არ იყო. საკმაოდ დიდი წყალი ამოდის აქ და თურმე სამკურნალო თვისებებს მიაწერენ მას. ზაფხულობით აქ მოდიან, ბანაობენ და სვამენ კიდევაც; ამბობენ, რომ უხდებაო. წყალს მოლურჯო ფერი აქვს, სუნი კი არავითარი. ეს წყარო იმყოფება შუაგზაზე ჯამბეჩიდან ულაფისაკენ, მარჯვნივ გადავუხვიეთ მცირე მანძილზე გზიდან. (ამ სოფელს ჩაუდის მდინ. ულან, კემგუურად: ულ, აქედან მიიღო აულმა თავისი სახელი).

სოფელს, რომელშიაც ჩვენ ჩამოვედით, ჰქვია „ულანთ“ (ბესლენ.), აბაძურად კი იქნება „ულანთ“. აქ არის მთლად 7 ჰაბლი: მარშანჰაბლი, სრდუყუთჰჟან, ყუზბექჰყუთჰჟან, ბასლენანჰ, ბერაყანჰ, ძაზგუთჰჟან, ლალადღღუთჰჟან. ყველაზე ბევრი აბაზა ყუზბექჰყუთჰში ცხოვრობს. ამ აულში ყველაზე მეტი „ბასლენანჰ“ ცხოვრობს. ჰაკურინის აულში ბასხელეები არიანო, ამბობს ჩემი მასპინძელი. ჩვენ ამ აულში „ბანანჰყა“-დან ვართ მოსულნიო, ეს აული ხომზე მალა იყო. — ულაფში ცხოვრობდნენ სულთანები. შემდეგ მოდიოდა ფშუ: აფგურგჰ (|| აფგურგჰყუა); შემდეგ — ლაყუატჰ: სრდ (|| სრდჰყუა); მარშან; ყუზბანჰყუა (ასე ამბობს ჩვენი მასპინძელი, აბაზები იტყვიანო: ყუზბეჩიფა); ლალადღღუ. უბრყ: თგჰ (თიკოვი); ბარანანჰ; გჰჰ (ვიკო);

ყუა — ყაბარდოულად მდინარე არისო, ბესლენურად ყუალონჰჟან.

აბაზას სახლში ვართ აბაძურის გასაცნობად. აქ გადმოსახლებულან ლაბას სათავეებიდან. სტანიცა (?) ანდრგჰჟ, მთა ახმათ-იბლიდან (ბლ—მთა ბესლენურად).

ჩემი მთქმელი 84 წლისაა. იქ ვცხოვრობდითო, სადაც ლაბაორად იყოფაო; (იხ. გვ. 114). ახსოვს 64 წლის ამბები. ზღვის პირას ცხოვრობდნენ მგდავეჰ, ჩვენც ამითგან გამოყოფილნი ვართ, არიან კიდევ აფხანც (sic!); ამ უკანასკნელებს განსხვავებული კილო აქვთ. მათ სოფელს ყუზბაქჰ (თუ: ყუზბაქჰჰ) ჰქვია. მგდავეჰ ეს გვარია მფლობელი; ყუზბაქჰ მათი განაყოფები იყვნენ. მათ მფლობელს (ჩემი მთქმელისას?) ერქვა სახელად ბალგრყან. ახჩიფსოუ მოვაგონე; მისი გამოთქმით ეს უნდა იყოს ჰაქჰჰგ, ისინიც მგდავეები არიან და ეხლა ცხოვრობენ ბათალფაშინსკის რაიონში, აულ კუ-

შენიშვნა:

მე-15 სტრიქონთან > ნიშანი.

მე-17, 29-ე, 30-ე და 34-ე სტრიქ. > ნიშანი.

ვინსკში. „ბალ“ ეს იყო პაბლი, ბაღქეთ, ისინი იყვნენ ბგრაყა, ჩაგირქა. როცა საძენ ვკითხე, ამბობს, რომ აძენ ეს იყო გვარი, რომელსაც პაბლი ჰქონდა (აძენბა?). ტამ ცხოვრობდა (ერთი პირი? იბრაჰიმ ეჭენდი) ყვზბექის აულში, თვითონ წარმოშობით იყო ბასხანდ. ბასხანდ ცხოვრობდნენ აფსჰაფან-ის ადგილში. ნ. გვ. 104, 114. ესენი ყველანი იქ ცხოვრობდნენ: ბასხანდ, ბაშუღღბქა, შაგგრქა, ბალ, ბგრაყა; „ტამ“ იყო მხოლოდ ერთი ოჯახიო. ისევ იმეორებს.

ჩვენ ენას ჰქვია აფსანა (sic!), შდრ. გვ. 103. მე ვკითხე, აფსუა-ს ხომ არ ეწახით თავიანთ თავს-მეთქი; მიპასუხა: აფსრჰ, ესენიც მგდავეები იყვნენო. ჩვენ ყველანი აბაზა ვართო, გამოდის, თითქოს, ეს საერთო სატომო სახელია. ამ ოჯახის გვარია ჯუმპულაა; ასეთი ფორმა იხმარება როგორც კრებითი, ისე პერსონალური მნიშვნელობით, ამას დაყინებით ამტკიცებს როგორც თვითონ, ისე მისი შვილი. ახალგაზრდობა აქ უკვე თითქმის მთლად გადასულია ბესლენეურზე. მხოლოდ მოხუცები როცა ერთად იკრიბებიან. აბაზურად ლაპარაკობენ. სახელად ჰქვია შაჯი-აჰმაღ; მის ვაჟებს ჰქვია: მჰაჭარ, ჰაჯბექარ, ასჰანდ.

მზე — ამარა (sic!) არავითარი განსხვავება არ არის, რომ ვთქვათ მარა-ო, შდრ. ბესლ. დღლმ', შდრ. გვ. 105, 110.

მთვარე—ამგზ

კაცი— აჯანა

ქალი— აფჰუტს

ვაჟიშვილი— აფა

ნისი შვილი— იფა, ჩქჰუტენ (sic!).

ქალიშვილი— აფჰუტსუა (sic!). შდრ. გვ. 108.

ქალიშვილი (дочка)— ათფჰან, აფჰან;

სახლი— აფანტ

ათქ— იგივე არისო

ოჯახი— ათააცა'

დედაბერი— ათაჟა (sic!), ათაჟაჟა, ამასაც ვამბობთო. გამოთქმა მთლად ისეთივეა, როგორც აფხაზურში

რძალი - ათაცა

თივა— ათაბ

მინდორი (поле)— არტა

შენიშვნა:

შე-12 სტრიქ. გასწვრივ სწერია: „Кумпилов“

შე-10 დ 28-ე სტრიქ. > ნიშანი.

დაჯექი—უტიან || ბტიან || შტიან
 ჩემი მამა—საბა (sic!) (მამა—ასეთი ფორმა ვერ მივახვედრე).
 დედა—ან
 ძმა—აშის
 ძმა არ მყავს—აშის დეგუგსგამ
 და—ანშის
 სისხლი—აშის; უ'ა-გ'უ აშორებ.

რიცხვითი სახელეები

- 1—აკე
- 2—ჭაბ (გამოთქმა აფხაზური)
- 3—ხთა
- 4—ფშობა
- 5—ხუბან
- 6—ჭბა
- 7—ბუბან
- 8—ააბან
- 9—ურბან
- 10—ურაბან
- 11—ურაზა (sic!)
- 12—ურგჭა
- 13—ურახ
- 14—ურგფშ
- 15—ურტხ
- 16—ურაჭ
- 17—ურიბურ
- 18—ურაა
- 19—ურეურ (sic!)
- 20—ჭაურან
- 21—ჭაურგაკე
- 22—ჭაურგაჭაბტა...
- 30—ჭაურგაურაბტა
- 40—ჭაურგაურაა
- 50—შრიბტა
- 60—ხგნჭაურან
- 70—ხგნჭაურგაურაბტა
- 80—ფშურგაურაა
- 90—ფშურგაურგაურაბტა

100—შრკ
1000.—ზექჭ

ზმნა

მე მივდივარ—სცაჟოჲტ; სცოჲტ აჟჟარ-გ'ე ეჰს აგ'ლ'უბ, მითხ-
რა კითხვაზე და სხვა, ისე როგორც აფხაზურში.

მე წავედი—სა სცტჲტ

მე მივდიოდი—სა სცრნ

მე წავალ—სა სცუშტ („უ“ ვიწროა)

—სა სცაპ, იგივეა.

ხვალ—ჟაწუჭ

ხვალ ადრე წავალ—ჟაწუჭ შგუგმთა სცუშტ || სცაპ

Imper.

უცა || ბცა || შრცა (ახალგაზრდამ იმდენად აღარ იცის უკვე
ენა, რომა „ბარა უცა“-ო ამბობს).

გუფჟ-ჭუფუი, გუნდურად (группом) (ბესლენეურად)

თავადი (ფშე)—აჰ (sicl)

ჟარკ—ამბგსთა (sicl)

გლები—ანხაჟუჭ (= ფშ'ელ"გ)

ათაჟნდ გაგიგონია-მეთქი, მიპასუხა: ფშე-ზე დაბალია და
ჟარკ-ზე მაღალია. ათავადები არიან მარშანიები (მარშან); განა
ისინი ფშე არ არიან-მეთქი? წინათ იყვნენ, მერმე კი არაო. ათა-
ჟნდ უდრის ლ"აყჟალ"ანს (ბესლენეურად).

აფსანშალა ასე ამბობს ლაპარაკისას, შდრ. გვ. 101, 104,
108, 111, 113. ამ მუშაობის დროს მეზმარებოდა ერთი აქაური ყმა-
წვილი ლიევი, რომელიც კრასნოდარში სწავლობს. ის იყო ჩვენი
თარჯიმანი. მოხუცი, რომელმაც ზემოთმოყვანილი მასალა მომცა,
საზოგადოდ როგორღაც შეკრთა ჩემი მისვლის გამო, და თავი ისე
თამამად ვერ ეჭირა. ის არჩევდა ჩემთან თარჯიმანის საშუალებით
საუბარს. როცა იქიდან წამოვედი, გზაში მე და ლიევი ვსაუბრო-
ბდით (რუსულად) აფხაზურისა და აფხაზეთის შესახებ. როგორც
ჩანს ამას ყური მოჰკრა ერთმა კაცმა, რომელიც ლობესთან იდგა.
„По афхазски знаешь?“ დამიძახა. მაშ, აქ მოდი გეთაყვო. სა-
შინლად გაეხარდა ჩემი გაცნობა, რაც სიტყვიერადაც გამოხატა.
კარგა ხანს ვილაპარაკეთ. თითქმის თავისუფლად გვესმის ერთმანე-
თის ენა. ძალიან მკაფიოდ ლაპარაკობს, შუახნისაა. ამბობს, რომ

ის ცდილობს შთააგონოს სულ ყველას, აქაურ აბაზებს, რომ საჭიროა თავისი ენის შენახვა, მაგრამ შედეგები დიდი არ არის ამ პრობაგანდისა. ახალგაზრდობა თითქმის სულ მთლად ბასლენეურზე არის გადასული. მას ოჯახი არა ჰყავს, მაგრამ ჩემმა ძმისშვილებმაც უკვე აღარ იციან „აფსაშა“-ო.

მოხუცებსაც კი ბევრს რასმე მე ვასწავლიო. როგორ ეძახით თავიანთ თავს-მეთქი? ამ კითხვაზე პასუხი მე საეჭვო მეჩვენა. ჩვენ ყველანი აბაზა ვართ, ვინც აქ ცხოვრობთ, ვინც აფხაზეთშია, ბათალაშინსკში და სხვაგანაო. ამას გარდა ისიცა თქვა, ჩვენ „აფსაშა“ ვართო. ისიც მოიხსენია, ჩვენ (ე. ი. ულაფელები) „აფსაშა“ ვართო, თითქოს ეს სახეობითი ტერმინი იყოს. ნ. გვ. 101. კუმბგლების ნამდვილი გვარია აძენბაო. საზოგადოდ, აქ ისეთი გვარებია, რომლებიც აფხაზეთშიაც არისო. მე რომ ყმაწვილი მახლდა ლიევი, ის კრასნოდარში გავიციანი, როგორც აბაზა. თან იბრაჰიმისაგან გაგონილი მქონდა, ძალიან წუხს, რომ დედაენა დავიწყებული მაქვსო. ეხლა ეს ჩემი მოსაუბრეც ამ ყმაწვილზე მიუთითებს და ამბობს კიცხვით: აი, ამანაც არ იცის თავისი ენა. ამისი ნამდვილი გვარია ალრაზა-ო. ბევრზე როგორ იტყოდით-მეთქი? „ლიაა“—მიპასუხებს.

როცა იქიდან დავბრუნდით, ჩემი მასპინძლის, მოხუცი პაჩის შუაშუღლთერ ტორა კაგუტ-რუტა-ს დაკითხვიდან გამოიჩქვია, რომ ძე აქ ითქმის „ყუა“, ხოლო ღორი—„კუა“. ხმოვანი ბოლოში მკაფიოდ ისმის. მზე ბესლენეურად „დგლა“.

აქ ამბობენ, რომ „აძღლე“ ცხოვრობდნენ (და ეხლაც ცხოვრობენო) მთებში, ზღვასთან (სადაც „თენგიზია“), აფხაზების გვერდით.

ბათალაშინსკის რაიონში ბევრი ხალხი ცხოვრობსო: აბაზა, ჩერქეზი, ბსხზღ, ამ უკანასკნელთა ენა აბაზურია.

ამ სალამოს მომაკითხეს აბაზებმა. თპაუშინან ბაქმერზა რედ-იფან (შინაური სახელი „ტეტტუ“); დახტუმან ვასჯ, ლაჰადღლუ-იფან, ეს ორნი მოვიდნენ ჩემთან. პირველი ის არის, რომელიც დილით გამეცნო ქუჩაში. ორივე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მათ ჰქვიათ „აფსაშა“, მაგალითად, ჩვენ ვიტყვით კაცზე: ან რ დაფსაშოზ. აფხაზურად ჩვენ ბესლინეებს ბერაა (sic!) ვეძახითო. „აგუტ-ხრუტ“-ს ვეძახით აგრეთვე მათო, რალაც ნიუანსი უნდა იყოსო, მაგრამ აღარ ახსოვთ. ჩემს დღევანდელ კუმბგლებზე თქვეს, ალბათ შვილებს გულისხმობენ, იმათ დედაენა აღარ იციან, ისინი ბერაა-

შენიშვნა:

მე-20 სტრიქონთან მიწერილია: კეგუა.

მე-5, 22-ე და 26-ე სტრიქ. > ნაშანი.

ბგზშა-ს ლაპარაკობენ. „რაცა ბზია ჟააგტ,“ ძალიან გვიხარია შენი ჩა-
მოსვლა, გაემხნედიოთო. აფხაზეთს ჩვენ ვეძახით აფსენ || აფსენჯ; აფხაზს
—აფსრჷ (ეს ცოტა საექვოა). „აძღლე“ გაგვიგონია, მაგრამ არ ვიცით,
ვინ არიან. აზგხჷა არ გაუგონიათ. აქ ჩამოსული აფსაშა ცხოვრობ-
დნენ ანდრგჷ-ში, მდინარე ძერჯხ (ბესლ. ლაბზ)თან; სადაც ორი
მდინარე იყრება: ლაბა და ლაბენოკი; შემდეგ გადმოსახლდნენ
‘ხჷაძ-ში, ბოლოს კი აქეთო. სადაც ჩვენ წინათ ვიყავით (ვიჯექით),
იქ არის „აკჷგრ“ (აკჷბრა), ზაჯანაქჷშ’ა. იქ ეხლა არის რუსების
სტანიცა ანდრუგსკაია და კუეიბა. იქ რომ ვიყავით, ყაზბჷქტ ერქვა
ჩვენს აულსაო. ეს ერთი სოფელი იყო (ქტკ) (სახელი — აზგზ).
ცალკე ქტ იყო ბარგტშ, ფსგლბაქტ-იც იყოო. ეს ყზბჷქ, ტო-
მით მარშან იყოო.

აღგაჷ—ბერიკაცი

ბთაჷ—ბებერი ქალი

ათაკჷაჷგ—ასე ამბობენ ცოლის შესახებ; სგთაკჷაჷგ—ჩემი

ცოლი

უთაკჷაჷგ—შენი ცოლი

ბმარა—მზე

ბმგზ—მთვარე (ბმგძ, აგრეთვე ამბობენ: მგძქ!). შდრ. გვ.

101.

მძა—ლამფა

ბასხაღ-ები ბევრნი არიან ბათალფაშინსკის რაიონში. მათი
ენა ცოტა განსხვავდება ჩვენისაგან. შემდეგ ერთი ამბობს: ბი-
ბარღქტ, ყლგქტ და სხვანი იქაურები (ბათალფაშინსკში) ყვე-
ლანი აშრჷ არიან.

თავადი—აპ

ბჩაა ემარკენ, ჩჩაა ეაგტ, ასე ამბობდნენ ჩვენი ძველებიო.
ათაჷბდ არ გაუგონიათ.

ჷრჷ—აამბგსთ || ამბგსთ (sic!)

ფსგჷა—მდინარე (←ფსგხჷ, ჩერქ.)

იჷგ—წერე

ჷთხ—წიკითხე

აშაყ(!)—წიგნი

ამ აულში შემდეგი ნამდვილი აბაზური გვარებია:

- 1) ლაჩგშა, 2) ბნ’ბა, 3) ქურჯაა, 4) ნაღჷშ’ა, 5) ბტთაა,
6) ჷშ’ზა, 7) ლაშა (←ლაშა?), 8) აწშაა, 9) აძგნა, 10) აპალბტ.

შენიშვნა:

შე-2, 22-ე და 25-ე სტრიქონ. > ნიშანი.

11) აგერბა, 12) ქაჩძე (ძე), 13) ჰაჯემბა (ჰაჯემბა), 14) ეუენდარაა, 15) ცება, 16) სიღაა, 17) პლძე (ძე), 18) ათჰაფუჯ.ხუ, 19) ყაზბაქია (ყაზბაქ-იფა), 20) ლჷათ, 21) ალ"უნეა, 22) გუასთანხუ (|| აგუასთანხუ), 23) აკუჭან, 24) კაჩაა, 25) ხუაც (ხუაცბა), 26) პაპა (პაპნეფა), ბესლი-ნეებმა კი მას დაარქვეს შაჷგა'ნ (შოუგენ!), 27) ანაშ (|| ნაშუ) (ამო-წყუნენ); 28) ჯალჷარაა (ამოწყუნენ), 29) კაკა (ამოწყუნენ), 30) ახ-ჷახჷალა (ხუახჷალაა), 31) დუნაა, 32) ნატყუევაა, 33) ნართაა (ნართ), 34) კასაა, 35) ბიბალაა, 36) ფუჷყანაა (ფუჷყან-იფა), 37) ჰნეა (ჰანე-იფა), 38) აჷჷუბა (ამოწყუნენ);

ამ აულში ორი მესამედი აბაზები ვართ, დანარჩენები ბესლი-ნეა და ყაბარდაა.

ინჯუტე—თვალე

შოგბეჷ || შოგბეჷკ—50

ჯვარი რომ ვკითხე, ერთმა მოიგონა ფორ. ჯორ ზნა'ჷ —ამ-ბობდნენო, ვისაც ყელზე ჯვარი ეკიდაო.

მინდორი —არცა; აღის არ გაუგონიათ, სამაგიეროდ გაუგო-ნიათ აღინჯ, ეს სახლიდან რომ გახვიდე, ის იქნება, გარეთ.

აკამბეშ—კამეჩი

ჩოგ—ცხენი

ბც (!)—ხარი

ბეჷჷან—ცა

ბწლა—ხე

მე ვაკეთებ: სა იყასწაჷრატ

მე ვაკეთებდი: იყასწონ || იყასწაჷრატ

მე ვავაკეთე: იყასწეატ

მე ვავაკეთებ: იყასწაჷრატ'შეატ

მე ვავაკეთებ: იყასწაპ

გააკეთე: იყაწა

სიმინდს რა ჰქვიანო, მკითხეს. საშინლად გაუხარდათ, როცა სახელი ვუთხარი, ჩაიწერეს. ჩვენ აქ ბესლინეებთან ყოველთვის დი-დი ჩხუბი გვაქვს, ვისი ენა სჯობიაო. ჩვენ იმათ ვსჯობნით (МЫ ИХ В ТУПИК СТАВИМ). მთავარი არგუმენტი ის არის, რომ აბაზურში სქესებია გრამატიკული, ჩერქეზულში კი — არა. ბესლინეები, რო-გორც ჩანს, ნიშნს უგებდნენ, რომ აბაძებს სიმინდის სახელი არა აქვთ.

ჷანდტრ (sic!)—ფორანი (გუგ—ბესლენეურად)—აჷარდტნ.

ჷააჷრე—იცეკვე

შენიშვნა:

მე-14 და მე-18 სტრიქონთან > ნიშანი.

იპრეტ—იციკვა

უჩა—კამე

კჭაშარა—ხელი-ხელჩაკიდებული ციკვა.

ამოჯ—ყველი

ბშა—კარი

მნიშვნელოვანი ფონეტიკური განსხვავება ის არის, რომ აფხაზურ ც-ს აქ უნდა უდრიდეს ც' (პალატალიზაციაქმნილი ც), ასეა მაგ.; მრავლობითის ფორმანტში.

ანცაბ—ლმერთი

უც—დაიძინე

ცუ—ხარი

რას ეუბნებით, როცა კაცი სანადიროდ მიდის-მეტქი? „აჟ-ქფშაა უქთეატ“—მიბასუხეს.

ჩვენ მასპინძელს ეკითხება იბრაჰიმი: „რატომ ჩერქეზული კოვზები (ხისა) არა გაქვსო?“ მაგისტანა კოვზებს ჰაკუჭები (სიცი) აკეთებენ, და ეხლა არა გვაქვსო. მაშასადამე: ცა — ჭ! შდრ. ჰაკუჭც.

20. V. 1929.

ისევ აბაზური; (დახტმან-სთან ვმუშაობ ჯერ-ჯერობით).

ბცალჭარა—ხენა

შესაძლოა, ეს გამოთქმა აქ მეორე თაობას ეკუთვნოდეს, ის მოხუცი ჰაჯი ცა-ს კარგად ამბობდა, რამდენადაც მასსოვს. ერთ მათგანს რომ ჩავეკითხე (უფრო ახალგაზრდას), თითქოს ცა-ს ამბობს. ამის შემოწმებაა საჭირო.

დახტმან-ს (Дакумов) თუმცა სწავლა არ მიუღია, მაგრამ რუსულს კარგად ლაპარაკობს და ნაველი კაცია, როგორც ჩანს. აფხაზეთში არც ეს, არც თბაჭშინა არ ყოფილან. 20—30 წ. ქვემოთ აქ თითქმის აღარავინ აღარ ლაპარაკობს აბაზურად. მაგრამ აღწერის დროს ყველა აბაზად ჩაეწერა. ამ აულში ყაბარდოელებიც არიან, მაგრამ ცოტა. ისინიც ბესლენეურს ლაპარაკობენ.

აბაზები იყენენ აგრეთვე აულ ფშუზ-ჰაბლ (ფშიზოვსკი)-ში, მაგრამ ეხლა მოხუცები აღარ არიან და ალბათ არავინ ლაპარაკობს აბაზურს. სხვაგან აღდღეაში არსად არ არიანო (ყოველ შემთხვევაში ენობრივად შენახულნი).

ერთი—აკჯ

იხვი—ბაბჭშ

შენიშვნა:

მე-12 და მე-13 სტრიქონ. > ნიშანი.

ყურძინისა და ღვინის სახელი აქ უკვე აღარ იცინან. (ამ დილით ჩვენმა მასპინძელმა ხელი ისე ჩამომართვა, როგორც აჭგვსგფ-ში: ცერზედაც წამავლო ხელი.—ქალები ზურგით გადიან ოთახიდან.— მაგიდები აქაც რგვალი, დაბალი და სამფეხაა).

ვინ არის ეს—არრ ღვჭადა

ვინ არის ის—ჟღ ღვჭადა

ვინ ხარ შენ—ჟარა უზადა

ეს რა არის—არრ ზაკადა

ღვჭადასა უცნობია. ჟარბან—ღარბან... აგრეთვე უცნობია.

არა—მოზ

პო—აჯრუ

სახლი—ჭინგ, ათძგ.

ოჯახი—თააც (sic). შდრ. გვ. 110.

ცხვირი—ფუნწა

ულვაში—ფაწა

ხელი—ნაპგ

ფეხი—შაპგ

ასული—ფა

ქალი—ფაჯს, აპსაქა.

ქალიშვილი—ფაჯსფა. შდრ. გვ. 101.

ათფაპ, დაპთფაპაპ — ჩენი სახლის, გვარის ქალი, ასე ეი-ტყვიით.

სა სჯყოპ

მარა ღჯყოპ

უშფაყოპ—როგორ ხარ?

ამათ მოხუცებს ასეთი სახელები ერქვა: არგდა, პაჯაყაქლა, სფაქარა, მგრზანა, მჭლა, მჭსა, შქაქაქა, (ყაზბაქ-იფა მამამთ), კატ (ნამდვილი სახელი მისი იყო ზორბაქ), მგაჯგრ, კიქგნ, პგტგშ, პარა, მამა, ტგხა, ჯან.

აფსაშქა, ასე ამბობს ჩემი მთქმელი თავის თანამეტომეებზე.

ღვშაფსაშაზ, მადგრტ (ერთზე ამბობს, რომელიც აფხაზეთიდან მოსულა აქ).

ქალების სახელები: ძაგაშა (ჯარის კნეინაო), ძადაუს, კულა-გაქ, ასთირხან, ნაშა (ბასლინეური ქალის სახელი, ბგუ — ბელურა); შგპარხან, პარიხან, გუაჩირ.

შენიშენა:

მე-12, 26-ე და 28-ე სტრიქონ. > ნიშანი.

შუქ იგლავ იჩან ჩაბა აწგაკეტ—ასე ამბობდნენ ჩვენი ძველებიო.

შოლასა—სიმინდის ღომი

ბასთა—ლომის ღომი

ნათხტ—სიმინდი

შგრძ—ფეტვი

აღურა—ლაგამი

კუადგრ—უნაგირი

მაყა—სარტყელი

არაზენა—ვერცხლი

ხვ—ოქრო

ჯენა—რკინა

ყამა—ხანჯალი

ემეა—წულა

დგრლ—земля

ანჭურ—id.

ჰრენჭუ—ტალახი

სგ—თოვლი

იძირატ—რეცხავს (მთლად სწორი არ არის ალბათ ეს ტრანსკრიპცია). შეიძლება ამ ბგერათა (ცა, ძა, წა) დეფორმაცია ყაბარ-დოულ-ბესლინეურის გავლენა იყოს.

წა—ვაშლი

ჰა—მსხალი

რასა—თხილი

კაკან—ნიგოზი

ხარწუკ—მაწონი

ქტტტუ—ქათამი

კუტალ—კვერცხი

ყაზ—ბატი

თჰაგად—ინდაური (ეს მგონი ბესლინეური უნდა იყოსო. ქათამი ბესლინეურად „გად“ არისო, ხოლო კვერცხი—გადგკა).

ატეგლა—არ გაუგონია. მოხუცმა ჰაჭიმაც ჩემს ნათქვამში თურქუტიგლა ვერ გაიგო.

ბძ—ვინმე

ჩკუტნ—ბიჭი, ვაჟი

შენიშვნა:

მე-7, -15 და მე-18 სტრიქონ. > ნიშანი.

ბასლინა'ე-ები ჰემგუებს კემგუტე-ს ეძახიან, ყაბარდოელებს—
ყაბარდ'ე, ბუელულებს — ბზ'ადღ'უ (იქნებ: ბუელღ'უ, აბაძენებს —
აბაზ'ენ; აქ ასე ამბობენ, რომ აბაზა და აბაზენები ნათესავეები
არიან. აბაზ'ენ ნინავს „აბაზას ქვემოთ“).

კაპეიკი—ქაფიქიკი (sic!) (ჩნფიჩ—ბესლენ.)

შაური—ბედასუ (ბესლ.)

თუქინ—დუქანი (ბესლ.)

მოვიდა ორი მოხუცი ბესლინე, ვეკითხები, სად ცხოვრობდ-
ნენ აძღლე? მთას იჭითო, ჰაკუჭ (ჰაკუჭ)ებს უკავშირებს ერთი მათ-
განი აძღლეების ადგილმდებარეობას. შაგირეე ეხლაც ცხოვრობენ
ბათალფაშინსკის რაიონშიო, ნამდვილი აბაზები არიანო. იქ მდინა-
რეა: ძენჯგე (ზელენჩუი).

წავედით ერთი მოხუცი აბაზას სახლში. 87 წლისა ვარო;
გვარად—ლუათ (ლუათრა) სალ'კ ჰანჯ'უ-იფა. ცხოვრობდნენ წი-
ნათ აულ გაჭტრ-ში, შემდეგ გადმოვიდნენ ჟადაქტა-ში, შემდეგ —
ქუტენი მდინარეზე მოვიდნენ. მათი მფლობელი იყო სიდ-იფა მაშამტ
(როცა ამასთან ვმუშაობდი, ერთი შუახნის აბაზა მოვიდა, ჩემი ვი-
ნაობა რომ შეიტყო, სკამს უკან დადგა და თავზე ხელს მისვამს),
იხ. გვ. 114—115.

ასახელებს მხეცებს დომბე (ზებრა თუ ბიზონი)-სა და ალგ-
მლრა-ს (კატას ჰგავს, ძალიან დიდიაო = ვეფხვი). ამ სიდ-იფას სხვა
სოფელი არა ჰქონდა. სიდრაა—ამბობს.

ათაჰად გაუგონია, ეს იგივეა, რაც ჩვენი აჰ; აჰ ჩვენებურად,
ათაჰად თქვენებურადო.

ახიფსოუს ესეც „ჰაჭიფსგ“ გამოთქვამს, ეს იქით, თქვენკენ,
„ფჰსგ“-საკენ. საძ, აძღლე, გაჩ არ გაუგონია.

ბც—ხარი (ისევე, როგორც აფხაზურში)

ბზ—ძროხა

ათააცაბ—ოჯახი

აამბგსთა — აზნაური

ბძძარა—რეცხვა (სგძაძუშტ)

ჰენწუ—ტალახი

წა—ვაშლი

გა (sic!)—თავი

ამ'რა (sic!)—მზე, შდრ. გვ. 101, 105. მარა-ც იგივე არისო.

შენიშვნა:

პირველ და მე-3 სტრიქ. > ნიშანი.

მე-9, -10, 23-ე, 25-ე და 30-ე სტრიქონ. > ნიშანი.

აწი — ყველი }
 ასა — კარი } ასეა, თითქოს, თუ არ ვცდები.

ლმერთი — ნ'ცაბ.

სიმინდს რა ჰქვიან-მეთქი? ნათგ'ხუ. აჯიქურეა არ გაგიგონია? პო, მაგას ბზბბ-ები ანბობენო.

ინხაჭოტ აქ (როგორც მოხუცის, ისე სხვების მიერაც) იხმა-რება მუშაობის მნიშვნელობით. ანხარა ცხოვრების მნიშვნელობით არ იხმარება. სიღებს რას აძლევდით? გლეხები ჰყავდათ (ანხაცაბ) და ისინი მუშაობდნენ (ინხაჭან) მათთვისო, საქმელსაც უკეთებდნენო. (ანხაჭაგ-ს ეტიმოლოგია).

ახხა (!) — ფუტკარი

ყარა ყათსაშორუპ, სარა საფსაშორუპ, ყარა სგუჰკენუპ, მეუბ-ნება მოხუცი, ჩემი პურმარილი უნდა ჰამოო.

მაპაწა (!) — კოვზი

რახჩენა — კერის ჯაჭვი

მართან

ჩხამართან — სკა

აყრფშ (!) უზგფშგატ — ასე იტყვიან, როცა ვინმე ნადირს მო-ჰკლავს.

აგარა — აკვანი

ყათარა — ბოსტანი (= აჭთარა, აფსაზური)

ლაჟა — მგელი (ასე თქვა ახალგაზრდამ)

ქუჯმა — მგელი (ასე თქვა მოხუცმა)

აბგა არ გაგიგონია, სამაგიეროდ

ბაკა (|| აბაკა) (!) — მელა

ჭაგა — სარკე

კაბლა — პატარა ნაჯახი

გურაპა — დიდი ნაჯახი

ტაბრა — სარეცელი

აგუჭაშა — ასე ეძახის დახტმბ ბესლინეების ენას.

მოხუცმა არასგზით არ გამოგვიშვა, სანამ პური არ გვაქაშა. ჯერ ხელი დაგვაბანინეს, შემდეგ ჩერქეზული დაბალი რგვალი მაგიდა შემოიტანეს, ჯორკოებზე დაგვსხეს. მოხუცი მეორე ოთახში გავიდა და პურის ჰამის გათავებამდის აღარ დაბრუნებულა. ცივად ცხვრის ხორცი მოგვართვეს და „ბასთა“ (ლომის ლომი). ხორცს მაწონში აწებდნენ. შემდეგ მოიტანეს სალცხოო თაფლი, ქარვისფერი, და-

შენიშვნა:

მე-4 და 30 სტრიქონ. > ნიშანი.

შაქრული და მშვენიერი ნამცხვარი, ნაირ-ნაირი, სხვათა შორის, აფხაზური ჰალვას მსგავსი, მხოლოდ ბევრად უფრო კარგად გაკეთებული და გემრიელი. შემდეგ ისევ ხელი დაგვაბანინეს და მოხუცი დაბრუნდა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. გამოსალმებისას მოხუცი გადამეხვია და დამყოვრებით ვპყავდი გულში ჩაქრული. სხვებიც გადამეხვივნენ, გამომაცილეს და დიდხანს მესალმებოდნენ. იქ მყოფ რამდენსამე აბაძას ენა უკვე დავიწყებული აქვს. ჩემმა მისვლამ დიდი აღელვება გამოიწვია. სწუხან დედაენის დავიწყებას. ერთი ამბობს: რომ შეიძლებოდეს ენის ყიდვა, ბევრს მივსცემდი ჩემს დედენაშიო.

შინ კიდევ ერთი სადილი დაგვხვდა: მონარშული ცხვრის ხორცი, საწებელად მაწონი ერბოში გახსნილ პილპილ გადასხმული, ღომის ღომი, პური მჭადივით გამომცხვარი, შემდეგ „ხანკაჲლ“ (შეადრ. ხინკალი), ხორცის წვენი, რომელშიაც ჩახარშულია წვრილი პურის (ცომის) გუნდები, შემდეგ მაწონი. ხელის ბანა ჭამის წინ და უკან. მასპინძელი სადილზე არ დაგვეწრებია, თუმცა შინ იყო. ჩვენთან ერთად ისადილა მხოლოდ ორმა მეზობელმა, მასპინძლის ვაჟები და ქალი სულ ფეხზე დგანან.

გუშინ სადილად სუბი გვქონდა და „გაძლორბჷჲ“ — ქათამი თავისებური წვენით, რომელიც ყველგან ვჭამე, სადაც კი არ ვიყავი ჩერქეზულ ოჯახში, როგორც კრასნოდარში, ისე სოფლებში: ერბოში გახსნილი პურის ფქვილი, შემდეგ ჩაი და ხაჭაპურები (პატარა პატარა და ცოტა ყველით, ცომი ამოსულია). საზოგადოდ ჩაის ყველგან ბევრსა სვამენ.

ბესლინეური:

ქალი—ჭგზ

ძუ—ბზგ

ძუ ძალი—ჰაბზ

როცა ცხოველი შვილს დააგდებს, იტყვიან: რა არის „ბზგ“
თუ „ხტგ“—ხ ვ ა დ ი.

ფხტგ—ასული

ფშააშა—ქალიშვილი

ხაგაშბზ—idem (ყაბარდოულად)

ხევი (балка)—ყტალაშაგა

მდინარე—ფსტხტა

ხევი—

ბლუჭქუ—ადგილი მდინარიდან მთის კალთებამდის
გამოქვაბული—ლუაჭხალ
ბჟანდახუ—შოშია

ბჟან—თხა, შდრ. კიახ. ფჩან.

შპანგირეჟ ლიევი ამბობს, რომ ბესლინეები ჰემგუებს „ჰემგუ-
ჰ“ -ს ეძახიან (პედტეჟნიკუმის მეორე კურსის მოწაფეა).

აქ უმცროსები უფროსთან თამბაქოს არ ეწვევიან. მე ვიყავი
მოწმე, როცა 54 წლის კაცმა თამბაქო არ მოსწია თავისზე უფ-
როსთან, სხვებზე ხომ სათქმელადაც არა ღირს.

21. V. 1929

ეს მოხუცმა ღუათ-მა მიაგებო. მოვარდა აქლოშინებული დი-
ლაადრიან აულის საბჭოში, სადაც ჩვენ ცხენებისათვის ვიყავით მი-
სულნი: გუშინ დამავიწყდა შენთვის მეთქვა ეს ამბავი; ეს ყველა-
ფერს სჯობს, რაც გუშინ გითხარო.

მთა ჰგზგჳ-ინა'გ-თან ცხოვრობდა ხალხი ერთ აულად. იქ
ცხოვრობდა ეს ქალი ჰგზგჳ. შიმშილობა იყო. წავიდა აულში ეს
ქვრივი ბავშვებისათვის საჭმლის საშოვრად. ბავშვები ტიროდნენ.
ქვა ჩააგდო ქვაბში, ხარშავდა და ისე ატყუებდა ბავშვებს. შუა ლა-
მით შევიდა ერთი ჰაჯი. ქალს შეეშინდა და წამოხტა. „ნუ გეშინია,
რამე უნდა გითხრაო, დღეს მიწისძვრა იქნება, აული დაიქცევა და
შენი ბავშვებით სახლიდან არ გამოხვიდეთ. ქალმა შეასრულა. დი-
ლით ნახა, აული აღარ არის, გარშემო წყალია. ხედავს მისი სახ-
ლიდან გზა მიდის სადღაც, გაჰყვა იმას და სხვაგან დასახლდა. ამ
გზაზე წყალი ძალიან პატარა იყო და ამიტომ დაერქვა ეს სახელი.
ჩანგ—პატარა.

ჰგზგჳ—ჰგზ—ქალი; ჰგ — კარგი, ს^აგუ

ზას'ხგლ -- ბათალფაშინსკის რაიონში ცხოვრობენ, მათი კილო
განსხვავებულია, თუმცა აბაზურია.

ბერაა—ასე ეძახიან აბაზები ყაბარ'ლოელებს, ბესლინეებს, აბა-
ძენებს, ყველა ადგლეს.

აგუჭაშა — ადგლეური ენა, მაგრამ ტომსაც აღნიშნავს.

ანი დაგუჭაშორუბ, არი დაფსაშორუბ, ასე იტყოდნენ.

გუთანი—კუათან, ბესლინეურად „ფხააშა“.

შემდეგ იბრაჰიმმა გზაში მიაგებო, რომ არა ერთმა აბაზამ მას
შენიშვნა:

პირველი: მე-2, -3, 27-ე და 29-ე სტრიქ. > ნიშანი.

ბოლო სტრიქ. გასწერივ სწერია: N. B.

მადლობა გამოუცხადა ჩემი ჩამოყვანილთათვის: მათ ისე ჰგონიათ, რომ ეს ჩემი ინიციატივით მოხდაო.

ლ'სთან რ'ყუა, ტლასტონოკოვი მაპომედი (სახელი ასეა, თუ არ ვცდები). ამასთან ორიოდ საათი გავჩერდით. მშვენიერად ცხოვრობს, აგურის სახლი, ევროპულად მოწყობილი. თვითონაც ფიზიკურად კარგი ტიპია. მე მარტო მივედი მასთან. მშვენიერად მიმილო. შემდეგ იბრაჰიმოვი მოვიდა. ვიმუშავე მასთან ცოტა ხანს ბასლინეურზე. შეჰდეგ თუმცა ეტლმა მოგვაკითხა, რომელსაც ფშიზ-ჰაბლში უნდა წავეყვანეთ, არას გზით არ გაგვიშვა, ვიდრე არ გვაჰკამა, თუმცა სრულებით არ იყო სადილობის დრო (11 საათი). ერთი სიტყვით დიდი პატივი გვცა.

ამ აულში ყაბარდოელები ძალიან ცოტანი არიან, ვინც არის, ისინიც ბასლინეურს ლაპარაკობენ. არიან ქემგუები და აბაძეები, ისინიც ბასლინეურს ლაპარაკობენ, მხოლოდ მოხუცებმა თუ იციან თავიანთი კილო. ბათალფაშინსკის ბასლინეების თქმა სრულებით არ განსხვავდება აქაურისაგან.

ძე—ყუა

ლორი ჭუა

განსხვავდება-მეთქი? რა თქმა უნდაო, იქ „ყ“-ა, აქ „ჰ“, თვითონ გამოჰყო თანხმოვანი.

წყალი—ფსუ

ფსუბუა - დაბლობი ადგილი, სადაც ბევრი წყაროა.

ლ'აგუ - დაბლობი ადგილი.

ლ'უბუ - ჭაობიანი ადგილი.

ლ'უბუა - გამოქვაბული. (ჰ აქ თავისებურია).

ბ'ღუყუა - ხევი „ორ მთას შორის“, შდრ. ტუჰუ

ბ'ღუ - ადგილი კლდის ქვეშ, ადგილი მთის ქვეშ.

ბ'ღ - მთა; უბ - ქვემოთ, დაბლა, ძირი (ПОДНОЖИЕ?)

ყუ სჰა - მთები; კავკასიონი.

აუ სჰა - ყრილი; ყორღანი.

ყუ სჰა უბუ - მთებს იქეთ; უბუ - იქეთ.

აქაური აბაზები იყოფიან: ბერაყუა და ყუსჰაჯანუ. ნ. გვ-

100.

ყულაჯუ - პატარა ხევი, სადაც წყალი მიედინება.

ხუა თა - idem.

შენიშვნა:

22-ე, 23-ე და 30-ე სტრიქონ. > ნიშანი.

ბანრ'ყუა, ასე ამბობს ზემოთმოხსენებული მდინარის სახელს.
ბა ნნ—ეკლიანი

ბასლინეური გვარები: აუჯარბყუა (ჟამბრტ-ის შთამომავალი,—
იბრ. ნაურზ ამბობს, რომ ეს მართალი არ არის, რომ ისინი ბეს-
ლანთა საგვარეულოს ეკუთვნიან. — ფშუგ არიან); ლ"აყუალ"აშ (აზ-
ნაურზე მალა); ლ'ალადღღუგყუა; აზგგუ; უბრჯ (ბოლოში კ?): ვგკჯ
(ვიკოვი), შრუღღრ.

აბაზებში აზნაურები: კუმგვლ.

მფლობელთან ყაზბზჩგყუა-ს მეტი წონა ჰქონდათ, ვიდრე მარ-
შან-ებს.

ტუაფსესთან მცხოვრებ ჩერქეზებს ვეძახით ჰაკუტ-ებს. კემ-
გუებს—კემგუტ'ა; აბაზტ'ხა; აბა'ზა; ყაბარდო'ა; ბასლან'ა (sic!); ბუა-
ღულუ (sic!); უბგ'ხ;

ფსტსჰა.—სათავე

ფსტჰე—შესართავი

ბფშა—უმალღესი, მალალი, უფრო მალა; მდინარის სათავეს
მხარეს.

ბფშაკა ტგს—დაიჭირე (დაჭევი) უფროსის ადგილი (კა—ფორ-
მანტია;—ქართ. „ქენ“?).

ბ'ხა—უფრო დაბლა; მდინარის შესართავისკენ.

ბ'ხაკა ტგს—დაჭევი უმცროსის ადგილზე. ესევე ტერმინები
იხმარება უმცროს-უფროსობის აღსანიშნავად ჯდომისა თუ თანა-
სვლის აღსანიშნავად.

ყველაზე საპატიო ადგილი ოთახში იქნება კარის პირდაპირ,
სკამი ტანტსა და მაგიდას შორის; მეორე სკამი ამავე მაგიდასთან
იქნება მომდევნო საპატიო ადგილი და ასე შემდეგ კარისაკენ. კარ-
თან ეს ყველაზე უკანასკნელი ადგილია, ახლგაზრდობისათვის.
ტანტთან იმიტომია, რომ მოხუცი თუ დაიდლება, შეიძლება ტანტ-
ზე გადაჯდესო.

ბრაპიმმა მიაბზო ერთი ქალის ამბავი: 6 წლისა იყო გაყიდულ-
ლი ყაბარდოში აქედან. 90-იან წლებში ის ეძებდა აქ თავის ნათესა-
ვებს, მაგრამ ვერ იპოვა. ეხლა ბრაპიმს შემთხვევით აღმოუჩენია
მისი ნათესავები შაფსუღებში და ეს დედაბერი თავისი უფროსი
შვილით ჩამოსულა აქ სტუმრად თავის ნათესავებთან.

21. V. 1929.

აული ფშუგჰაბლა, 12 ვერსია ულაფიდან. უმრავლესობა კემ-
გუებია. არის 10-იოდე ოჯახი შაფსუღი, არიან აბაზებიც (ენობრი-

ვად გადაგვარებულნი, როგორც ჩანს). ბევრნი არიან აბაძეხები. გავჩერდით ერთს საინტერესო მოხუცთან, რომელიც არის ადგლეური სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. არავითარი განათლება არა აქვს. მიწის მუშაა. გვარად: ბრანტა' ზაჩერძე ფშუ'ლტუნ'ნტუტ, პაჯია! მის ქალიშვილს სახელად „კუკა“ ჰქვია [ძეც—ტუტ, ლორიც—ტუტ, განსხვავება არ არისო]. 84 წლისაა. გვიჩვენა თავისი მუზეუმი. დერეფნის ერთ დახურულ კუთხეში მოუწყვია მუზეუმი, ძალიან საინტერესო. აქ სხვადასხვა ნივთები აქვს, უმეტესობა თავისი ხელით გაკეთებული: ურმის, გუთნის, ხელის წისქვილის მსგავსი, ღომის საცხველის, საუცხოო მოდელები, მექის (მოხუცი ამბობს: მეჩა) მეჩითი, მადინა მეჩითი და ჩააბა (=ქააბა), წერო, რომელსაც პირში უჭირავს ვირთხა და რომელიც ტრიალებს, თუმცა მხოლოდ დადგმულია წვრილი ლურსმნით (მოხუცი თავს იწონებს, რომ წონასწორობა ასე კარგად არის დაცული: „ამას დიდი ეშმაკობა უნდაო.“); დამლები, მიწიდან ამოთხრილი ხის მორი, ძველად გადახერხილი თავით, ბავშვის ჩოხები, სიმინდისა და მზისუმზირას იშვიათი თავთავები და სხვ. მოხუცმა მაშინვე ამ მუზეუმში წაგვიყვანა. ეს მოხუცი ბევრს რასმე სწირავს ადგლეურ მუზეუმს. თავის ხელით გაკეთებულ მოდელებსაც.

ფშუ'ლტუნ'ნტუტ-იდან პაკურიანაპაბლამდის 15 ვერსია.

ჩამოვედით აულ მამ'ხა'ლ-ში; აქ ცხოვრობენ ამ ტომის წარმომადგენლები, უმრავლესობა, არიან ცოტა აბაძეხებიც. 400-ზე მეტი კომლია.

ქაფში, — შეუბერე! ეს იმისთვის ხდება, რომ ავადმყოფმა არ დაიძინოს, რადგან ძილში შეშინება იციან, და შეიძლება ივნოს (ჩვეულებრივად რომელიმე ასოს მოტეხასთან გვაქვს საქმე, როცა ქაფში აწყობენ. თუმცა უწყობენ დაჭრილსაც და ყვავილიანსაც, მაგრამ მაშინაც იგივე მიზეზია, დღისით აძინებენ ავადმყოფს, მაშინ მისი მოვლა ადვილია. ყვავილიანმა კიდევ, თუ მას გაართობენ, შეიძლება სახე აღარ გაიკაწროს).

ქურჯუ—ასე ეძახიან აქ ტფილისს. ქართველს კი „გრუზინ“-ს.

22. V. 1929

წუხელ ვიყავი „ქაფში“-ზე. დამის 2 საათზე დავბრუნდით შინ.

შენიშვნა:

მე-5 და მე-6 სტრიქონ. > ნიშანი.

ბრჯგჷ ანცა'ტუ (სახ.) დუდარგტუგტუ (ბოჯოკოვი), მოხუცია, ტომით ნან'ხ'ლ, ეს ტომი აბაძეებთან უფრო ახლოს არისო. რუსების მოსვლამდის ეს ტომი ცხოვრობდა მდ. ჭარზ (sic!)-ის შესართავთან. თავადმა ბოლეთუყვამ მოინდომა მისი დამორჩილება, მამხელები ბრძოლაში დამარცხდნენ და დასახლდნენ მდ. ქურჯრფხ-ის ნაპირებზე, 30—40 ვერსით მაღლა ამ მდინარის შესართავიდან. ნაწილი მამხელებისა ცხოვრობდა ადგილ არგმ-ში (სადაც ეხლა არის ფარსის საოლქო აგარაკი). იყო აგრეთვე ტომი მახტუ შ, რომელიც ცხოვრობდა არგმ-ზე მაღლა, სადაც ეხლა არის მოხოშის აგარაკი. თავადები და ტლაყუატლაშები ამ ტომს არ ჰყავდა. უბრჯ (ჰ გარაკეულია) -ები კი იყვნენ.

ლექსიკა

ძე—ტუბ
ლორი—ტუბ { განსხვავება არ არისო.

ჯვარი—ჯანჩი (sic!) ორი ლაპარაკობს ასე, აბაძეები ამბობენო: ჯაშ. ჯორ (აბაძეხ.: უორ), ეს გამიგონია, როცა აბაძეები ქრისტიანები იყვნენ, მაშინ ასე ეძახდნენ ჯვარსაო.

პაპას—ასე ეძახდნენ ძველად სომხის ექიმსაო.

შრჯჯ'ნ (!) — მხოლოდ გვარიაო.

წვერი—ჯუჭო'

მოკლე—ჯუჭუ', კუჭუ'

ულეაში—ჯუჭუ' (აბაძეხ. ფნაჰ' || ფნაჰ'). ნ. გვ. 119.

კაბეიკი—ჩაფტჩ

მეჟა—მჩა'

ქააბა—ჩააბ'

მატერია—შაჟუ'

სწავლობს—ჯტჯ

სულთანებს ცოლის შერთვამდის ეძახდნენ შაჰან, დაქორწინების შემდეგ ხანჯტუ; ასე, მაგალითად ცოლის შერთვამდის ქელეჩგირეჟს ეძახდნენ შაჰამჯუხტ, მის ძმას ბაიაზეთს შაჰამჯუტტრ.

ასლანჩერჯ (!)

ხანჯერჯ (!)

ასლანბზ'ჩ (!)

ბარზუ'ჯ—ბერზეკი, იწერება რუს. Берзеговъ, ამ გვარის ქალია ჩემი მასპინძლის კუიყევის დედა.

შენიშვნა:

მე-2, მე-8, 22-ე და 34-ე სტრიქონ. > ნიშანი.

ტუშუჭუტ—პატარა ხევი

ტუშინ—დიდი ხევი } ამ სიტყვების არსებობას ერთი ამტკი-
პუტუხუტ— „ „ } ცებს, მეორე უარპყოფს.

დაგუტმგუტუ

დაგუტ—ყრუ

მთქმელი: კუბა ღისმაპრლ, ფუგუტუნგლ“ტუტ, აბადეხია, 58 წლ.

აბადეხური გვარები: კუბ, ლ“გუ, ცუ“ა, მარუთტუტუ ძგბ, ბგრსტრ, დაურ, პაქურტრ, ნაურზ, ჯანრტ, ბალადტრ, დედგუტ, ანცოუ“ტუ, გუტტ; სრახტუ; ხუაზ, ლგუ, ატლ, შუგუტუ, ბარზუ“ჯ (წარმოშობით შეიძლება უბგნი იყოს), ბლუაშუ (ბლუტ—მთლიანად, თავისა და ფეხების გარდა, გახმობილი; შუ— მძებნელი), ფუნანუ (თხების მძებნელი), რუთაუ, პაფაფუტ (ვინც ძალს უხვევს ცხვირს), ბრტუ, ასპამატ (ასპა—მაჯა), ტატტუ (ტატ—„ტყაპ!“), შდრ. ტატაშ, ბიდანტუ, პაქუწუტუ, ლაუნაუტუ (ლაუნუ“უ — სახლის შემქმნელი), ქუბლტ (აბადეხია თუ შაფსული, კარგად არ იცის).

ბლუაშუ იყოფიან: რუამგუტუ და პუაუტუტუ (პუაუტ — ლეკვი), პატუტუ, აფგუ, აზაშტ, ლ“აფცარტუ (აბადეხ.?) თ“ხგლუტ.

ლექსიკა

ძე და ღორი—ტუტ

წვერი—ყუსაუ

მოკლე—ჟუ“საუ. ნ. გვ. 117.

კაპეიკი—შაფტჩ

მატერია—სუჟუ || სუაუ

სწავლობს—გუჯუ

ქურჯუ—თბილისი

ყაბარდოული

მთქმელი: აულ ხოძიდან კულენეტოვი (Куленетов), ყუნდტო (კრებიოთ: ყუნდტოტუხ; პერსონალურად: ყუნდტოტუა) ღისმაგრლ.

ძე—ყუა

ღორი—ტუა

მთქმელმა იცის ერთადერთი შემთხვევა სხვაობისა დიდი ყაბარდოსა და აქაური ყაბარდოელების ენას შორის (უკანასკნელს ეთანხმება ამ შემთხვევაში ბათალფაშინსკის ყაბარდოულიც):

შენიშნა:

მე-9, -16, -17 და 25-ე სტრიქონ. > ნიშანი.

სსაჯემ (აქაური) = სსაჯემ (დიდი ყაბარდოსი).

ყუალა'ჯა — ხრამი, დიდი ხევი

ყუაწკაჟი პატარა ხევი, რომელიც შეიძლება ცხენით გაიარო.

ყუა — აქ არ იხმარება, მაგრამ მცირე ყაბარდოში ამ სიტყვას ამბობენ „ხევის“ მნიშვნელობით.

ეს მთქმელი ჩერქეზებს ეძახის „ქიახებს“ და უპირისპირებს ყაბარდოელს; ყაბარდოელები ჩერქეზები არ არიანო, თუმცა ყველანი ადგლე არიან. აბაზებიც ადგლე არიან.

აქაურ აულებში ბავშვები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათ კიახურად ასწავლიან: „ჩვენ ყაბარდა'ჯ ვართ და აბაზა'ხა'ზაჯ რათ გვინდაო.“ აქაურებს უფრო ყაბარდოსაქენ უჭირავთ თვალი. ამბობს: „ჩერქეზული ენა“, „ყაბარდოული ენა“, როგორც საწინააღმდეგო ტერმინებს.

გაუნათლებელი, გამოუსვლელი ყაბარდოელიც თავის თავს ადგლე-ს ეძახის. იმასაც კი იტყვის მე „ადგ'ლ'ზ,“ (ძველი, ნამდვილი ადგლე) ვარო.

ხოლო თვით ყაბარდოულ ენაზე ყველა ამ კიახურ ტომებს „აბაზა'ხა'ზა“-ს ეძახის. თერგის ოლქშიაც ასე ამბობენ.

ნოღაელი — ნალა'ჯა

ბალყარებს აქვთ მხოლოდ ერთი პრივილეგიური წოდება, არსებობს თაჭბრა.

მამასახლისი — თჰამა'ლა (sic!); სუფრის უფროსსაც ასე ვეძახითო.

მზე — დგ'ლა (sic!)

ადიჯა'ხ იღბ'ზა (ყაბარდ.)

ქემგ.: ადო'ჟა იღბ'ზა

ადიჯა'ხ — ხელი, რომელიც სინათლეს იძლევა. სიმღერაა ასეთი; მთქმელი ფიქრობს, რომ ადიჯა'ხ (ქალის სახელია) უნდა გულისხმობდეს თამარ მეფეს, რადგანაც იმ სიმღერაში ამ ადიჯა'ხ-ის კოშკია მოხსენებული.

ჭუას'ჯა — დოქი

შაჟან — ქუაბი. შდრ, აფხ. ჩუან

უაქა'ჯა — კენგურუ

ძველად ჩოხის ქილებს ძალიან მაღლა აკერებდნენ, იმისთვის რომ კბილებით შესაძლებელი ყოფილიყო ქილის ამოძრობა.

ყაბარდოში ყოფილა მამაკაცის სახელი გარანდჯაჟი.

ჩვენი მასპინძელი კი ამბობს: ჰაჯი ჩარანდჯაჟი ბერზა'ჯა

ყაბა — ხანჯალი (ყაბარდ.)

ჭოჩი—თოფი (ყაბარდ.)

მამხ. ჩემე || აბად. შამე (?) || ყაბარდ. ჟემ—ძროხა

23. V. 1929

მთქმელი: ჯუიზ, ბათგრ-ბეე

მამხელური გვარები:

ჰაჰამგზ (ჰაჰა'—სტუმარი; მეზგ—გაუწურავი);

მამშა' (ეტიმ. უცნ.)—მამშაგ

მამრე (არის ასეთი გვარი. იმავე დროს ყველა მამხელური გვარი ამ საგვარეულოს შტოდ ითვლება. ამას ამბობს სამი კაცი). ყველა ამ საგვარეულოს საერთო სახელია **მამრე**. მამ'ხლ არის აულის სახელი. მამხელები ყველანი ერთმანეთს ნათესავებად თვლიან.

ერთი გლეხი ეკითხება იბრაჰიმს: მე რამდენჯერმე ვიყავი მუზეუმში და იქ ვერ ვნახე მამხელური დამლები; მაშინ როცა ყველა გვარს აქ აქვს თავისი დამლა. რატომ მოხდა ეს? კითხულობს ის ნაწყენი.

მამხელები და აბაძეხები ერთი და იგივე არიან, ამბობს ჩვენი მასპინძელი.

აქ მყოფი მამხელები ამტკიცებენ, რომ წარსულ ბრძოლებში მამხელებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. აბაძეხებს არც ერთი საქმე მამხელების გარეშე არ გაუკეთებიათ. ისტორიულ სიმღერებში მამხელებს ეძახიან მამ'ხლგ შებლგუჰჰჰჰ (მქუხარე დარტყმა).

გვარები

მამრგჯუ (მამგრ—სიწყინარე, სიჩუმე)

ჯუახჯუ (ბებერი ტახი)

შ'ხგუმეშ'ხგ (ვინც არ ჰამს მაწონს)

ჰა'ჯუნ

დნჩაგ (ვინც სხვასთან ერთად ჰენებით მიდის)

ჯუიზ (ბებერი მელოტი)

ჰაფსჯ'უ (ჰაფს—ციხე)

ჰაღჯუნდჯ'უ (ყაბარდოელებიც არიან)

თჰარჯუხუტ (ვინც მტრელებს აშენებს)

საფრე

დჯუ

ხგმშჯუ (არის მთებში ადგილი ხგმშჯა')

ლ'ახუსჯუ (ლ'ახუსგ—უცოლო).

ბრჯჯ'უ

შენიშვნა:

27-ე და 29-ე სტრიქ. > ნიშანი.

მე-8 სტრიქ. გასწვრივ სწერია: N. B.

ბათგაჭ

ანდრეხტა

ჭაფში (იხ. აქვე ზემოთ).

ჭაფში მოვხვდით შემდეგნაირად. ერთმა მეზობელთაგანმა გვითხრა, ამაღამ ჭაფშია და ხომ არ წამოხვალთო. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოხარული დავრჩით, რომ ასეთი კეთილი შემთხვევა მოგვეცა. მაშინ მასპინძელმა ორი კაცი წინასწარ გაგზავნა, არ ვიცი რა მიზნით და იქიდან პასუხს ელოდა. ამბავს კარგაზანს დაავიანდა. შემდეგ მოვიდა ერთი ჩვენთვის უცნობი დარბაისელი კაცი, ჩოხით გამოწყობილი და გვითხრა, ჭაფში გთხოვენო. ჭაფში თურმე ერთი მოხუცი დედაბერისთვის ყოფილა გაკეთებული, რაღაც უღრძვია თუ მოუტეხავს. უკვე ღამის მეთორმეტე საათი იყო, როცა ჩვენ წავედით. ბევრი ხალხი დავგვხვდა, 70—80 კაცამდის, დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი. წრე გაეკეთებინათ და ქალ-ვაჟნი ცეკვავდნენ. მუსიკა შედგებოდა ერთი გარმონისა და რამდენიმე კასტანიეტისაგან. ზოგჯერ ეს მუსიკოსები გარმონს ხმას აყოლებდნენ, ზოგი კიდევ შესძახებდა. ტაში თითქმის არ ყოფილა. ქალები (ალბათ, მხოლოდ გასათხოვარნი) ფეხზე იდგნენ, ვაჟთაგან ზოგი მიწაზედაც იჯდა ფეხმორთხმული. ჩვენ მოხუცებს გავაცანეს და საპატიო ადგილი მიგვიჩინეს. ცოტახნის შემდეგ გრძელი დაბალი სკამები მოგვიტანეს და დავკვსხეს. მალე რამდენიმე ქალიშვილი მოიყვანეს, გავაცანეს და ჩემს გვერდით დასხეს.

შაფსულების რაიონი

ტუაფსეში ჩამოვედი 23. V-ს, საღ. 7 $\frac{1}{2}$ ს. საღ. ღონდუკოვსკაიადან (15 ვერსია ჰაკურინაპაბლიდან). საღურზე მომაცილეს იბრაჰიმმა, ჩემმა მასპინძელმა ბათგრბეა კუიჟმა და მისმა მეგობარმა, მამხელელმა ლუპ ბერსგრმა, მიუხედავად ჩემი ყოველგვარი წინაღობისა. ბარგზე ხელი არ მომაკიდებინეს (ჩემს დიდს ჩემოდანს სულ ბათგრბეა დაათრევდა), მეეტლესთვისაც კი ფულს არ მაძლევინებდნენ, ძლივს-ძლივობით დავიყოლიე, ეს სახაზინო ფულია-მეთქი. მატარებელს ორი საათი ელოდნენ ჩემთან ერთად. დაიგვიანა და ვიღრე ვაგონში არ ჩამსვეს, არ მომშორდნენ. დაუვიწყარი პატივისცემა აღმომიჩინა ამ ხალხმა.

24-ს დილით ვიყავი შაფსულების სარაიონო აღმასკომში. ჯერ ვერავინ ვნახე. მეორედ თავჯდომარის მოადგილეს წარვუდგინე ჩემი დოკუმენტები. აქვე გავიცანი ერთი აგუელი ყმაწვილი თჰალჭესნოპ აპმანტგაჭუ, კავკავის სამეურნეო ტექნიკუმის მოწაფე. ბევრი

დანმარება გამიწია. ეტლი მიშოვა, ჩემი ბარგი თავის ოთახში შეინახა, თან დამყვებოდა.

ჩემი მეეტლე ხანში შესული რუსის დედაკაცია. მთელი გზის განმავლობაში მელაპარაკება. „ვერ გამიგია, რა მოსწონთ ჩამოსულებს აქაურობაში. მე რომ ამ მთებს შევხედავ, გული მიჰქნება. თავი საფლავში მგონია. ამას წინათ სამშობლოში ვიყავი (სტავროპოლის მახლობელი რომელიღაც სტანიციდან არის) და ძლივს ამოვისუნთქე. რა კარგია ჩვენი ველები. საითაც არ გაიხედავ, შორს შენობები ჩანს. სილაღეა! საკვირველია, ამ „აზიის“ (ჩერქეზებს ჰგულისხმობს), სულ იმას სცილობენ სულ სადმე სიღრმეში, შორს შედგრენ. თუმცა ეხლა ძალიან გამოიცივალნენ. წინათ ქალი რომ შეჰხვედროდა კაცს გზაში, პირს იმაღავდა ჩერქეზი მამაკაცისაგან. ღობე-ყორეს ედებოდა, რომ გზიდან გადახვეწილიყო. ეხლა უფრო თამამად არიან. მათი ბავშვებიც ასეა. წინათ მათს ბავშვებს შარვალი ეცვათ კოჭებამდის, ეხლა კი რუსულად ჩაიცვენ, ამბობს იგი.

ჩვენ მივდივართ ტუაფსე-ნოვოროსისისკის შარავით. გზა მისდევს ძალზე დაკლაქნილ ხეობას. გარემო სქლად არის შემოსილი ტყით (უმთავრესად, უკეთ: თითქმის სულ მთლად, ფოთლოვანი ჯიშები). ჩემი მეეტლე ამბობს, რომ წინათ აქ კიდევ უფრო კარგი ტყე იყო, მაგრამ გასჩხესო (ტუაფსის ახლო-მახლო ადგილებს ჰგულისხმობდა). ხოლო შემდეგ ჩემმა აგუელმა მასპინძელმა — აუნუს ბეასსომ, მაჰმედის მამამ, მიაშბო: მოხუცებისაგან გამიგონია, ძველად მთის ამალღებული ადგილები სრულიად მოკლებული იყო ტყეს: იქ ყველგან ხალხი ცხოვრობდა (ეხლაც მთელი ეს ადგილები მოფენილია ნასოფლარებით და ნასახლარებითო), დაბლობებში კი მოსახლეობა თითქმის სულ არ იყო.

აული აგუტჯ (კარბოვკა) დაშორებულია ტუაფსეს 14 ვერსით. აგუტჯს დიდ ხიდთან მოსედან მგზავრი ჩრდილოეთისაკენ უხვევს. ეს გზა, თუ შეიძლება მას გზა ეწოდოს, ერთთავად მდ. აგუჟს კალაპოტს მისდევს, და რიყეზე აქა-იქ თუ აჩნია მხოლოდ ეტლის ნაკვალევი (გაზვიადებულია!). აგუჟ ამჟამად სულ პაწაწა ღელეა, მაგრამ, კალაპოტის განი ცხადად უჩვენებს, თუ რას წარმოადგენს ის, როცა აღიღდება. ასეთ შემთხვევაში ეს გზა თითქმის გაუვალი ხდება. „ჩერქეზები მაინც ახერხებენ წყალ-წყალ სიარულს, გაკვირვებით ამბობს ჩემი მეეტლე, რალაცნაირად იტყობენ გზის მიმართულებას. რუსები კი იხრჩობიან. ერთხელ აქ ჩემი ქმარი კინალამ დაიღუპაო“.

თვით აული აგუჟ ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს: გაშენებულია ტაფობზე, ხევის ორსავე მხარეს. კონტა ეზოები, ბაღები თხილის, კაკლის, ბალისა და სხვ. ხეხილით, ვაზით. გარშემო ყველაფერი ამწვანებულია.

ნწფს'ტ ღაბარტტ, ჰანტსოტტ. 91 წლისა. დაიბადა მდ. და-
 ტან-ის ნაპირას, შავი ზღვის ნაპირას, იქვეა მდ. შაფსტტა („სა-
 მი მდინარე“, სამი მდინარისაგან შედგება, 42 წლ. რუკაზე ნახე
 г. Сапсуха). იქიდან აიყარნენ 1860 წ.; იმ რაზმის, რომელმაც
 აგყარა, უფროსი იყო გრაფი სამაროკოვი. ეს იყო სექტემბრის
 ბოლოში. სიმინდი უკვე მოტეხილი იყო. ის გადავიდა უღელტეხილ
 შაფსტტა'თ'ხ-ზე (შაფსტ — მდინარეა; მთა — შაფსტტა). ზამთარი
 გაატარა კრასნოდარში, 1862-ში მოვიდა ჯტბლტ-ში. — მოჰაჯირო-
 ბის ამბები. 7 წელიწადი ეყარა ადამიანის ძელები ზღვის ნაპირას.
 მამაკაცის წვერისა და ქალების თმისგან ყვაეები ბუდეს იკეთებდნენ.
 7 წელი ზღვა ადამიანის თავის ქალას საზამთროსავით. ისროდა ნა-
 პირზე. მტერს არ ვუსურვებ იმის ნახვას, რაც მე ვნახე. — აბაძეები
 ჩვენები არიან. ბუედლები, ქემგუები სხვა. აბაძა, აბაძეხი, შაფსული
 ერთია. აბაძეხებს მიწა ეკირათ სჰაგუნშ-დან მდ. ფსწყ'ფს-მდის,
 მთავარი ქედის კალთა სჰაგუნშ-ს ქვემოთ ცხოვრობდნენ კემგტტა,
 იმათ ქვემოთ ბზაღტტა. ეს უკანასკნელი ცხოვრობდნენ აძტფს-
 ამდის. მდ. თენგინკა = შაფსტტა! შდრ. შაფსტტა გვ. 127. შაფსუ-
 ლები აბაძეებთან ერთად 2 1/2 მილიონი იყვნენ. მე თვითონ ვიცი, ერთ-
 ოჯახში 33 სული იყო, ხუთი რძალი.

თავადები ეხლა თქვენთან აღარ არიან? მეკითხება მოხუცი,
 არ გენანებია, ხომ? ჩვენ არასოდეს არ გვეოლია თავადები.

ნათხვაჯი—ნათხტაჯ, (sic!)

მოხუცი კატეგორიულად ამბობს: ჩვენი ერთადერთი სახელია
 შაფსული, არავითარი აღგლე ჩვენ არ გექონია ნ. გვ. 125. ჟუნუს
 ბჟასსო ამის გამო მას შენიშვნას აძლევს. შემდეგ მოხუცი ამბობს,
 რომ აღგლე საერთო სახელია.

ანაპა თურქ. სახელიაო, წინათ მას ერქვა ბულტტრ-ჰალტ.

წემშ'ზ—ნოვოროსიისკი.

ხულ'ჟრბ (ხულ'გ—ნავთსადგური; ჟრბ—პატარა)—გელენჯიკი.

ცოფსტნ—ცვაფსინი, (р. Улапка).

ნაგაფსტტა' (ნაგა'—სილა)—ნეგეფსიხვა (р. Негепсухо).

მდ. ტტტ—ტუ (р. Ту) ნ. გვ. 126.

მდ. ნებგტტა (ნაბაღტტა?);

მდ. აგტტა;

მდ. ტყტაფს (sic!) რამდენჯერმე ვეკითხები მოხუცს და ადას-
 ტურებს ჩემს გამოთქმას. ორ მდინარეს ნიშნავსო. ნ. გვ. 126.

შენიშვნა:

მე-2, -7 და მე-8 სტრიქონ. > ნიშანი.

მდ. დანდარგუტა

მდ. სანსტ, შდრ. სუფსა

მდ. შგუ'ტუ („მხედრის შვილი“)

მდ. მაყუფესტ—მაყვიფსე (Макопсе).

მდ. მანჯღღუტუს (მანჯ — ქვა; ღუ — სორო) — მეჭიღვიფსი (р. Неожиданная).

მდ. აშა' — აშე (р. Аше)

ძე—ჭუტ
ლორი—ხუტ } ასე ამბობს მოხუცი

„ადღლეურად ასე გამოდის, შათსულურად მათ არ იციან“ (გვ. 124.) ასე თქვა მოხუცმა, როცა მე შევნიშნე, კემგუები ამ სიტყვებს ვერ არჩევენ-მეთქი.

აქ შეწყდა ჩვენი ჰუშაობა, რადგანაც მოხუცმა თქვა, რომ დაიღალა, თან ბოდიშს იხდის. ბოდიშს იხდის აგრეთვე, რომ ვერ გაგვიმასპინძლდა. საკმელი გვაქვს, გამკეთებელი კი არა გვეყავსო. ის და მისი დედაბერი არიან მხოლოდ ოჯახში. ერთი ქალი ჰყოლიათ გათხოვილი.

საზოგადოდ საინტერესო მოხუცია. ვიდრე საუბარს დავიწყებდით, მითხრა: ყველაფერს გეტყვი, რაც გაინტერესებს და რაც ვიცი, მაგრამ ჯერ ჩემი დარღები უნდა გაგიზიაროო. მისი დარღი კი ის არის, რომ „დღნ“ დაკარგა ხალხმა, ძირს, ფესვებს არაფერს ეჭირისუფლება („ფესვის დამკერი არაფერ არის“), „ფორმა“ დაკარგეს (ე. ი. სამოსი, საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინია ჩერქეზებში, მე ყველგან მესმოდა ასეთი გამოთქმა), მაშინ როცა მთელმა ქვეყანამ აღიარა ჩერქეზული „ფორმის“ უპირატესობა. მალე ალბათ შარვალსაც ჩაიძრობენ. ქალების გალაღება არ მოსწონს განსაკუთრებით მოხუცს. „ეს ჩვენ არ გამოგვადგებაო“. მოხუცი კარგად ლაპარაკობს რუსულს, უმსახურნია ჯარში, როგორც ქვეითში, ისე საზღვაოში.

ძალიან ცხარედ ლაპარაკობს მოხუცი ენის შესახებ. ენა ეს არის უმთავრესი. თავისი მამის და დედის ენა არ უნდა დაკარგოს კაცმა. თუ თავის ენა იცის, შემდეგ რაც უნდა ისწავლოს, შეერგება. კიდევ ბევრი ილაპარაკა მოხუცმა. აი, ეს მაწუხებდა, გითხარი. აბა, ეხლა შენ რა გაინტერესებს, მითხარიო.

შენიშვნა:

შე-5 სტრიქონთან > ნიშანი.

მოხუცი არის საპატიო პიონერი, წითელარმიელი და წითელ-ფლოტელი. ყოველ წელს მოდიან მასთან სტუმრად ლენინგრადელი მეზღვაურებიო, მითხრა მაკმულ ბუასსო.

მოხუცი ძალიან სუფთად ცხოვრობს. სხვა სამკაულებთან ერთად ოთახში უკიდია ჩოხა და ხანჯალი. ამ ტანისამოსს მე არასოდეს დავადებ, ეს მეცვა დაბადებიდან და ამით უნდა მოვკვდეთა ვე ბოხობი ახურავს. მე ბევრი ქული მაქვს, წითელარმიელის და სხვა, მაგრამ ამას არ გადავადებო. მშვენიერი ეზო აქვს სახლის წინ. მაღალი მწვანე ბალახი ბიბინებს. ეზოში „ალაგე“-თი უნდა შეხვიდეთ, ლობეს წინ თხრილი და ბოგირი, სულ მთლად როგორც ჩვენში.

მთქმელი: ალ'ალ' მუს ფშმატჯჯუ, 30 წლისა. სამოქალაქო სასწავლებელი დაამთავრა ტუაფსეში. დაბადებულია აქ. მოხუცებისაგან გაუგონია შემდეგი ამ აულის დაარსების შესახებ: წინათ აქ არავინ ცხოვრობდა, ცუდ ადგილად ითვლებოდა. 64 წლის შემდეგ, ის შაფსულები, რომელთაც არ მოისურვეს ოსმალეთში წასვლა, დაასახლეს სამხედრო პოსტებთან (ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი ოჯახი): ნებუგი, ოლგინკა, ველიამინოვკა და სხვ. შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ; შემდეგ მათ წინადადება მისცეს ან წასულიყვნენ ოსმალეთში, ან გადასახლებულიყვნენ ყუბანის დაბლობებში. შაფსულებს არ უნდოდათ მშობლიური ადგილების დატოვება. მოხუცებმა არა ერთგზის აღძრეს შუამდგომლობა ამ ადგილებში დატოვების შესახებ. ზოგიერთი პირების დახმარებით მათ შეძლეს ესა. კერძოდ ამ აულს დაეხმარა ვინმე კარპოვი (აქედან: კარპოვკა, მას აქ არავითარი მამული არ ჰქონია). ეს აული დასახლდა აქ 1872 წლის გაზაფხულზე. (ეს ბებიაჩემს უთქვამს არა ერთგზის), 49 კომლი დასახლდა აქ. ეხლა არის 168. ამის ბაბუა წინათ ცხოვრობდა მდ. ტჯუ-ს სათავეებშიო. (ტჯუსპა). ნ. გვ. 124. მთის ფერდობი, სადაც თვით აული იყო, იწოდებოდა ტჯუბლუჯ' (ბლუჯ' — დაქანება, ფერდობი, დაღმართი, მთის ფერდობი).

ტუაფსე — ტაჭაფს (თითქმის „ტყუაფს“) ნ. გვ. 124. გვ. 133. ორი — ტაჭი (ადასტურებენ, რომ აქ ტ-ს შემდეგ ისმის თანხმოვანი, თუმც არ ვწერთ მას, მაგრამ ეს სწორი არ არისო). შდრ. ტყუპი

ტურა — ბაგვ'შ,

მელა — ბავ'შ (sic!)

მგელი — თ'გლ'ტჯუზ'შ'

შენიშვნა:

27-ე სტრიქონ. > ნიშანი.

წვერი—უაქა'
 ულვაში—ფაჭა'
 მოკლე—კაჭკა'
 მატერია—შაქა'
 ძე—ჭაჭა'

ლორი—ხაჭა (sic!) ადასტურებს ამ გამოთქმას, ხოლო ხა-ს-
 უარპყოფს.

ნეგეფსუხო—ნაგაფსუხო (ნაგა—მდინარის ქვიანი ხეობა; რი-
 ყე; ფსუხო—მდინარე).

ამას იქით ნოვოროსიისკისაკენ პირველი მდინარე იქნება —
 შაფსუხო. შდრ. გვ. 124 შაფსუყო

ჯვარი—ხრესტ

გაშა, ეს რაღაც სხვაა, რომელიც ჯვარსაც შეიცავს. ჯაჭა
 (sic!) ესეც ღვთაება უნდა იყოს.

მღვდელი—არაფერი გაუგონია

კაბეიკი—ქაფაქი

შაური—ბეთაქ, მე შაფსუხოში არ გამიგონიაო

20 კაბ.—ნაბა

მანეთი—სომ

ფული—ნაჩ (sic!)

ბეგ—ასლანბაქი, ყუზბაქი, ზაჭაბაქი, ასლანქარა, შპანქარა,
 ბათქარა, სპათქარა, ისლამქარა.

მსაკა - ნაბერქალი. შდრ. სვანური

მსაქა—ცეცხლი

ქაჭა—ტუჩების ზედაპირი

ქაჭა—ჯგუფი, ხალხის ხროვა, აფხ. გუფ.

სწავლობს—ტარ აგა

სკოლა—აგაქა || აგაქა

მე გავემზავრე ცხენით (на лошади) — შაქა სკაჭა.

მე გავემზავრე ცხენით (верхом)—შაქა სკაჭა.

25. V

ჩამოსვლისას ადრე საუზმე გავიკეთეს. ჩემთან მაკმულის მა-
 მამ ისაუზმა, ისიც ჩემი თხოვნით. გვემსახურება მაკმული, რომე-
 ლიც ფესზე დგას. ის ხშირად იღებს შენიშვნებს მამისაგან, არ იცი
 ზრდილობის წესებიო. განსაკუთრებით მკაცრი შენიშვნა მიიღო,

შენიშვნა:

მე-8 და მე-13 სტრიქ. > ნიშანი.

როცა მარცხენა ხელით მომცა ჩაი: სტუმარს ყველაფერი მარჯვენა ხელით უნდა მიართვაო, თორემ დიდი სირცხვილიაო.

სალამოთი ვახშამი შედგებოდა სუპისა და მოხრაკული ქათმისაგან. ჩემთან სუფრაზე იჯდა ერთი მეზობელი, ზემოთ მოხსენებული ჩემი მთქმელი. მაჰმუდის მამა არ გამოჩენილა. გვემსახურება ისევ მაჰმუდი. ჩაის შემდეგ, როცა სუფრა აალაგეს, შემოვიდა მაჰმუდის მამაც.

კარგა ხანს ვიჯექით ეზოში, საუცხოო სალამო იყო. სხვადასხვა ფრინველები ეხმაურებოდნენ ერთმანეთს და ოდნავ საგრძნობი სურნელება იდგა ჰაერში.

ლოგინი დიდი სისუფთავით არის გაკეთებული. მშვენიერი აბრეშუმის საბანი. სამი ვებერთელა ლეიბი მიგია. ასე რომ, ძლივს ავდივარ საწოლზე.

მაჰმუდთან ვმუშაობ.

ა'ხ აქ იქნება ზღვისაკენ.

აფშ.—მთისაკენ. მაშასადამე, ცხადია, რომ აქაც მდინარის მიმართულება განსაზღვრავს ამ ცნებებს.

ქაჲ—ადგილი მალლობთან; ადგილი ორ მთას შორის. მაგალითად, ამბობენ; ლაბაჰა'ჲ. შაფსულები ამბობენო კა'ჲ, მაგალ.: შუგნაჰა'ჲ (ასე ეძახიან აულ კიჩმაჲ-ს; ამ უკანასკნელი სახელწოდების ადგილი უფრო ქვევით არის).

გუჰაიჰა'ჲ—ღრმული მთებს შორის; ძნელად დასამუშავებელი ადგილი.

ქულაჰა'ჲ — ხრამი, შეიძლება ყოფილი მდინარის კალაპოტი, ეხლა წყალსმოკლებული.

ჟერჰა'ნ—მთის ქვიანი ფერდობი, ცოტა მცენარეულობით. ხეები იქ სრულებით არ იცის.

მე მივრბივარ—საჩაჰ

მე ვიმალები—ზასლაბტლ'ჲ

მე ვმაღავ—სლაბტლ'ჲ (ბე—სორო; ლ'ა—იხ. ქვემოთ).

ჲალ' — ხელთათმანი (ჲა—ხელი)

საბჰნა'ლ'—ჭურჭელი, რომელზედაც ან რომელშიაც დევს საპონი.

საჰათტლ'—საათის ბუდე

ქერგჰა'ლ' — რევოლვერის ბუდე. (ქარახტ || კარახტ, შაფს.—რევოლვერი).

შენიშვნა:

მე- 15 და 22-ე სტრიქ. > ნიშანი.

თ'ხელ'გლ'—საწიგნე ჩანთა
კრასნო-ალექსანდროვსკაიას თქმა, ძალიან განსხვავდება. მაგალ., ცხენი—ქემგ. შიგ, შაფს. შიგ, კრ.-ალ. ჩგ.

პანთეონი

ძველად ჩერქეზებს სხვადასხვა ღმერთები ჰყავდათ. ზოგიერთი მათგანი ადგილობრივი იყო. მაგალითად, აბაძეებს ჰყავდათ: თჰალა-ლ'ჯ; (ლალა'ჯი—უღიტინებს); ამ აულს, აგუტგს—ჯამშ'შ; კრასნ.-ალექს.—ლ'აფს. ღმერთმანის მაგიერ ამბობენ აგუდში: ჯამშ'შ, სემკუტან (ღმერთმანი არ წავალ; ნაცვლად: ჟალოლიაჰა სემკუტან) და სხვ. კრასნო-ალექსანდროვსკაიაში: ლ'აფს, სემკუტან და სხვ. კრასნო-ალექსანდროვსკაიაში აგრეთვე გამიგონიაო: (და აქაც ამბობენო): ჟემკუტან თჰ სემკუტან (შღრ. ლიულიეს ზეგუტხ), მაგრამ ეს ნაკლებად იხმარება; უფრო ხშირად გაიგონებს კაცი ლ'აფს-სა და ჯამშ'შ-ს.

აქაურებს (მგონი კიჩმაგელებს თუ კრასნო-ალექსანდროვსკაიელებს) ჰყავდათ აგრეთვე ღმერთი: თჰანაშხტ (ნაშხტან'—ციხფერი თვალი), თითქოს ეს კატა იყო.

ადგ'ღაზაზა' ჟასაა? იცი ჩერქეზული?

სასაა'—ვიცი

მეკუტან'ჰ სსაარაფ—ცოტა ვიცი

სასაარაფ'—არ ვიცი. ფსაარაფ—არ იცი.

მეკუტან'ჰ—ცოტა. თითქოს, საბოლიშო ფორმააო.

ბაჟ სსააა'—ბევრი ვიცი.

მოდლი აქეთ — მეღა ჰა.ჟა'

წადლი იქით — ჟღა' კუტ

ჰა.კუტ' — მოდლი

ჰა.კუტ' — მოდლის

უღაჰა' კუტ - წადლი (რალაცას მოუარე)

ნა.კუტ წავიდეთ

ჩემი მასპინძელი მიაშობს: სულთანის დროს ოსმალეთში სდევნიდნენ ჩერქეზულ ენასა და მწიგნობრობას, ერთი დიდი მოხელე, ტომით აბაძეხი, ბეირუთის მუტასარიფი, ზღვაში ჩააგდეს ჩერქეზული ანბანის გამოგონების ცდისათვის.

შენიშვნა:

პირველ და მე-10 სტრიქ. > ნიშანი.

მე-2 სტრიქ. გასწვრივ სწერია: πηλα

9.

თვით ჟუნუსსაც უცდია ასეთი რამ. ჟუნუს ბჟასო დაბადებულა აულ ჰათლუჯუკუტუშ'ა ჰათლვიზიხვაიში (Хатужукайи, ჰაქურინსა და ფშიზს შუა). მამა სწავლის ნებას არ აძლევდა. ფარულად გაყიდა თავისი წილი ცხვარი, როცა 16 წლისა იყო და გაიპარა უპასპორტოდ საზღვარგარეთ. უფრო აღრე გარპარა თერგის ოლქში სასწავლოდ, მამა დაეწია გზაში და გაამათრახა. მეორეჯერაც ასე დაემართა. მესამეჯერ დედამ მისცა 15 მანეთი, ფეხით ჩავიდა ნოვოროსიისკში, იქიდან გემით ბათუმში. აქედან ჭოროხის პირას მდებარე სოფლამდის ისევ ფეხით. გასტოპეს ჭოროხი და გავიდნენ ოსმალეთის ტერტორიაზე. ტრაპიზონიდან მუჰაჯირ-კუმსიონს გაუმგზავრებია ის სტამბოლში. აქ მას დახმარებდნენ ჩერქეზები, 12 კაცი: ერთი მათგანი, ყავახანის პატრონი, მას ოთხი წლის განმავლობაში უფასოდ აძლევდა ოთახს. დანარჩენები სისტემატურად ყოველთვიურ დახმარებას აძლევდნენ. ამრიგად მიიღო იქ განათლება. ეს მოხდა 1896 წ. 1903 წ. მან განიზრახა ჩერქეზული ანბანის შედგენა (მისი ნიმუში მას ეხლაც შენახული აქვს და მე ვნახე). ერთხელ ასეთი ვარჯიშობის დროს მას თავს წაადგა ფარული პოლიციის აკენტი, ვინაობის გამოკითხვის შემდეგ წინადადება მისცა რეფორმატორს თავი დაენებებინა ამ მუშაობისათვის, მოაგონა რა მას ბეგრუთის მუტასარიფის ბედი. ეს აგენტი ყაბარდოელი ყოფილა თვითონ ტომით, და ჩერქეზულად ელაპარაკებოდა თურმე ჟუნუსს, დაბოლოს კიდევ კარგი, რომ მე შეგვხვდი და არა სხვა ვინმეო. მიუხედავად ამისა, ჟუნუსი მაინც ცდილობდა ფარულად თავის ანბანის გავრცელებას.

ჟუნუსს არ მოსწონს ზოგიერთი რამ მაკოვლევის ანბანში.

ცა უმჯობესია დაიწეროს სხვანაირად და არა ცv, როგორც ეხლა მიდებულაო. მაგალითად არაბულით ვწერდით حاج ეხლა უნდა დაიწეროს სხვანაირად და არა cvage (წუდა), როგორც წერენო.

ჩივის აგრეთვე, რომ უ-ს გამოხატვა შეუძლებელი ხდება, რადგან u დიდტონგია; მაგ.: ქალის სახელები ცუცა; ცურ; ცუცუ დაუწერელი რჩება. აგრეთვე ძალის სახელი—ცუნ.

ამ რაიონში შედის შემდეგი აულები:

- 1) ფსუბუ' ფსებე (Псебе).
- 2) აგუტუ აგვი (Карповка).
- 3) წაფსუ წაფსი (Ципка)
- 4) ქუადასუპპპ ქვადაშაპაპი (Маленьк. Псеушхо)
- 5) ს' > ჯაფუ'ტუ შყაიახვი (Больш. Псеушхо)
- 6) ნაზუგუტუ' ნაზაგვე (Наджухву)

7) ლ"ტლუათ'ხ ტლუღვათხი (Красно-Александровская).

ა) ჰაჯან'ტყ. უბანია

ბ) სოაჯან'ტყ. „ „

8) თჰაღ'ფს, თჰალაფსი (Божьи Воды) (მიაქციე ყურადღებ-
ბა: ფს).

9) შ'ხნკ'ა შახაკი (Кичман)

10) მაგრა (Магра) 10 კომლამდის ჩერქეზებია

11) შ'ხნფ'ა, ახალი სოფელია, კიჩმანის მახლობლად, შახათა
(Новое Шансугское?)

12) აშ'ფ' - 8 თუ 9 კომლია ჩერქეზი, Красно-Александров-
ская-ს მახლობლად; აშ'ფა.

ეს არისო ყველა ის დასახლებული პუნქტი, სადაც ჩერქეზები
არიან. ყველაზე დიდი აულია აგუტ'ა.

ფსგს'ა [ფსგ] (უფრო ამ დაბოლოების გარეშე გაუგონია) —
ფსგშყა (р. Псеуапсе, სადაც არის აული Божья Вода). „კეთილი
მდინარე“.

ფსგს'ა > აფ' — ფსიშყაფა (Лазаревка)

რკინისგზიდან კრასნო-ალექსანდროვსკაიამდის — 9 ვერსია, აქე-
დან ლეთის წყარომდის — 12 ვერსი. კიჩმაჲ კიდევ უფრო ახლოს
არის რკინისგზასთან — 3-5 ვერსია. ფსეუშხო დაშორებულია 25 ვერ-
სით საღ. კრივენკოვოდან (არმავირ-ტუაფსეს რკინისგზაზე).

ჭებ ზურგი (ზოგადი, განყენებული მნიშვნელობით); „პირი-
ქით“ (მთაზე) [მაჰმული].

თჰამ ფაჰ' — „ღმერთისთვის“, „ღვთისთვის“, ღვთისათვის, გე-
თაყვა (მაგ. „ტგს“ დაჯექი).

ს' სფაჰ' ს'აჯ' — ჩემთვის გააკეთე

ს' სფაჰ' აჯ' — ჩემთვის თქვი

ს' აჯ' — ელაპარაკობ

აშ, აჯ' აჯ' — ის ლაპარაკობს

აჯ' აჯ' აჯ' — შენ მე მეუბნები

ს' აჯ' აჯ' — მე შენ გეუბნები

აჯ' აჯ' — idem.

აჯ' აჯ' — „მე შენ (შენს თავს) გეტყვი იმას“.

მთქმელი: ქათან'ა > ბალაგუტს'ა ლაგუტს'ა > ზუტ'ა.

ქათან' — ხმალი (მოლუნულიო, ჟუნუსი ამბობს). ს' > აჯ — გამკე-
თებელი.

ღაიბაღა ამ აულში, მამა კი ნეგეტსუხოს ხეობაში.

შენიშვნა:

მე-5, -9 და მე-11 სტრიქ. > ნიშანი.

ჩვენი გვარი განთქმულია მკედლის ხელობით. ქალებიც კი ხშირად გამოსულან ჩვენი გვარიდან ხელოსნები. პირველი ხმალი ჩვენი გვარის კაცს გაუყეთებიაო.

ქათამი — ქათვ'

კატა — ქათვ'

მოკლე — კაჭვ'. შდრ. გვ. 127

წვერი — ქვაპ' ნ. კა — კული, გვ. 133

მატერია — შაქვ'

ძე — ჭაჭ (სხვა ფორმას უარყოფს, ღორი იქნებაო).

ღორი — ჭჭ (sic! იქნებ იმით აისხნება, რომ ნავალი კაცია, ბუდუღებშიაც ყოფილა, თუმცა მოკლე ხნით).

ცხენით წავედი — შგვ' სკუბლ

ჯოხით ვცემ — ბაშგვ' სკუბლ (?)

მკედელი — ლუკვ'

სამკედლო — კიშ

კაპეიკი — ქაფვ' ქ'

სწავლობს — ღრგ'

ღუქანი — ბაჭრ (ღუქან ბუდუღური სიტყვა არისო).

ბარაქათი — ბარაქათ

ძმა — გშ (შგ ცხენი იქნებაო)

ჩემი ძმა — სპ ჩაჭ

შენი ძმა — ტპ ფშჭ

მისი ძმა — უშ გშ

ჩვენი ძმა — თპ თშჭ

თქვენი ძმა — შა ფშგ (sic!)

იმათი „ — შშგმა შშ

ქართველი — უფრო: მარაბთენ, კიდევ: გრუზინ.

ტფილისი — გურჯაჭ'

ჯვარი — ხრესტ; ჯაჭრ (ეს ხის არის; ის კი ვერცხლის ან სხვა რისიმე, თან გულზე ხელს იდებს, ე. ი. სატარებელიო)

მელია — ბაჭვ'

ტურა — ბაგვ' შ.

დიდი — ნნჭ

დიდი — შხუა (sic!)

ა-ხვ' — საითაც წყალი მიდის.

აფშაპ' — საიდანაც წყალი მოდის.

შენიშვნა:

29-ე სტრიქონთან > ნიშანი.

კ'შა (ეს არისო პატარა მდინარე; გინდა იყოს წყალი, გინდ არ იყოსო, ქვა უნდა იყოსო. ერთი სიტყვით მისი უხვირო ვანმარტე-ბიდან ხევი გამოდის).

მდ. აგუჲს აქვე ერთვის პატარა დეღე ჭულაშტუ.

ჭულაშტუ'—ვიწრო ხეობა

ნაგაშ'—„როცა სულ ქვაა და მიწა არ არის“.

ხანჯალი—გამა

თოფი—საქტუქ' (sic!), შეადრ. აფხ. შაქ,

მზე - თვლა

მამასახლისი—თჰამთაშ'

ტუაფსე—ტაშაფს

მექა—მეჭა

ქააბა—ქაბა

კუდი—კ'შ' (sic!)

სტუმარი—ჰაჰე (sic!)

გრდემლი—სგე

ჩაქუჩი—ჭაშა

შაშტაშ'—გვარია მხოლოდ.

რკინა—ლუჰე (sic!) შდრ. აქვე „მკედელი“ და აფიფსიდის ჩანაწერი.

ორი—ტაჰ' (sic?)

ლაგუ — დაბალი ადგილი 2 მთას შორის. აი, მაგალითად ლ'აგუ იქნება ის ადგილი, სადაც ეხლა ეს აულია (აგუჲ) გაშენებული.

ზაჰუქა—კრება

ცხოვრება—შაანჯლ; ფსაუნჯლ; ფსაჰუქ; შაანჯ.

8. VIII. 1929

უბარლოული

მთქმელები: 1) კარდანოვ || კარდან'ხ (პერსონ. კარდან) ას-ლიან ქემალჯუტა (კარდან'ხ = Из Кардановых) აულიდან (ცუტაჲ) = ძველებ. ჟა'დუგნეტ ჰანჯოტოვსკიი (в Урванском округе), ეხლა ჰქვია ფსგანსუ.

2) ტიგლოვ || ტენ ლ (თ.შ. როცა მარტო გვართ ეძახიან, ასე უნდა ითქვას) თაზგრანთ, ადამჯუტა; აულიდან (ძველ. უტაჰჯუტა იშ-ხარა [იშხარა = ქველა] (Нижний Кважоковский, Урв. округа.

შენიშვნა:

მე-5, -6 და -11 სტრიქონ. > ჩიშანი.

ბოლოდან №-13 სტრ. გასწერივ წერია: N. B.

ამ სოფელში გვარები: აგრჯყტა, ინდრჯყტა.

ორივე სოფელი მდინარე შარბე, Черек-ის ხეობაშია. река — ფსგბტა; ყტბ = ველი, ხევი, „ორ მთას შუა“. მდინ. არტან — Урван; მდ. ყახუნ (= „ожидаемый“, „подрастающий“) = Колхун (!); ადგილი კეყტა (კეა—ხეა ერთგვარი, მაგარი); ჭ კი არ უნდა იყოს აქ, არამედ კ; ასე ჰქვიან ლელესაც—Чеюко;

(აკვ — ქოჩორი)

ყვ'კ'ვ — წვერი; ფვ'ს'ა — ულვაში; შ'კ', ლელე ღუმანჯყტა — Деменюк

მდინ. თერგ' — Терек. ბახსან — Баксан

მდინ. ჟურგ'ხტ — Урх 'ხტა — ცარიელი ადგილი ტყეში.

სწ ყაბარდნა სწ'ტყტა. ყაბარდნა'აწჯტ — М. Кабарда, ყაბარდნა'შტა — Б. Кабарда. აული დოღტჯყტა — Догжукowo.

ძე — ყტბ = ველი! ღორი = ჭტბ; ჭვარი = ყორ || ყორ! ჭაშ არ გაუგონიათ! ხტახტბ (ანბანი, 27) — მისალმება

მამაკაცის სახელები: ჰაფბტბ (მამ. და მდ.) (ფბტა — курносый, тупой нос, тупой — საძბტა), ჰაკ'შა (ძალი, კული, ვედი), მარაშმ („პარასკევა“), მარაშმჯყტა (პარასკევეს დაბადებული), შაბათჯყტა (შაბათს დაბადებული), ყანჯყტა, ბტბა, ბახტა'ხწ (გვარია!) შდრ. ბახვა [много скотопроизводящий — ბახტა], დარჯყტა, პტტ, ძაძ, ცაცტტ, ძაღაზბჟ („ჯარი დაბრუნდა“, უკეთ: „ჯარო, დაბრუნდი!“) ყართულ' (ყართ — эпоха?), ლ'გმა'ხტა (ბედნიერი კაცი).

ქალის სახელები: ძა'ძა (ძაძტტ, ბავშვის სახელია), ძაძტნა (sic!) ცა'ცა, ცაცუნა, ცაცუნან, ცტცა, ბგ'ხტ, ბაბგ'ხტ, ზაზა (ზაზან' — დაიცა, დაიცა!).

მამაკაცის სახელები: მაშჯყტა (გვ. და სახ.), მესწ'სტ (ეტიმოლოგია უცნობია), ჟვეჯტა, ლუბჯყტა, თემგრყან, ჰატონშჯყტა (!), ყამბრთ, ჟბტა (!), მას (= „горит“!)

სატომო სახელები: ბალ'ყარ, ჰაყრვ'თ (Черкесы, Адыг. обл.).

9. VIII. 1929

მთქმელი: კარდან-ხწ (იხ. ზემოთ)

ნალხიკი — ნალ'შტქ (მდინ. და ქალ.)

იაღბუზი — აოსჰამბ ხტ („ბედნიერი მთა“ = „курган“!)

შენიშვნა:

მე-11, -14 და 25-ე სტრიქონების გასწვრივ > ნიშანია.

მდ. Малка—ბაღყ

კაცი კლავს მგელს წგ'ხტემ დგლტჯზი (ჟ?) [!]

ყააქუკ (ზოგჯერ მესმის ბოლოში ჭი!)

ქვემდებარეს აქ უსათუოდ დაბოლოება „მ“ სჭირია.

კაცი მიდის წგ'ხტ მნკუა || წგ'ხტურ მნკუა; წგ ხტემ მნკუა ალა-
მიანებთან მიდის

კაცს ძინავს წგ'ხტურ მაჟა (წგ'ხტემ აქ არ შეიძლება).

ჩემი ძმა წერს წერილს სიყუაშემ პისმო ატო'ხგ (უ-მან-ოდ არ
შეიძლება).

ჩემი ძმა იცინის სიყუაშურ მადნხანს'ხან (სიყუაშემ არ შეიძ-
ლება!)

ჩემი ძმა ჩემ დას აძლევს ვაშლს

სიყუაშემ მნაარჯსა სიფშფხუმ ა ი რ ა ' თ !!

„ „ „ მისცა—აირითას,

ბიჭი ტირის ს'ალაწკატურ მალ

„ტიროდა „—“ დნს'

იტირებს „ „ ღნუს'

ბიჭმა დაიჭირა კატა „-მ გ'აღტ' ყეაქუბდნ'ს'

დაკლა ქათამი „-მ გ'აღ ტიფლაჟნ'ს. შდრ. გელი

ბ რ —თვლა; 'ხგებრ'—კამეჩის სადგომი; შგბრ'—ცხენის სადგო-
მი; ქათ—ცხვრის სადგომი; შდრ. აფხ. ა ბ რ ' რ ა.

მამაკაცის სახელეზი: ჰამდნხტ (გვარია; ჰამ — ადგილი, სა-
დაც ლეწავენ, კალო; ცგც; დ რ თ ა (ეს არ არის საკუთარი სახე-
ლი, არამედ მიმართვა ბავშვებისა მამისადმი); ფშემბ'ხტა; თემრტყუა;
მატ; ლუტა; პტა (ბავშვის სახ., აგრეთვე დიდისაც); მტშა (ბავშვ.);
მ ა რ შ ა ნ ' ხ ა (თავადები ფსტ იყენენ ჩვენს აულშიო, გვარია); მა-
ჯავა'ხან (გვარია აგრეთვე აზნაურის, ჟარყ).

მდ. Чегем შავგ'ამ; მდინარე და მთა Чандукი ჰანდტ'ყუა; მდ.
Шалушка შაპალტყუა (ასეთივე სახელის აულიც); მდ. Кынджа ჰან-
ჯნ'; აული Кошерово ყუაშარტყუა (აზნაურის გვარის მიხედვით).
მდინ. მ ა რ ლ ტ ჯ შ ' ერთვის მდინ. ფ ს გ ა ნ -ს უ -ს.

მთქმელი: ბეტროზოვ ბეთროზ'ხან ლია ჰაქმათტყუა აულიდან
Хату Анзорова ხათუა'ა (თავადები ანძორგ'ხან).

ურვანის ოლქი.

მდ. Урух—ურგ'ხტ

შენიშვნა:

მე-12 სტრიქ. გ.სწერივ > ნიშანია.

მდ. Аргудан—არგუტდან

მდ. Шекер—შექა'რ

მდ. Терек—თერქ' (ისმის თითქოს აგრეთვე: თა'რჩი)

მდ. Чкола—შეგო'ლან

მდ. Псыгансу—ფსგან-სუ (?)

Даргон—დარღუნ

ოსები ყაბარდოელებს ეძახიან ქაშგონ (მთქმელმა იცის ოსურიც, ოსების მეზობლად ცხოვრობს). ყაბარდოელები კი მათ ეძახიან აჟსჰა (= горец; მთა = აჟსჰა), ასევე ბალყარებსაც, ან : ბალყარ აჟსჰა; აბაზჯ'ხან...

ტალახი—ჯატა

თოვლი—ჯას

შვილიშვილი—იყუამრყუა; იბენმიბენ; ბენ—ოჯახი

თჰამადა—უფროსი, ამორჩეული, პატივსაცემი.

ჯვარი—ქორ („ჯაშ“ არ გაუგონია)

9. VIII. 1929

აბაზური ენა. „იზბაჩების“ კურსებზე

მთქმელები: 1) Накохов—ნაკოხრაა ალი მაჰამეთ-იფა, აულიდან Бибердовский—ბიბარდქ'თ (დიდ ზელენჩუკზე).

2) Балов—ბალარაა უმარ ხრცა-იფა, აულიდან Лоовско-Зеленчукский—ლორქ'თ.

Малый Зеленчук—ინჯჯქ-ქუტუნ

Большой Зеленчук—ინჯჯქ-ღუ'

ჰო—შთა!!

1—ზაკჯ

2—ჰობა (თითქმის იგივე ბგერა, რაც აფხაზურში).

6—ცბა (Чагиреевцы и кувинцы говорят: ჰბა).

8—აბა (ხმოვანთა შორის თითქოს რაღაც გუთურალი ისმის).

11—ჟიზ

12—ჟუჰჟ

16—ჟიცი

19—ჟეჟჟ

20—ჟაჟა

100—შეჯ

შენიშვნა:

პირველ და მე-3 სტრიქონების გასწვრივ > ნიშანი.

50—შეზღუპ

გზა—მეჭა (ჭა ოღნავ განსხვავებულია)

ცა—აჯაჟანდ

მზე—მარა || ამ'რა ჩვენების დროს, თუ კითხულობ, ეს რა არის, უნდა უპასუხო მარა, ისე ლაპარაკის დროს უნდა იხმარო ამ'რა „თუ ლაპარაკია მზეზე“.

კამეჩი—კამბეშ (მეორე ამტკიცებს: ჰარა), ყარაჩი ამბობს, რომ მათებურადაც „კამბაშ“-ია).

მამა—აბა

ჯვარი—ჯ'ჟარ (ორივე ასე ამბობს).

მე მეძახიან აფსუ ა-ს. იციან აგრეთვე მარათინ. თავიანთ თავს ეძახიან აბაზა-ს. ბზეფში ამბობენ: აში-ჟა აში-ქა აბაზეზზე.

იციან აგრეთვე ტაჰანთა (ვითომ ეს ტერატორიის სახელია). ჩერქეზები = ყაბარდრია; აგრეთვე: აგუჰაჟი; ეს უფრო სწორიაო (=ყაბარდოელი, ბასლინე); აგუჰაჟი ბეზშა. ბერა არ გაუგონიათ. ჩაგირეფს და კუველებს ვეძახით შტარაჟა-სო.

(ყარაჩი ამბობს, რომ „თამაღ“-ს ხმარობენ ისინიც და ნიშნავს „უფროსს“; ეტიმოლოგია უცნობია).

პირველ აულში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: იჟან (იჟ'ნ'რაა), აბაზრაა, შ'ხ'რაა, ფშემა'სტრაა, ყადტრაა, თაბეშრაა, ავანრაა, მაჟ-ბრაა, მულანრაა (sic!), კამრაა, ხარცტერაა, ჰათჰკრაა, ბიდარზრაა, ჰამეჟურაა, ყულბაჟრაა, ყურჩარაა, დანრაა, გრგურაა (!), ბეჯრაა, ჟანჯარაა, ჰანჯრაა, დანრაა, თობტორაა, ქურჯრაა (sic!), შარმანთრაა, მარმეჟტორაა, ჟანჟეჟტორაა, შა'ჯრაა, ჟანდარაა, გარგურაა(!), ლირაა.

ერთი ულაფელი ბასლინე ამბობს, რომ აულ ლაშაფსნე — Блечепсин-ში არის გვარი დაბალო!! იგივე ამბობს, რომ იმავე აულში არის გვარი ბალ'გეჟა; ნგრ.

ითქვამს — გვარი

სახლი—თეძე; ზენა'—ერთის აზრით: სამხარეულო; მეორის — хата.

ოჯახი—თააცან

თავი—გა (ორივე ასე ამბობს)

კისერი — ჟუღა

ხელი—ნაპე

თითი — მააცე

ფეხი—შაპე

შენიშვნა:

მე-18 სტრიქონ. გასწერივ > ნიშანია.

ყური—ლემპ

მგელი—ქუჯმან (ერთი ამტკიცებს, რომ ხოხოლების ენაზე აგრეთვე „გუჯმა“ არისო!)

მთვარე—მზე || ამზა (sic! ამზა დაკვლ—მთვარე დაბნელდა).

ლამპა—მზა

ნოლაჲ—ნაჭრეჲ, pl: ანაჭრეჲქტა (!)

აბაზები—აბაზაქტა (აბაზაცა სრულებით არ ითქმის).

რუსები—ბურუსქტა (!)

რუსი—ურუს (sic!)

მთქმელი: ყაბარდოელი Гугов—გუგუტ'ხნ ჰაეიუსუტე ყაჰჰარ-გუტა, აულიდან Старая Крепость (ძველად: Кучмазукин — ქუნმაზ-გუტ'ა), Баксанского округа.

მდ. Баксан—ბახსან

მდ. Малка—ბალკ (!)

ამ აულის რაიონში პატარა მდინარეები: ყულყუერნ, ქეშბაქ; მთა და ღელე ჰაიუკო—Хаюко; ღელე არალარყუა — Араларюко, მთა და მდინ. გუნდალან (Гунделен);

ქ. Пятигорск—ფსგ'ხტაბა (ხტაბა—თბილი)

ხუთი—თ'ხტე

ქალი—წგ ხტებზ { ბევრნი ამბობენ

კაცი—წგ ხტებჲ { ასე

ქალიშვილი—ხაჯაბზ (sic!), ბასლინეურად: ფსაშა (ბასლინეც ამტკიცებს).

ქმახები ამბობენ: ნარგბ'და (ბასლინეებიც) — კაცი, თვის მნიშვნელობით (ორი კაცი, სამი და ა. შ.); ჩვენ კი ყაბარდოელები ამ სიტყვას ვხმარობთ ოჯახის მნიშვნელობით, თუმცა ეს სიტყვა უფრო იშვიათად იხმარება, ვიდრე „ბენ“.

აქ გაზეთი გამოდის ყაბარდოულ ენაზე, კვირაში ორჯერ, სახელწოდებით: ყარაჰალყ—პროლეტარი. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით—ყარაჰალყ ფსორი ჭეზაგუტაჰა.

10. VIII. 1929

მთქმელები: ყაბარდოელები: 1) Конукоев — ყუანუყუტ'ა'ხნ ნაჲრფ ასთამირ-რყუა, აულიდან დნხთამგუშ'ა Тахтамышевский, ნალჩიკის ოლქი.

2) Абезоков — აბაზრყუა'ხნ ნურბიჲ ნანგუტ-რყუა, აულიდან თგზ'ა Тыжевский, ბაქსანის ოლქი.

შენიშვნა:

მე-19 სტრ. გასწვრივ > ნიშანია.

მთქმელი 2): მდ. Баксан—ბახსან
 მდ. Гедуко—გვ'დტყუა
 მდ. Псарыша — ფსაჲარშა („ხელით მოყვანი-
 ლი წყალი“)

აული Хатажукино — ჰათოხტსუყუტ'ა (ზედა — რფშა, ქვე-
 და — იშხარა)

მდ. Экепцеко — აქვპწწყუა (აქვპწწა — ხეა, რომლის ტყავი
 იხმარება ნაბდის და შალის შესაღებად),—თითქოს ольха

მთქმელი 2): მდ. Чегем—შეგვ'მ (მეორე ამბობს: შეგვ'მ).

Сергиюко—სერსჭყუა, ასეთივე მდინ. (Сараджуко!)

Аргаюко—არღარყუა

მდ. Суллу-кол სულ'გ-ყუტ'ლ' (ბალყარულად: სულყუოლ; ყოლ
 ბალყარულად = балка)

მდ. Мышок—მუსწყუა (დათეების ველი)

Наукидзе—გაუგონია ტყე: ნაუზ'გძე (ნაუზი—მამაკაცის სახე-
 ლია; „ნაუჯის ჯარი“).

ჰო—(არვ'ხ??)—ნტა, ამათი პასუხიდან გამოდის, რომ მარტივი
 დადებითი და უარყოფითი ნაწილაკები არ არსებობს, კონკრეტულ
 კითხვას ეგუება პასუხი.

ეს მაგიდაა —მგ სტროლ'გრ მგრ სტოლსა!!

ეს კაცია —მგრ ლ'გსა!

ეს მე ვარ—სარასა!

ეს შენ ხარ—ჰარას არ?

10. VIII. 1929

მთქმელები: ყაბარდოელები: 1) Ма.ухов—მამუხტ'ხნ [დაძახი-
 ლის დროს: მამუხტ] მუჰამედ ბოლშ'თ-იყუა, აულიდან კუბა [ძვ.:
 ჰასანბიყუაჲ], ბაქსანის ოლქი.

2) Каншоков — ყანშო'ყუა'ხნ აუსტქ მაჰმედრყუა, იმავე აუ-
 ლიდან

3) Бжедугов — ბჰედტუ'ხნ მუჰამედ აისა-რყუა, აულიდან
 არგუტდან, ურვანის ოლქი.

4) Гитоков — გითოყუა'ხნ [ჯ!] ჰნტგრა ჰაებულშ'თ-რყუა აუ-
 ლიდან ყასაჰაბლა, ბაქსანის ოლქი.

შენიშვნა:

მე-18 სტრ. გასწერიე > ნიშანია.

- მდ. Малка—ბალყ (თუ: ბალყ) { მდ. მალკაზე
 სოფ. Бабуково—ბაბგუჭა (sic! გ.)
 მდ. Куркужин—ყულ'ყუჯერნ
 სოფ. Лафишево ლაფიშპაბლ; ეხლა ჰქვია ფსგუჭრა'ა (= „ტბა“; ხუჯრა'ა=რგვალი).
 аул Аналова—ინალპაბლ; ეხლა: ყარადაშ (ტყის სახელია).
 მდ. Дзалуко—ძალუ'ყუა (ძალ=ტირითი).
 მდ. Этока—აატაყუა (თიხის ხევი)
 მდ. Псиншоко—ფსგნშა'ტა (უწყლო ხევი; ფსგნშა—უწყლო).
 მდ. Кич-Малка—ჩგშ-ბალყ. || ყ (ჩგ—წკნელი; ჩგშ—წკნელ-
 მოჭრილი).
 Кинжал—ყანჯალ' (= „жестяный“).
 Кертмен — ჩემშ'ნ (ბალყარ. უფრო სწორედ(?) ყარანული
 სიტყვაა).
 ყანჯალ'-თან არის მთა ჰარანტუტრა (= „собака да свиня“)
 მთა გარპა'გაშ || გარპაჯა'ყ. (-ეხოს მთქმელი??)
 როცა „ქიახს“ ვეკითხები, ერთნი ამბობენ კა'ხს || კა'ხს
 მდ. Урван—არტან
 აული Мисостово --მგსოსთა'ა
 Вашхо-ца — აჟსპა-ცაზ' (ცაზ=ლოხმათი, ბებერი).
 აული Докшукино—დონშუკუტა'ა
 Нартьяна—ნართანა
 Жанхотово—ჯანხუატაპაბლ,
 Догужоково—დორ ჟუჯუტა'ა
 გვარები: ღერუ'ყუა, ინარუყუა, ნაურგუ'ხს [სახლი: ჟ'ნს სახლე-
 ბი—ჟ'ნა'ხს], ჰატოხუშოუყუტ'ხს (Атажукіны; ჰა—ძალი; ტოხუ—
 ორკერ ძოვნა; სა'ტა — ცოლიანი ყმაწვილი), ვარუ'ყუა; თამბრა'ხს
 (Тамбиев)
 წოდებები: ფსგ—თავადი
 ლ'აყუალ'აშ'ხ (!)
 ჟარყ
 ლ'ხუაყუალ'
 ფსგლ'
 ყარაპაბლყ ეხლა იხმარება ბატრაკის, პროლეტარის მნიშვნე-
 ლობით.
 (გვარის წარმოება: ჩვეულებრივად, როგორც ჩანს, მრავლ.
 სუფიქსით იხმარება, მაგ. თა'ნბი'ხს, ეს ნი'ნა'ხს: თა'ნბიანი; შეიძ-
 ლება ხმარებულ იქნას პერსონალურად: თამბრაყუა. მაგრამ უკანასკ-
 შენიშვნა:
 27-ე სტრ. გასწვრივ > ნიშანი.

ნელი მნიშვნელობითაც უფრო ხშირად, ჩანს, პირველი ფორმა იხმარება, რომელიც უნდა უდრიდეს ქართ.-იანი-ს.)

11. VIII. 1929

ჩ ა ჩ ნ უ რ ი

მთქმელები: 1) Мунаев—მუნა შპპბდ ტესგ-კენტ. из Шалинского окр. (შელი) აქ მსახურობს. წარმოშობით Урус-Мартанск. окр. (მართენ), აულიდან Стар. Атаги (ჯოკონ-ათალა; ჯოკონ—დიდი).

2) Умханав—უმხაა ასლანბეკ ამირხან-კენტ. из Гудермеского окр. (გუმეს II გუმს), аул Курчалой (ქურჩალა).

მდ. Мартан—მართ

მდ. Тенг—თანგ (აან=ხევი)

აული და მდ. Гойта — მდ. ღოა; სოფ. ღოატა (-ტა აღნიშნავს --„ზე“)

აული Алды—ბუნ-აურტ

აული Алхан-Юрт—ალხან-აურტ

მდ. Сунжа—სრლჯ

Грозный—სრლჯ-ღა'ლა

მდ. Рошняя—რო შნჩ

მდ. Аргун—არგუ (sic!) (ორ—ორმო; გუ—ბორცი).

მდ. Шаро-Аргун—შარო-არგუ

Ченты-Аргун (?)—ჭენტო-ორგუ

მდ. Терек—თერკ

წყალი—ხია

მდინარე—ხია

ღელე—ჯიმხია (ჯიმ—პატარა)

რუ—თათ'ულ

⁶
ხე (ცხვირისმიერი ე) — მორი

ჩა—ჩალა (პურის) და დათვი!

ლოდმეშ=სიმინდის ჩალა

მთა—ლამ

გორაკი—აარკ

ქვა—ტულუტ (მესმის: ტულგეტ)

კლდე—ბერდ (არის სოველი გროზნოსთან: ბერდკელ).

კიდე—ისტაე

მდინარის ნაპირი—ხრასთაე

შენიშვნა:

მე-5 და -19 სტრ. გასწვრივ > ნიშანია.

კაჟი—მრყუზ.

მიწა—ლა'თთა

ცეცხლი—წაჲ, „სახელი“-ც.

სისხლი—წი

ტალახი—ხოთ)

სახლი—წგ

კარგ ხბოს პატარა სადგომი

კირ—თეთრი მიწა, რომლისაგან აკეთებენ კირს. უკანასკნელს

ჰქვია ქირ (sic!)

ორშაბათი—ორშოტ (sic!) (ამათი მცდარი ეტიმოლოგიით:

ჭარ=შვიდი; შოტ=შაბათი?!). უეჭველად ქართულია.

პარასკევი—პერსკინდე

შაბათი—შოტე [←შოთდე?]

კვირა—კირინდე

ღე - ღღე

შვილი—კჯნტ (ვაჟი)

ქალიშვილი—ჯოჲ

ვაჟიშვილი—ვაჲ

შვილიშვილი—კჯნტკჯნტ

ქალი—ზუდა

ბავშვი—ბარ; pl. ბარეშ

მოხუცი—ყჯანსტგგ

მოხუცი, ბებერი—ყეჲნ

ყურონა—ახალგაზრდა (ყველაფერზე ითქმის, ადამიანზე, ცხოველზე, მცენარეზე, რაც იზრდება); შდრ. ყანა.

მამასახლისი—ჯურტდა

ლა—მამა; პატრონი

თამდნ—უხუცესი, საპატიო პირი.

ოჯახი—დარზოლ

მზე—მალხ

ღმერთი—ღელი; მიმართვის დროს: დნ'ლნ

მამაკაცის სახელები: ტუსკ, ცუკა, უსფა, ცრცა, ჰუჰა, ბანუ, ღრთთა, ბარ, ტრკკა, ბგრდა, როჲად, ლატა, ვახა (=живи!)

ქალის სახელები: ზნ'ზა (=ხეხილის ყვავილი), ცრცა, ზანუ, ღრტგა, ძაჲძან; ხახრ, გოგრ (=მტრედი, შდრ. ხოხობი); კიჲაკ; ახხა (=живи!)

შენიშვნა:

23-ე სტრ. გასწვრივ > ნიშანია.

მდ. Кубань—ყუბრნა (sic!), ყაბარდოელები კი ეძახიან (იმ ოლქის ყაბარდ.): ფსუზ, (რადგან წყალი ყოველთვის მღვრიეა). მის. მარლანისა გადმოცემით აფხაზებიც ყუბანს ყუბრნა-ს ეძახიან.

ა ბ ა ზ ა მ ე უ ბ ნ ე ბ ა :

მდ. Марух—მარუხ

მდ. Ахсаут—ხსაუთ

მდ. Кума—გუმა-ძე (უფრო სწორედ:

გუმ-აძე, ალბათ იმიტომ რომ მეორე აბაზა ამბობს: გუმ)

ბასს'ად—ასე გვეძახიან ჩვენ ადგლები (ე. ი. ადგლ. ავტ. ოლქის მცხოვრებნი).

12. VIII. 1929

მთქმელი: Симрулетов—სიმბულ'თ დასუტჷ ჭაისა -რყუა აულ ულაფიდან (ადგდეს ავტ. ოლქი). ტომით ბასლინეა.

მთქმელის აზრით განსხვავებაა. ქემგუურსა და ბასლინეურს შორის (ბასლინეები აულ ბლეჩეფსინ — ბლაშაფსინე-ში, მაგრამ ისინი წმინდად ლაპარაკობენ არა ბასლინეურს, არამედ ყაბარდოულს. ამ აულში ყაბარდოელებიც ცხოვრობენ):

ქემგ. კუბალა || ბასლ. კუა (imp. კუე) — წავიდა

მედატალა		მებერა	—თქვა
ყაზღრ		ბელ'	—ბარი (лопатка)
ფხანტაკუ		შანთ	—სკამი
ნაუშ		ფშაღმეშ	—ხვალ
ნაუშმეკუ		ფშაღმეშეკა	—ზეგ
ჰაკუტესტალო		აფხუალ'ან	—სათითე
სჰამალტმჩა		სჰალტბეან	—ფანჯარა
ჰაკუტან'რ		ლუალ'გუა	—ტახტი (საწოლი)
ჭარზა		ჰატანა	—ბზე
ჰამფსა		ჰანა	—ზვინი

ბ ა ს ლ ი ნ ე უ რ ი :

ქალი—ბზგლ'ხუტღან

მამაკაცი—ხულ'ხუტღან

შენიშვნა:

მე-6, -7, -8 და -9 სტრიქონების გასწვრივ > ნიშანია.

ცირა—ფსნსა (ქემგ.: ხანჯაბზ)

ასული—ფხტე

[გვარი ულაფში: ხოხრლ, Кухалов]

შარშან—ნაღბა (ქემგ.: ღარაქა)

შვილიშვილი—იყაიმეყაიმე

ულაფში ყოფილა მამაკაცის სახელები: ბ უ ბ ა, ლანტა, ულა-
ღა, ქაგუა (=მოკლე!), ტახუ, ტგატა, ბტ, ტგმა, ჰაბტუ (=ფარ-
თო ძალი!), ტრტა, თეჟეჟე, (=თეჟეა = ВСТАНЬ! (?) სწუხრეჟეა,
მხტ, ნახტ, ნანგტ. ტგუა მჟა, მნტგტ, მაც., ჰამაც. მანტ (=ბედ-
ნიერი), თალ.ტსთან, ყასპრთ. ასლანჯარბ, მგყუა, ნგყუა (=ნახეე-
რი), ნანტ. ლაყუმან, პატგტ (ყაბარდ.), პატგტ, ბგდა (=креп-
кий), ფსაბგდა (ამ აულში არ არის, მაგრამ ისე გაივრცელებულია: =
„მაგარი სული!“), ურგტ=ржоний (ყაბარდ.), ჰგჰგნ, ხომტა, ტგმშ,
ჰამაშა.

ქალის სახელები: ნაგუა. პაპგნა, ბაბგნა, პგნა, ჟგნა (=სახ-
ლი). ჰაჟგნან, გრჰტ, ასლანგუაშა, სამატგტა, გუარირა, ჰაკუა,
ჰამგტ, ბგტ (=ჩიტი), ქტა, ხანგუ, ხურგა (=რგვალი), ტაა,
ხტა, ჰგნა (=შავი), ხან, შაშა, გუაზგნაღა, გუგლანსან.

მამაკაცის სახელები: ფაყაბ (=старый курнос). ფაგუა (=ту-
понос), მგსა (=დათვი), ტგტა, დახუყა, ხაღა, ჰაჰ (=მოკლე),
მჟა (=ცოტა), ტამგტა, ჰარა (=კამბეჩი), ურგსყუა, ნახტტა,
ასა, ძგძა, ძგტ. ჰაკტარგ, ხტხტ, ლალგუყარა, შაჰგყუა, ხტგტა,
ჰატატ, ძურარა, ინდრგს, წგტ (=პატარა), ნტოჰ, ჰაჰღ, ბგყა,
ჰალაღა, ჰაბან, მალაღა, ბნტგ, ყალმგყ (=калмык), ჰაღა.

14. VIII. 1929

ღღეს ჩამოვედი ნართანში—Нальчикско-Клишбневское (კალ-
იშბიჰაბლან). ვმუშაობ მოხუცთან: Пачев — ფანაა (ულვაში)
ბაჰმგრზა მან-იყუა, 12 წლისა. ჰყავს ოთხი ვაჟი, 5 ქალი, უმცრო-
სი ქალი 15 წლისაა. დაიბადა ნართანში და აქ ცხოვრობდა მუდ-
მივად. აქვს მოწმობები აულის საბჭოდან გაცემული, რომ აქაურია,
გაყრილია; გლეხია; არავითარ სკოლაში და მედრესეში არასოდეს
არ უსწავლია (თვითონ შეისწავლა არაბული და რუსული წერა-
კითხვა. რუსული წ.-კ. სუსტად იცის, თვით რუსული ენა კიდევ
უფრო ნაკლებ), ქონება არა აქვს. მოწმობა აქვს საოლქო განა-
თლების განყოფილებიდან გაცემული კამბიევის (ყამბიეა, სახელად:
ჰამგყ), რომ ბეჰმურზა აგროვებს ლეგენდებს, ზღაპრებს, ხელთ-
ნაწერებს, ისტორიულ მასალებს—დახმარებას სთხოვს ამ საქმეში.

თვითონ გამოიგონა ანბანი არაბული დამწერლობის მიხედვით. აი, მისი ასოები:

ა-| ბ-ب თ-ت ს-س შ-ش ფ-ف

ორმოცი წლისამ დაეიწყე ეს საქმეო. „სოხთა“-ს (მედრესეს მოწაფეები) არავის არა აქვს ეს ასოები, ჩემი გამოგონილიაო.

მოხუცი ჩემს კითხვაზე „კიახები“ გაგიგონია თუ არა მეთქი, ამბობს „კა-ნა“ (სწორედ ასე ამბობს). ამათ ანსხვავებს, თითქოს, კუანებისაგან. ესენი სხვები არიანო, კარგი პასუხი ვერ მივიღე.

მოხუცე ხელს იბანს, მე ფეხზე ვდგევარ. მოხუცი ამჩნევს ჩემს ქცევას და აღტაცებულია: აღიღეა, ნამდვილი აღიღე. ან დარჩი აქ, ან წამიყვანე თან. კისერზე ხელებს იღებს: აი, თოკი მომიბი და წამათრეე, ამბობს ის.—შემდეგ ამბობს ზეპირად უშველებელ ლექსს, რომელშიაც აღწერილი ყოფილა იმპერიალისტური ომი, რევოლუცია, სამოქალაქო ომი და სხვ.—ეს მოხუცი უაღრესად საინტერესო კაცია. მის შესახებ მე ჯერ კიდევ ნაღიკში მიაამბეს და უმთავრესად ამიტომ წამოვედი ნართანში. ცხოვრობს სოფლის გარეთ, ერთი ხევის ფლატოში გაუკეთებია მიწური. პაწაწა მიწურია. ერთს კუთხეში ტახტია გამართული, ზედ დოშაკი, დოშაკზე ნაბადი დაგებული, ბალიში; იხურავს, როგორც ჩანს, ქურქს. მეორე კუთხეში პატარა თუნუქის ღუმელი დგას. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ამ ღუმელზე სამი სამელნე იდგა და ბევრი კალმისტარი და ფანქარი, შიგ ღუმელშიაც მეოთხე სამელნე იყო. თაროზე რამდენიმე არაბული წიგნი ელაგა. ჩვენ რომ მივედით, მოხუცი შინ არ იყო (გზაზე მიზგითაშიაც შევიხედეთ, —მორწმუნე კაცია და აქ ხომ არ არისო). წავიდნენ დასაძახებლად. ძალიან გულლიად მომესალმა. მაშინვე თავისი ხელთნაწერების ძებნას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ ყველგან ისინი ჰქონია შენახული: ტახტის ქვეშ ერთ სპეციალურ ყუთში, დოშაკის ქვეშ გარშემო, სასთუმალ ქვეშ, უბეში. სხვადასხვა ხელით არის ნაწერი, სულ სხვადასხვა საგანზე: ბევრი ადგილი უჭირავს ანგარიშს, რამდენი სეკუნდია, მაგალითად, ღლების სხვადასხვა რაოდენობაში, წლები და სხვა (მიიქცია ყურადღება, რომ მოხუცი სისტემატურად წერს რუსულად летр лет-ის ნაცვლად; „რ“ ჩერქეზ. განმსაზღვ-

შენიშვნა:

მე-20 სტრ. გასწვრივ > ნიშანია.

მე-2 სტრ. გასწვრივ სწერია: ჩერქ. 'ხ pl. ქართულში: სმა || სხმა, დაესვი || დაესხი. თვით ს მ ა ჩერქ. ტვ-ს.

23-ე სტრიქ. გასწვრივ მიწერილია: ჯაგუტაჟა Гегуако.

ში<შინ—წყალი

აქ მართლა არის წყარო, რომელიც ზამთარში მთლად თბილია. ამ აულს მეზობლები აგრეთვე (ურახელები) კჷელჰერკლანურგალან-ს ეძახიან.

კჷელ—ორი

ჰერკლა—მდინარე (ნათ. ბრ.)

ურგალან—შუა, середина

ში (sic!)—სოფელი, pl. შიმბ

ჰალბ—ოთახი, pl. ჰულლზ', შდრ. ხულა

აურტ—სახლი ეზოთი

Ая-Махи—აია-მახი

აია—ეზო

აზვარ—ეზო

მდ. Кака-Узень—ყაყა-ჰვარკ

ყაყა—ვიწრობი

Узень ეს კუმბიკური სიტყვააო.

Ая-Кака—აია-ყაყა (აქ იყო ძალიან დიდი ბრძოლა კაზაკებთან—თეთრებთან სამოქალაქო ომის დროს).

Мурге—მურიგჷშ' (დარგული სოფელია)

Утемиш—უთამგშ (ყუმბუხების სოფელია)

Кумак—ღირყა-ურჷ

ღირყა—სიბრტყე

ურჷ (=სალყა)—ხალხი, народ; чуждый, неродственный

ყუმჷყ (|| ჳ)

Лаки—ლაზი-ყუმჷყლა

Лак—ლაზი-ყუმჷყლან

